

ბუშის მეორე ვადის მეორე ევროპული ტურნე

A5



"თქვენი აფხაზეთი"

A8



ცირკის დედაკაცად გადაქცეული ქიშმიში

B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 11 მაისი, 2005 წელი. №103 (963)

ფასი 50 თეთრი

# UNBELIEVABLE!

## მსოფლიო ლიდერის 19 საათი თბილისში



*პრეზიდენტები თავისუფლების მოედანზე.*

*აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოში დემოკრატიული განვითარების წინსვლის მხარდასაჭერად ჩამოვიდა. მეუღლესთან, ლორა ბუშთან ერთად იგი პირველად თბილისის ისტორიულ ნაწილში, აბანოთუბანში მათ პატივსაცემად გამართულ კონცერტს დაესწრო. "unbelievable!" (წარმოუდგენელია!) – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა ოსტატობით აღფრთოვანებულმა პრეზიდენტმა.*

ნინო გომართელი

ნერვიულობა, დაძაბულობა და მოლოდინი აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის გასაშუქებლად შექმნილ მედიაცენტრში დილის 6 საათიდანვე შეიმჩნევა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თეთრი სახლის მიერ განსაზღვრული, საკმაოდ მკაცრი ზომები უხერხულ დისკომფორტს ქმნის.

ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები თანაბრად ნერვიულობენ, ნეტავ, ყველაფერი მოესწროს, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

- ნახეთ, გუშინ ბუში როგორ ცეკვავდა? მიშაც კი გაოცებული უყურებდა, – აღფრთოვანებას ვერ მალავენ ქართული მედიის წარმომადგენლები.

- სასწაული იყო, ასე მოცეკვავე და ასე კმაყოფილი პრეზიდენტი აქამდე ჩვენც არ გვინახავს, - ისმის ამერიკელი ჟურნალისტების კომენტარი.

აბანოთუბანში ბუში კმაყოფილებას ვერ მალავდა, აპლოდისმენტებს არ იშურებდა და მოცეკვავეთათვის ხელის ჩამოსართმევად რამდენჯერმე სცენაზეც ავიდა. " რაც თბილისში ჩამოვიდა, ბუში მას შემდეგ ცეკვავს," – პირდაპირი სატელეფონო ჩართვა აქვს ერთ-ერთ უცხოელ ჟურნალისტს.

"აღფრთოვანებული ვარ ქართველი ხალხის კეთილგანწყობით ამერიკისადმი, იმ დახვედრით, რომელიც მათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მოუწყვეს. თითქმის ყველგან ვარ ნამყოფი, სადაც ბუში პრეზიდენტის რანგში ყოფილა, მაგრამ აქაურმა დახვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო ყველაზე უთბილესი დახვედრა, რაც მას ოდესმე ჰქონია," - კომენტარს აკეთებს "სი-ენ-ენ"-ის კორესპონდენტი მაიკლ ბენიგანი.

- გაიგეთ? თურმე, ამერიკის დელეგაციას და კონდოლიზა რაისს ძალიან მოსწონებიათ ქართული ღვინო. პასუხისმგებლობის მძაფრი შეგრძნება და, ამავდროულად, სიამაყე - ეს ქართველი ჟურნალისტების განცდებია.

### დილის 9 საათი

ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს პრეზიდენტებს, მეუღლეებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის ეზოში დეპუტატები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ეგებებიან.

- თქვენი პარლამენტის თავმჯდომარე ძალზე მომხიბლავია, - მიჩურჩულა რუსეთის ტელევიზიის ჟურნალისტმა. დასტურის ნიშნად მეც გავუღიმე.

- მაპატიეთ, ეს ამდენი ადამიანი, ვისაც პრეზიდენტები ხელს ართმევენ, ყველა მინისტრია? – კითხულობს გაოცებული ჰოლანდიელი კორესპონდენტი. პასუხს არავინ სცემს. თითქმის ყველა მინისტრია.

ორი ქვეყნის ჰიმნი, მკერდზე მიბჯენილი მარჯვენა ხელი და პროტოკოლით გათვალისწინებული შეხვედრების ციკლი იწყება.

პირისპირ შეხვედრა პრეზიდენტებს შორის, ბუშისა და ნინო ბურჯანაძის საუბარი, დიალოგი ეროვნულ უმცირესობებთან და პრესკონფერენცია.**"სააკაშვილმა მასმედიაზე დაიჩივლა... ეს კარგია, რადგან ეს ნიშნავს, რომ მედია თავისუფალია... მეც ვწუწუნებ ხოლმე ხანდახან მედიაზე, მაგრამ არა საზოგადოების წინაშე,"** - აცხადებს პრეზიდენტი ბუში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ეს არ არის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში, ეს არის ვიზიტი საქართველოში

**დღის შეკითხვა:**

**რა პოლიტიკურ შეფასებას მისცემდით აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოში?**

**ლევან ბერძენიშვილი,** *პარლამენტარი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:*

ამ ვიზიტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მან, შეიძლება, საქართველოს განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველოს ხელისუფლება გაიზიარებს იმ შენიშვნებს და იმ დამოძღვრას, რასაც ამერიკული მხარე გვეტყვის. დანარჩენი ყველაფერი ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენთვის მთავარია მეტი დემოკრატია, მეტი თვითმმართველობა, მეტი მშვიდობის უნარი.

ქართული სტუმართმოყვარეობის, ქართული კერძების და სიმღერების იმედი მე ყოველთვის მქონდა. პომპეუსი რომ ჩამოვიდა, ჭამა-სმასა და ცეკვათამაშში მაშინაც მაგრები ვიქნებოდით. ეს ჩვენი წინაპრების და კულტურის დამსახურებაა. თუკი ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება, შეუძლია, სტეინბეკის, თუნდაც, მარგარეტ ტეტჩერის ჩანაწერები წაიკითხოს საქართველოზე. ასევე ცნობილია, როგორ დავხვდით რუსეთის მეფეს თავის დროზე. ქართული კულტურა და ქართული სუფრა უძლეველია. ჩვენი პრობლემებია დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სიტყვის თავისუფლება, მართვის გამჭვირვალობა და ა. შ.

ბუშმა თქვა, როგორი საქართველო უნდა, რომ იხილოს. ეს უნდა იყოს დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც პატივს სცემს ეროვნულ უმცირესობებს, განსხვავებულ აზრს, სიტყვის თავისუფლებას და ა.შ. ანუ, ამერიკის პრეზიდენტმა მიგვანიშნა, რომ მისთვის სულერთი არ არის, გეოპოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული საქართველო როგორი იქნება, მას პარტნიორად დემოკრატიული საქართველო სჭირდება.

ყველაფერი, რაც ამ ვიზიტს დადებითი მოჰყვება, გამოჩნდება მომავალში, მაგრამ არა ხვალ და ზეგ და, მით უმეტეს, არა დღეს. საქართველო გაწევრიანდება ნატო-ში, ევროკავშირში, მაგრამ ამას დასჭირდება დრო, შრომა და მოთმინება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ჯორჯ ბუშის ვიზიტი დასავლური მედიის თვალით

ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტი, თითქმის, ყველა გავლენიანი დასავლური საინფორმაციო საშუალების მთავარი თემა გახდა.

**"საქართველო – თავისუფლების შუქურა"; "ბუში საქართველოში რუსეთის გასაღიზიანებლად"; "ბუში ხოტბას ასხამს ქართულ დემოკრატიას"; "აშშ საქართველოსთან ერთად "თავისუფლების გზით ივლის"** – ასეთი სათაურებით იუწყებოდა გუშინ დასავლური საინფორმაციო საშუალებები ამერიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის შესახებ. უნდა ითქვას, რომ მარტო სათაურების გადახედვაც საკმარისია აშშ-ს პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობის შესაფასებლად. ფაქტია, რომ მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფოს ლიდერის საქართველოში ჩამოსვლამ დასავლური პრესის ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია; მით უმეტეს, რომ ბუშის თბილისში ჩამოსვლა თავიდანვე პუტინთან ერთად "გამარჯვების დღის" ზეიმის გასანეიტრალებელ ნაბიჯად იყო აღქმული.

**"შეძახილებით - "ბუში, ბუში" – აღფრთოვანებული აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიას ხოტბას ასხამს და "თავისუფლების შუქურად" მოიხსენიებს. მოსკოვის გასაგონად კი ხმამაღლა აცხადებს, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტს პატივი უნდა სცენ,"** - ასე იწყებდა თბილისიდან რეპორტაჟს სააგენტო "როიტერსი".

**"საქართველოში ბუშს ეგზალტირებული მასა როკ-ვარსკვლავის შესაფერ დახვედრას უწყობს,"** - წერდა სააგენტო "ფრანს პრესი". **"ბუში ჩავიდა ქვეყანაში, რომელიც დიდი ხნის მანძილზე რუსეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა,"** - წერს ფრანგული სააგენტო; იქვე დასძენს, რომ ეს ფაქტი აუცილებლად გამოიწვევს მოსკოვის გაღიზიანებას. ვიზიტის მთავარი თემა, სააგენტოს აზრით, აშშ-ს დაპირებაა, დაეხმაროს საქართველოს კონფლიქტების დაერგულირებაში.

კიდევ ერთი წამყვანი საინფორმაციო სააგენტო ბი-ბი-სი: **"პრესკონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტმა "ვარდების რევოლუციას" "თანამედროვე ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტი უწოდა. ბუშის თქმით, ამ უსისხლო რევოლუციამ მთელ მსოფლიოში აღაფრთოვანა ხალხი";** შემდეგ კი ბუშის გამოსვლიდან ციტატა მოჰყავს: **"საქართველოში დაწყებული დემოკრატიული მოძრაობა ახლო აღმოსავლეთის ტრანსფორმირებაში დაგვეხმარება და მსოფლიოს უფრო უსაფრთხოს გახდის"**. თბილისში მყოფი ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტის თქმით კი, საქართველო თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების - დემოკრატიის მთელს მსოფლიოში გავრცელების თვალსაზრისით.

**"საქართველოში ბუშს აღტაცებულ ადამიანთა მასა ხვდება,"** - განაგრძობს ბრიტანული გამოცემა "ჰერალდ ტრიბუნი" და ჯორჯ ბუშის თბილისში სტუმრობას ვრცელ სტატიას უძღვნის.

გაგრძელება A5 გვერდზე

## პოლიტიკა

ჯორჯ ბუში:
„თქვენ ლიდერები ხართ!"

მიხეილ სააკაშვილი:
"ასეთი სული თითქმის ყველა ქართულ ოჯახშია"



პრეზიდენტების მიერ წარმოთქმული სიტყვები თბილისში, თავისუფლების მოედანზე

A4

## უცხოეთი

თანამშრომლობის ოთხი საერთო სივრცე

რამდენად "წარმატებული" გამოდგა რუსეთი-ევროკავშირის სამიტი

A5

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 11/05 | 12 /05 | 13 /05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 28 | 27 | 29 |
| ქუთაისი | 30 | 30 | 21 |
| ბათუმი | 27 | 26 | 18 |
| სოხუმი | 27 | 26 | 19 |
| ფოთი | 29 | 28 | 20 |
| თელავი | 27 | 27 | 28 |
| ზუგდიდი | 30 | 31 | 21 |
| გორი | 25 | 23 | 22 |
| ახმეტა | 27 | 27 | 28 |
| ჭიათურა | 27 | 26 | 20 |
| გაგრა | 26 | 25 | 20 |
| სამტრედია | 29 | 29 | 20 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3659 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4649 |
| რუბლი | 0.0658 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| პოლიტიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ევროისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# რუსული მედია ჯორჯ ბუშის ვიზიტის შესახებ

*რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში არაერთგვაროვნად გააშუქეს. თუკი ეს თემა რუსული მედიის ნაწილისთვის "ტოპ-ნიუსი" გახდა, მეორე ნაწილმა ამ ისტორიულ მოვლენას, შეიძლება ითქვას, წაუყრუა და მხოლოდ "ახალ რიგით ამბად" მონათლა.*

თამარ მჭედლიშვილი

განსხვავებული იყო პუბლიკაციების სათაურებიც და ის აქცენტებიც, რომელიც რუსმა ჟურნალისტებმა პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის გაშუქებისას დასვეს.

"თბილისელებმა კორდონები გაარღვიეს, ბუშის გამოსვლისთვის რომ მოესმინათ", - ინტერნეტ-გამოცემა "ნიუს.რუ"-მ ასეთი სათაურით შესთავაზა მკითხველებს ამ ვიზიტისადმი მიძღვნილი სტატია.

**"ჯორჯ ბუშის ვიზიტმა თბილისში არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია. ის ადამიანები, ვისაც ამერიკის ლიდერის მოსმენა სურდათ, საქართველოს დედაქალაქის ცენტრში სამშაბათ დილას ჭყლეტაში მოყვნენ. ათასობით თბილისელმა გაარღვია ბარიერი და, მეტალოდეტექტორების გვერდის ავლით, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღმოჩნდნენ,"** - ასე იწყებს სტატიას გამოცემა და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰყავს ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლიდან ერთი მოკლე ციტატა. **"ამერიკელი ხალხი თქვენთან იქნება, სანამ თქვენ დამოუკიდებელ საქართველოს აშენებთ... საქართველოს ყველაზე დიდი წვლილი თქვენი ვარდების რევოლუციაა, რომელმაც სხვა ერებს მაგალითი მისცა,"** - ასე ასრულებს გამოცემა საკუთარ რეპორტაჟს.

ინტერნეტ-გამოცემა "გრანი.რუ"-ზე ბუშის ვიზიტისადმი მიძღვნილი სტატიები შემდეგი სათაურებით გამოქვეყნდა: **"ბუში: თბილისსა და რეგიონებს შორის კონფლიქტები ქვეყნის შიგნით უნდა გადაწყდეს"** და **"ბუში: საქართველო - თავისუფლების შუქურა"**

**"საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ავტონომიების ხელმძღვანელებს შორის კონფლიქტი ქვეყნის შიგნით უნდა გადაწყდეს", - განაცხადა სამშაბათს თბილისში ამერიკის შეერთებული შატეტბის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. ბუშის თქმით, არანაირი ჩარევა გარედან არ უნდა მოხდეს,"** - წერს გამოცემა. ამავე დროს "გრანი.რუ" ყურადღებას ამახვილებს ჯორჯ ბუშის განცხადებაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების გაყვანას ეხება. **"პუტინმა შემახსენა 1999 წლის ხელშეკრულება - განაცხადა ბუშმა. მისი თქმით, რუსებს სურთ საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად მუშაობა, რათა ამ ხელშეკრულების პირობები შესრულდეს. მიმაჩნია, რომ ასეთი განწყობა მნიშვნელოვანი უნდა იყოს საქართველოსთვის. ეს აჩვენებს, რომ საკითხის გადაჭრისთვის ნიადაგი არსებობს,"** - მოჰყავს გაზეთს პრეზიდენტ ბუშის განცხადების ფრაგმენტი.

მეორე წერილში კი ვკითხულობთ: **"ამერიკელმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს არ მოუწევს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე მარტო ყოფნა და ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან ერთად ივლის.. ბუშმა მადლობა გადაუხადა საქართველოს იმისთვის, რომ მან საკუთარი სამხედრო მოსამსახურეები ერაყსა და ავღანეთში გააგზავნა".**

ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტს საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა "ბი-ბი-სი"-ს მოსკოვის ბიურომ. გამოცემაში მოყვანილია ყველა ის მნიშვნელოვანი ციტატა, რომელიც პრეზიდენტ ბუშის თბილისში გამოსვლებში გაჟღერდა და რომელიც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, ამერიკის მხარდაჭერასა და ქვეყნიდან რუსეთის ბაზების გაყვანას ეხებოდა.

**"ბუშმა, აგრეთვე, მხარეებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისაკენ მოუწოდა და საქართველოს ხელმძღვანელობას, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება აღუთქვა. "ჩვენ ვიცავთ ახალგაზრდა დემოკრატიებს და ვეხმარებით მათ, რათა ქართველების ახალგაზრდა თაობამ თავისუფალ საზოგადოებაში იცხოვროს," - აღნიშნა ბუშმა. საქართველოს ლიდერმა დემოკრტიული რეფორმების გაგრძელების პირობა დადო",** - წერს გამოცემა.

**"პირველი მოკავშირე დიდი ქვეყნიდან,"** - ამ სათაურით იწყებს რეპორტაჟს თბილისიდან გაზეთ "იზვესტიას" კორესპოდენტი. მთავარი აქცენტი სტატიაში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივებზე კეთდება. **"საქართველო მზად არის, გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი პარტნიორი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე დემოკრატიის გავრცელების საქმეში,"** - მოჰყავს გაზეთს მიხეილ სააკაშვილის განცხადება. ხოლო თავად გამოცემა მკითხველს დღის ფოტოდ სწორედ საქართველოს პრეზიდენტის ფოტოსურათს სთავაზობს.

გუშინ საკმაოდ მშრალი ინფორმაცია გამოჩნდა "ვესტი.რუ-ს" ვებ-საიტზე. პატარა სტატიის შინაარსზე თავად მისი სათაური მეტყველებს: **"ბუშმა ლეკური იცეკვა".**

**"სააკაშვილს ახალი იალტის კონფერენციის გამართვა სურს,"** - ეს უკვე იმ სტატიის სათაურია, რომელიც "რია-ნოვოსტიმ" გამოაქვეყნა. პუბლიკაცია მიხეილ სააკაშვილის "ვაშინგტონ პოსტ"-ში გამოქვეყნებულ სტატიას ეხება და მის მოკლე შინაარსს წარმოადგენს.

დაბოლოს, გუშინ საკმაოდ ირონიული ტონი ჰქონდა "ენტე-ვე"-ს, რომელმაც საკუთარ სიუჟეტში განსაკუთრებული ყურადღება ჯორჯ ბუშის საქართველოს უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა გიორგის ორდენით დაჯილდოებაზე გაამახვილა. **"სამშაბათს მიხეილ სააკაშვილმა ჯორჯ ბუშს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადასცა. ასე რომ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უკვე შეუძლია, 3 300 დოლარის ოდენობის თანხის მიღებაზე პრეტენზია გამოთქვას. უცხოელ ლიდერთა შორის ბუში ამ ორდენის პირველი კავალერი გახდა. ამ ორდენის მინიჭება საქართველოს გამარჯვების საქმეში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის ხდება. მისმა მფლობელმა 3 300 დოლარის ოდენობის ფულადი პრემიაც უნდა მიიღოს. საქართველოში მინიმალური ხელფასი, დაახლოებით, თერთმეტი დოლარია,"** - იუწყებოდა გუშინ "ენტე-ვე". ამ ტელეარხის ინტერნეტ-საიტზე კი ამ ინფორმაციას ასეთი სათაური ამშვენებდა: **"სააკაშვილმა ბუშისთვის 300 მინიმალური ხელფასი არ დაიშურა".**

### პრეზიდენტის რწმუნებული გურიაში ბეჟან კალანდაძე ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში ბეჟან კალანდაძე 9 მაისს საღამოს ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა.

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით, რწმუნებული გურიიდან თბილისში მოემგზავრებოდა. სავარაუდოდ, მისი მანქანა სველ გზაზე მოცურდა და დენის ბოძს შეეჯახა.

ბეჟან კალანდაძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეგობარი, რომელიც ასევე ავტომანქანაში იმყოფებოდა, მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

*ინტერ-პრესი*

# ლორა ბუშის „დაუვიწყარი ორი დღე"



საქართველოსა და აშშ-ს პირველი ქალბატონების შეხვედრა ამერიკული აკადემიის სტუდენტებთან.

ვახო ხაჭაპურიძე ფოტო

*"ბევრი იმუშავეთ, ისწავლეთ, იფიქრეთ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოთ მომავალში, დაფიქრდით, რისი კეთება გსურთ ყველაზე მეტად," – ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი ამერიკელ ბავშვებსა და მოზარდებს ყველაზე ხშირად ამ ლოზუნგით მიმართავს. იგივე გაიმეორა ლორა ბუშმა გუშინ თბილისშიც, ამერიკულ აკადემიაში ქართველ მოსწავლეებთან შეხვედრისას.*

სოფო ბუკია

**"არ მჯერა, რომ ქალბატონ ლორას ვნახავ... ჩემი ოცნებაა, მასთან სურათი გადავიღო, ასეთი შანსი, ალბათ, არასოდეს მექნება,"** – მღელვარებას ვერ მალავდა ამერიკული აკადემიის მოსწავლე მანჩო მამულაიშვილი, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა ძლივს დაარწმუნეს იმაში, რომ მისივე უსაფრთხოების გამო, უმჯობესია, მოვლენებს წინ არ გაუსწროს და მესერს მიღმა გადასვლა თვითნებურად არ სცადოს.

პარლამენტში გამართული ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ, საქართველოსა და ამერიკის პირველმა ქალბატონებმა პრეზიდენტი-მეუღლეების საზოგადოება დატოვეს და საკუთარ არაპოლიტიკურ საქმეებს მიხედეს. პროტოკოლით გათვალისწინებული პირველი შეხვედრა ჭავჭავაძის 37ა-ში მდებარე ამერიკულ აკადემიაში შედგა.

ქალბატონ ლორასთვის თვალის შევლების მსურველებმა, აშშ-ს დაცვის სამსახურის წარმომადგენელთა მკაცრი კონტროლისა და ასაფეთქებელ ნივთიერებებზე დაგეშილი ოთხფეხა პროფესიონალის უპრეცედენტო შემოწმების შემდეგ, აკადემიის სააქტო დარბაზი გაავსეს.

თითქმის სამსაათიანი ლოდინი ამაო არ აღმოჩნდა. ლორა ბუშმა იქაურობა მხოლოდ ამერიკელებისთვის ხელმისაწვდომი ღიმილით გაასხივოსნა და აკადემიის მოსწავლეების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას უპასუხა. **"ნახეთ, როგორ უჭირავს თავი, როგორ ზის, როგორ საუბრობს,"** – ჩამონათვალი, ალბათ, უსასრულოდ გაგრძელდებოდა, ჩემი აღფრთოვანებული კოლეგისთვის რომ არ შემეხსენებინა, რომ ჩვენ, ჟურნალისტები, აქ ქალბატონ ბუშის მოსასმენად მოვედით.

ქართველი თინეიჯერები, პირველ რიგში, ამერიკელი თანატოლების ყოფით დაინტერესდნენ. ლორა ბუშის თქმით, ამერიკელ თინეიჯერებს ისეთივე პრობლემები აქვთ, რაც მთელი მსოფლიოს ბავშვებს. **"ახალგაზრდობა წიგნებს ძალიან დაშორდა და ვიდეოსა და კომპიუტერს მიეჯაჭვა,"** - წუხს აშშ-ს პირველი ლედი.

კითხვაზე - აძლევთ თუ არა რჩევებს ბატონ ბუშს? - პასუხი ასეთი იყო: **"ჟურნალისტები ყველაზე ხშირად ამ კითხვას მისვამენ. ვფიქრობ, არც ერთ ქმარს არ უყვარს, როდესაც რჩევებით აწუხებენ, ამ მხრივ გამონაკლისი არც ბატონი ბუშია. მე იშვიათად ვაძლევ რჩევებს ჯორჯს, თუმცა ჩვენ ყველაფერზე ვსაუბრობთ - ოჯახზე, შვილებზე, პოლიტიკაზეც,"** – განმარტა პირველმა ლედიმ.

ტყუპი ქალიშვილების, ბარბარას და ჯენას (გოგონებს სახელები ბებიების პატივსაცემად დაარქვეს) დედამ ქართველ დედებს ასეთი რჩევა მისცა: **"დედებო, მაქსიმალურად ბევრი დრო დაუთმეთ თქვენს შვილებს, რადგან ყველაზე კარგი მასწავლებელი ბავშვისთვის დედაა,"** – ირწმუნება პროფესიით პედაგოგი, ქალბატონი ბუში.

კითხვები საქართველოს პირველ ლედისაც დააყარეს. პირველ ქალბატონს კი გუშინ კიდევ ერთხელ მოუწია იმის გახსენება, თუ სად და როდის გაიცნო მომავალი მეუღლე. სანდრა რულოვსი ქართველ ახალგაზრდებს დაჰპირდა, რომ უფრო აქტიურად იმუშავებს სტუდენტების გაცვლითი, სასწავლო პროგრამების კუთხით, რათა რაც შეიძლება მეტმა ქართველმა მიიღოს ევროპული განათლება.

ოცნება აუსრულდა მანჩო მამულაიშვილსაც, რომელმაც ამერიკის პირველ ლედისთან ფოტოს გადაღება ინატრა.

**"ამ სურათებს ჩარჩოში ჩავსვამ და კედელზე დავკიდებ," "მე მობილურზე დავაყენებ," "ჩანთით ვატარებ და მაგრად ვიმარიაჟებ,"** – "ჭკუა დაკარგეს" ქართველმა ბავშვებმა.

ამერიკული აკადემიიდან პირველი ქალბატონები წიგნის სახლისაკენ გაემართნენ, სადაც მათ ზურაბ ჟვანიას ქვრივმა, ნინო ქადაგიძემ უმასპინძლა.

ლორა ბუშმა ნინო ქადაგიძეს საჩუქრად კერამიკის თეფში უსახსოვრა თავისი ავტოგრაფით, ნინო ქადაგიძემ კი საპატიო სტუმარს მინანქარში შესრულებული ხატი გადასცა.

ნინო ქადაგიძემ ლორა ბუშისგან ამერიკის ნაციონალურ წიგნის ფესტივალზე მიწვევა მიიღო. აღნიშნულ ფესტივალს თავად ქალბატონი ლორა პატრონობს. ამ ღონისძიების სტუმარი 2002 წელს უკვე იყო რუსეთის პრეზიდენტის მეუღლე.

ქალბატონი ბუში გუშინ პრეზიდენტის რეზიდენციასაც ესტუმრა, სადაც სანდრა რულოვსთან ერთად მას მიხეილ სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამაც უმასპინძლა. როგორც მანამდე გახდა ცნობილი, ქალბატონი ბუში სანდრა რულოვსის მიერ გამომცხვარ ხაჭაპურს გაუსინჯავდა გემოს.

ამერიკის პირველმა ლედიმ საქართველოში ვიზიტს **"დაუვიწყარი ორი დღე უწოდა",** და აღნიშნა, რომ თბილისს იგი ქართული სტუმართმოყვარეობით, მშვენიერი ფოლკლორით და უგემრიელესი კერძებით მოხიბლული დატოვებს.

ლაურა უელჩი ტეხასში, ძირძველი ამერიკელების ოჯახში, 1946 წელს დაიბადა. პედაგოგიურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი დალასში მიიღო, რის შემდეგაც ცოტახანს მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ ჩააბარა ტეხასის უნივერსიტეტში ქალაქ ოსტინში, სადაც საბიბლიოთეკო საქმეს სწავლობდა და მაგისტრის ხარისხიც მიიღო. მუშაობდა ჰიუსტონის საჯარო ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი - ოსტინის ერთ-ერთი სკოლის ბიბლიოთეკაში. 1977 წელს ლაურა უელჩმა ჯორჯ უოლკერ ბუში გაიცნო და ოთხ თვეში მისი მეუღლე გახდა.

ამერიკის პირველი ლედი განათლების დიდ ქომაგად ითვლება, პატრონობს ბიბლიოთეკებს და ამერიკულ ახალგაზრდებს წიგნების კითხვის სიყვარულს უღვივებს. **"უკითხეთ ხმამაღლა თქვენს შვილებს,"** – ასეთი ლოზუნგით მიმართავს ქალბატონი ბუში ამერიკელ მშობლებს.

ამერიკის პირველი ლედის საზოგადოებრივი აქტივობა საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბუშ უმცროსი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს. **"მე ათასჯერ მომისმენია ჩემი ქმრის საჯარო გამოსვლები, ახლა დადგა დრო, მეც მომისმინონ,"** – განაცხადა პირველმა ლედიმ ჯორჯ ბუშის მეორე ინაუგურაციის შემდეგ, ერთ-ერთ კოლეჯში სტუმრობისას.

მიუხედავად ამისა, ქალბატონ ბუშს არ უყვარს ზედმეტად ყურადღების ცენტრში ყოფნა. ერთხელ ჯორჯ ბუშმა იხუმრა კიდეც, რომ ლორა მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა ცოლობას, თუ მას საჯაროდ გამოსვლა არასოდეს მოუწევდა.

ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ საარჩევნო ურნებთან მისული მილიონობით ამერიკელი, პრეზიდენტთან ერთად, პირველ ლედისაც ირჩევს. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ამერიკელების 54 პროცენტი უპირატესობას პრეზიდენტობის იმ კანდიდატს ანიჭებს, რომლის მეუღლეც მათთვის უფრო სიმპათიურია.

ლორა ბუში ზედმიწევნით აკმაყოფილებს ამერიკელთა გემოვნებას. ამას ცხადყოფს ისიც, რომ ქალბატონ ბუშის რეიტინგი რამდენიმე პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე მისი მეუღლის.

ქალბატონი ბუში მექსიკური და ეროვნული სამზარეულოს მოყვარულია. ელეგანტური ლორა ბუშის გარდერობი მხოლოდ თანამემამულე დიზაინერთა ნამუშევრებისგან შედგება. ამერიკის პირველი ლედის საყვარელი დიზაინერია ამერიკელი ოსკარ დე ლა რენტა.

ლორა ბუშისთვის დედამიწის ყველაზე უმშვენიერესი ადგილი ტეხასია. ბუშის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთანავე ბუშები ტეხასში, ოჯახურ რანჩო კროუფორდში დასახლებას აპირებენ, სადაც ამჟამად უკვე ცხოვრობს ერთი საპრეზიდენტო წყვილი – ჯორჯ(უფროსი) და ბარბარა ბუშები.


ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

რადიო-ხიდი თბილისი-ბაქო-ერევანი ყოველ კვირადღეს საღამოს 7-იდან 8 საათამდე

რადიოკონფერენცია — პროექტი Armenia 2020



წამყვანები: გია მესხი, რადიო "მწვანე ტალღა", თბილისი; ვიგენ ჰაკოპიანი, რადიო "ვანი", ერევანი

სტუმარი: არგამეს კაზანჯიანი, პროექტ Armenia 2020-ის დირექტორი

ჟურნალისტები: მაკა ახვლედიანი, "საქართველო და გარე სამყარო"; კახა კაციტაძე, პოლიტოლოგი, პუბლიცისტი

სტუდიის სტუმარმა ერევანში ილაპარაკა სომხეთის განვითარების სცენარულ მოდელირების ცდაზე რომელსაც პროექტი Armenia 2020 წარმოადგენს. პროექტი არასამთავრობო ინიციატივას წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში ჩატარდა უამრავი კვლევა, მასში ჩართული იყო ცნობილი საკონსალტინგო კომპანია McKinsey. საბოლოო ჯამში შემუშავდა უახლოესი 15 წლის განმავლობაში სომხეთის განვითარების 4 შესაძლო სცენარი.


### მოკლედ

#### გამყრელიძემ ბუშს ოპოზიციის აზრი მიაწვდინა

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრაზე საკუთარი გამოსვლის ორი ტექსტით გამოცხადდა.

გამყრელიძე ერთადერთი ოპოზიციონერი იყო, რომელიც გუშინ პარლამენტში ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და დეპუტატთა ჯგუფის შეხვედრას დაესწრო.

როგორც გამყრელიძემ გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ტექსტის "ბ" ვარიანტი იმ შემთხვევისთვის იყო გათვალისწინებული, თუ მას სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მიეცემოდა. მაშინ, მას აღნიშნული ვარიანტი უშუალოდ ჯორჯ ბუშისთვის უნდა გადაეცა.

თუმცა, გამყრელიძის თქმით, "ბ" ვარიანტის გამოყენება საჭირო არ გახდა - ჯორჯ ბუშთან, ოპოზიციისა და უმრავლესობის სახელით, სწორედ დავით გამყრელიძემ და ნინო ბურჯანაძემ ისაუბრეს.

ოპოზიცია მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობა და საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა, - აღნიშნა "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრისას.

ამასთანავე, გამყრელიძის განცხადებით, მან ჯორჯ ბუშის ყურადღება საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევას მიაპყრო და აღნიშნა, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში ამ მიმართულებით ვითარება თითქმის არ გაუმჯობესებულა.

დეპუტატის თქმით, ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრაზე მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში კანონის უზენაესობა იგნორირებულია, თითქმის არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა.

კიდევ ერთი ასპექტი, რაზეც გამყრელიძემ ბუშთან შეხვედრისას ისაუბრა, საკონსტიტუციო ცვლილებები იყო. მისი განცხადებით, აღნიშნული ცვლილებების შემდეგ პარლამენტი საკმაოდ უუფლებოდ არის დარჩენილი, და ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების რეალური მექანიზმები არ არსებობს, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ნორმალურ ფუნქციონირებას უშლის ხელს.

გამყრელიძის თქმით, მის განცხადებებზე ბუშის რეაქცია "აბსოლუტურად ადეკვატური იყო. ბუშმა მოიწონა ის გარემოება, რომ მასთან შეხვედრას ოპოზიციის წარმომადგენელი ესწრებოდა და ხუმრობით განაცხადა, რომ სიამოვნებით ითანამშრომლებდა ისეთ ოპოზიციასთან, როგორიც "მემარჯვენეები" იყვნენ ამერიკაში".

*ინტერ-პრესი*

#### ლეიბორისტების აქციაზე ინციდენტი მოხდა

რესპუბლიკის მოედანზე "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" აქცია გუშინ ინციდენტით დასრულდა. ნაცემია პარტიის დიდუბის რაიონული ორგანიზაციის კოორდინატორის მოადგილე ზურაბ სიჭინავა.

როგორც სიჭინავა აცხადებს, იგი საკუთარ მანქანაში ლეიბორისტული პარტიის დროშებსა და საპროტესტო აქციისთვის დამზადებულ ტრანსპარანტებს ალაგებდა, როცა "ნაციონალური მოძრაობის" ათამდე წარმომადგენელი მიეჭრა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

სიჭინავას განცხადებით, "ნაციონალების" წარმომადგენლებმა იგი დროშის ტარებით სცემეს და პერანგი ჩამოახიეს. ინციდენტი სასტუმრო "ივერიის" მიწისქვეშა კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ლეიბორისტებს ავტომანქანები ჰქონდათ გაჩერებული. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ინციდენტის შესახებ აქციის მონაწილეებმა შეიტყვეს, მათ აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს.

დაშლის თხოვნით აქციის მონაწილეებს პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მიმართა.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი ნოდარ ხარშილაძე დღეს ბრიუსელში მიემგზავრებიან.

როგორც თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში განაცხადეს, ნატო-ს შტაბ-ბინაში ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების ყოველწლიური გეგმიური შეხვედრა გაიმართება.

შეხვედრაზე ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებში სამხედრო რეფორმების ძირითადი ასპექტები, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები განიხილება. გარდა ამისა, მხარეები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ.

*ინტერ-პრესი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ამერიკული დოპინგი საქართველოს ხელისუფლებისთვის

გიორგი ასანიშვილი

*აშშ-ს პრეზიდენტის თბილისში სტუმრობა საქართველოს ხელისუფლებისთვის, როგორც ჩანს, ძლიერი პოლიტიკური დოპინგია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის ლიდერები გაათკეცებული იმედით, ენთუზიაზმით და ენერგიით აპირებენ იმ პრობლემებთან შეჭიდებას, რომელთა გადაჭრაშიც ჯორჯ ბუში მათ დახმარებას შეჰპირდა.*

საქართველოს ხელისუფლების თითქმის მთელი ყურადღება დღეს ორ საკითხზეა ფოკუსირებული. ეს არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა.

ჯორჯ ბუშის საქართველოდან გამგზავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამ ორ პრობლემას შორის არსებულ ორგანულ კავშირზე ალაპარაკდა.

**"ვიდრე არ გადაწყდება რუსული ბაზების საკითხი, იძულებულნი ვართ, კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული ესა თუ ის გადაწყვეტილება არსებული ვითარების გათვალისწინებით მივიღოთ. სწორედ ამიტომ ცდილობენ ჩვენი ქვეყნისადმი არაკეთილმოსურნე ძალები, რომ კონფლიქტები არ მოგვარდეს და ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმისას, საქართველოს ხელისუფლება მუდამ უკან იყურებოდეს,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ამერიკელებს ჩვენი პრობლემები კარგად ესმით და მათ გადაჭრაში ყოველნაირად დაგვიჭერენ მხარს, მაგრამ, ამავე დროს, მთელი რიგი საკითხები მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია.

**"აშშ ყოველთვის გაუსვამს ხაზს, რომ ეუთო-ს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა შესრულდეს და, თავის მხრივ, ეცდება, რომ ამ თემაზე მუდმივად იყოს მსჯელობა, მაგრამ რუსული ბაზების გაყვანის ვადებთან და ტექნიკურ პირობებთან დაკავშირებული საკითხები ჩვენი მოსაგვარებელია. არსებობს გზის მონაკვეთი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მარტომ უნდა გაიაროს,"** - ამერიკელებსა და ქართველებს შორის ერთგვარ "შრომის განაწილებაზე" საუბრობს ნინო ბურჯანაძე.

როგორც ჩანს, სწორედ არსებულმა მწარე რეალობამ ათქმევინა ჯორჯ ბუშთან შეხვედრის დროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ **"საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ ბოლომდე დამოუკიდებელი ჯერ კიდევ ვერ არის."**



*აშშ-ს პრეზიდენტს საქართველოში ყველაფერი ხიბლავდა.*

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ "უპრეცედენტო შემთხვევა" უწოდა იმ ფაქტს, რომ ჯორჯ ბუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და საპარლამენტო დელეგაციასაც შეხვდა - აშშ-ს პრეზიდენტის პროტოკოლი ასეთ შეხვედრებს, როგორც წესი, არ ითვალისწინებს. **"ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკელებისთვის სახელისუფლებო შტოების გაწონასწორებას,"** - შენიშნავს საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

სხვათა შორის, ამ თემაზე ნინო ბურჯანაძე საკმაოდ ვრცლად საუბრობს და აღნიშნავს, რომ დღეს საქართველო მზად არ არის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადასასვლელად და ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად, დაახლოებით, 10-15 წელია საჭირო. სპიკერის თქმით, ამჟამად საქართველოსთვის უფრო მისაღები და ეფექტურია ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა.

**"პარლამენტს დღეს ისედაც საკმარისი ბერკეტები აქვს იმისთვის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება გააკონტროლოს. თუ კონსტიტუციით და რეგლამენტით მონიჭებულ უფლებებს სრულად გამოვიყენებთ, პარლამენტი გაცილებით ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტი გახდება,"** - ამ გამონათქვამით ხურავს აღნიშნულ თემას ნინო ბურჯანაძე.

ჟურნალისტებთან გუშინდელი შეხვედრის დროს ნათლად იგრძნობოდა, რომ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ჯერ კიდევ "ისტორიული ვიზიტის" (მისივე შეფასებაა) შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა.

**"ვიზიტის მიმდინარეობამ და შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არა მარტო საქართველომ, არამედ მთელმა მსოფლიომ ნათლად დაინახა, როგორი კეთილგანწყობილია ჯორჯ ბუში ჩვენი ქვეყნის მიმართ,"** - სიამაყით აცხადებს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი.

## ეს არ არის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში, ეს არის ვიზიტი საქართველოში

პირველი გვერდიდან

**გიორგი ხელაშვილი,** *საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი:*

ეს იყო მიმართული საქართველოში ე.წ. ომის პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ფიქრობდა, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება სამხედრო გზით. ბუშის გამოსვლა პირდაპირ მინიშნება იყო იმაზე, რომ კონფლიქტების მოგვარების ერთადერთი გზა არის მშვიდობიანი. აშკარაა ისიც, რომ ამერიკის პრეზიდენტს კარგად ესმის - მშვიდობიანი და დემოკრატიული მეთოდებით კონფლიქტების გადაწყვეტისას უნდა არსებობდეს ორი მონაწილე მხარე, შიდა მხარეები, ანუ ქართველები და აფხაზები და ქართველები და ოსები. და როცა ბუში მაინც ამას ამბობს, ესე იგი, რუსეთის ფაქტორს გამორიცხავს.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, ამერიკამ რუსების განეიტრალება თავის თავზე აიღოს, იმისათვის, რათა საქართველოს შიგნით მხარეებმა დიალოგი დაიწყონ.

**დავით უსუფაშვილი,** *რესპუბლიკური პარტია:*

ეს არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა საქართველოში, "ვარდების რევოლუციის" და ბათუმის მოვლენების შემდეგ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაში არაფერი მომხდარა.

შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ ვიზიტის შედეგები გამოვლინდება ჩვენი ხელისუფლების მხრიდან კანონის უზენაესობის და დემოკრატიის პრინციპებისადმი მეტ ერთგულებაში. მე მგონი, ყველასთვის ცალსახად ცხადი გახდა პრეზიდენტ ბუშის ერთ-ერთი მთავარი სათქმელი საქართველოში - ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებს აქვს ძალიან სერიოზული პერსპექტივები და შეერთებული შტატები მზადაა, ყველა სახის დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს იქნება მშვიდობიანი, დემოკრატიული ქვეყანა, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, ეროვნული უმცირესობის უფლებები და კანონის უზენაესობა. ჩემი აზრით, ეს იყო ძალიან მკაფიოდ და მკვეთრად ნათქვამი და დღევანდელ ხელისუფლებას შესწევს უნარი, გაიაზროს ამ სიტყვების როგორც აზრი, ისე მნიშვნელობა.

რაც შეეხება საგარეო-პოლიტიკურ ასპექტებს, აქ მთავარი საკითხი არის საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და, ამ ჭრილში, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარება. ამ მხრივ, საქართველოს გაუჩნდა სერიოზული კოზირი, რომელიც ჭკვიანურად უნდა იქნას გამოყენებული. უშუალოდ ვიზიტის მსვლელობისას ემოციების სიჭარბე გასაგებია, მაგრამ ამ სიხარულს მალე უნდა მოჰყვეს ძალიან პრაგმატული და ცივი გონებით აწონილ-დაწონილი ქმედებები რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. საჭიროა მეტი პრინციპულობა და მეტი მოქნილობა. პრინციპულობა და მოქნილობა ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდეს.

მაგალითად, პრეზიდენტი 9 მაისის საზეიმო ღონისძიებებზე მოსკოვში რომ არ ჩავიდა, ჩემი აზრით, სწორი ნაბიჯი იყო. მაგრამ მე მოხარული ვიქნები, თუ პრეზიდენტი მალე გამოძებნის საბაბს იმისთვის, რომ მოსკოვში შეიაროს. ეს იქნებოდა მოქნილობის ნიმუში.

მე ასევე, ვისურვებდი, რომ გაზსადენი და ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტები არ აღმოჩნდეს რუსეთის ხელში. ეს პრინციპული საკითხებია და მე მიზანშეწონილად ვერ ჩავთვლიდი, რომ, მაგალითად, ჯარების გაყვანის ვადის გადმოწევის სანაცვლოდ, "გაზპრომს" ხელში უნდა ჩავუგდოთ ენერგეტიკული ბერკეტები. ამ შემთხვევაში არანაირი დათმობა და ენის მოჩლექით რუსეთთან საუბარი გამართლებული არ არის.

**დავით დარჩიაშვილი,** *პოლიტოლოგი, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი:*

მნიშვნელოვანია თავად ვიზიტის ფაქტი. ეს აჩვენებს საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერას მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს მხრიდან. პირველ რიგში, ეს ფაქტი რუსეთისათვის არის მიმანიშნებელი.

ამავე დროს, ბუშის განცხადებიდან გამოჩნდა, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დემოკრატიის მხარდაჭერა მსოფლიოს ამ წერტილში, ანუ საქართველოს დაფასება არა მისი მდებარეობის ან ისტორიის გამო, არამედ იმის გამო, რომ აქ შეიძლება წარმატებული დემოკრატიული ექსპერიმენტი განხორციელდეს. ეს, თავის დროზე, 1918-1921 წლებშიც, ხიბლავდა მრავალ დასავლელ პოლიტიკოსს, მაგრამ მაშინ არაფერი გამოუვიდათ. ახლა, ბუშის ვიზიტის სახით, ამის დიდი იმედი და მხარდაჭერა არსებობს.

ბუშმა ასევე აღნიშნა, რომ დემოკრატიის გამარჯვება საქართველოში - ეს არის მაგალითი მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის, რომელიც, როგორც რეგიონი, ამერიკის ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს.

შეძლებს თუ არა ჩვენი ხელისუფლება ქვეყანაში იმ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, რომელზეც პრეზიდენტმა ბუშმა გაამახვილა ყურადღება? - ეს ყველაფერი არ არის მარტივი. ქვეყანაში, სადაც დემოკრატიის ტრადიცია არც ისე ღრმაა, შეუძლებელია, რომელიმე ხელისუფლებამ ხელის ერთი მოსმით შექმნას ისეთი სახელმწიფო, როგორიც ამერიკელებს სურთ დაინახონ (ეს ის შემთხვევაა, როცა ქართველი ერისა და ამერიკული საგარეო პოლიტიკის ინტერესები სრულად ემთხვევა ერთმანეთს). თუკი ხელისუფლება ამ გზას არ გადაუხვევს, წარმატებები ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად, მაგრამ მაინც იქნება.

**კობა დავითაშვილი,** *პარლამენტარი, პარტია "კონსერვატორები":*

ეს იყო ვიზიტი-ჟესტი, რომლითაც ბუშმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მესიჯი გაუგზავნა რუსეთს, რომ მოსკოვში მისი სტუმრობა არ ნიშნავს რუსეთისათვის კარტ-ბლანშის მიცემას საქართველოს ან ბალტიისპირეთის წინააღმდეგ აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად.

ხელისუფლების რეკლამებმა საქართველოს მოსახლეობაში არარეალური იმედები დაბადა. ბევრი ადამიანი, რომელიც ამ პროპაგანდას აჰყვა, მოელოდა, რომ ბუში ჩამოვიდოდა და ყველა საკითხს გადაგვიწყვეტდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს იყო ვიზიტი-ჟესტი, რომლის დროსაც სერიოზული მოლაპარაკება არცკი წარმოებულა. მეტიც, ის პირები, რომლებიც მუშა-პროცესს წარმართავენ, მოლაპარაკების მაგიდასთან არცკი დამსხდარან.

თუ გახსოვთ, საქართველოში ყოველთვის აქტუალური იყო თემა, რომ რუსეთი და ამერიკა ერთმანეთს გაურიგდნენ, რომ მათ საქართველო შუაზე უნდა გაიყონ და ა. შ. ბუშის ვიზიტი მიზნად ამ ხმების გაფანტვას ისახავდა.

**არჩილ გეგეშიძე,** *პოლიტოლოგი:*

დავიწყოთ იმით, რომ ბუშის ევროპაში ვიზიტის ძირითადი მიზანი, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღნიშვნის გარდა, არის მომავალში ერთიანი, თავისუფალი და დემოკრატიული ევროპის შექმნის ფაქტის აღნიშვნა. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთის მიერ მოსკოვში მიწვეულმა ბუშმა მთელ თავის ტურნეს ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული ევროპის შექმნის მიზანი დაუსახა. ამ ევროპულ ტურნეში მან დამაგვირგვინებელი ვიზიტით მოინახულა საქართველო. ამით ხაზი გაუსვა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა.

როცა ბუში მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიდა, ამით თქვა: მოსკოვში საზეიმო აღლუმში მონაწილეობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია (თუ უფრო მეტად არა), დემოკრატიისადმი ერთგულება და მივდივარ ამის ერთ-ერთ სამაგალითო ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია.

მოსკოვში ჩასვლაზე თანხმობის შემდეგ, ბუშმა ოპონენტებში და, ზოგადად, დემოკრატიულ საზოგადოებაში პროტესტი გამოიწვია. ამერიკის პრეზიდენტი შეეცადა, ეს აგრესია გაენეიტრალებინა და, საბედნიეროდ, მას ამისთვის, ლატვიასთან ერთად, საქართველოც დასჭირდა. ეს კარგის ნიშანია, ბუშმა გამოგვარჩია.

ბუშის ვიზიტი მიანიშნებს, რომ საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერა თანაბრდება ბალტიისპირეთისადმი შეერთებული შტატების მხადაჭერის დონესთან.

ბუშის ვიზიტი - ეს არ არის ვიზიტი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ეს არის ვიზიტი საქართველოში.

საერთოდ, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა ნათელი მაგალითია თანამედროვე, ცივილიზებულ მსოფლიოში დიდსა და პატარა სახელმწიფოებს შორის პარტნიორული ურთიერთობისა. ამერიკა ამით ემიჯნება ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც სურს, რომ ყოველთვის მუხლზე დაჩოქილი გვიხილოს.

# UNBELIEVABLE!

## მსოფლიო ლიდერის 19 საათი თბილისში

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტებს შორის გამართული "გულახდილი" საუბრის შემდეგ, იგი ხაზს უსვამს, რომ "ვარდების რევოლუცია" იყო ძალიან ძლიერი მომენტი, რომლის შემდეგაც საქართველომ მოკლე დროში ბევრის გაკეთება მოახერხა, **"თუმცა საჭიროა დემოკრატიის, თავისუფალი მასმედიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრება." "შევთანხმდით თავისუფლების, დემოკრატიის გაზიარებასა და ამ ღირებულებების დამკვიდრებაზე,"** - ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

აქცენტი საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივასა და მისწრაფებაზე კეთდება. **"პრეზიდენტმა სააკაშვილმა მითხრა, რომ ნატო-ში გაწევრიანება სურს; ჩვენი სურვილია, რომ ამ მიზანს მიაღწიოთ,"** – აღნიშნავს ჯორჯ ბუში.

იგი არ ივიწყებს საქართველოს თანადგომას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში და ქართველ ერს მადლობას უხდის ავღანეთსა და ერაყში სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნისთვის.

ჯორჯ ბუშის განცხადებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტები **"საქართველოს მთავრობის მიერ მშვიდობიანი გზით გადაწყდება და ხელისუფლებას კარგი სტრატეგია აქვს, რომ ეს ასე მოხდეს." "თუ პრეზიდენტი სააკაშვილი ფიქრობს, რომ ჩემი დახმარებაა საჭირო, მე აუცილებლად დავეხმარები, მაგრამ ეს საკითხი საქართველოს მთავრობასა და სეპარატისტულ ხელისუფლებას შორის უნდა მოგვარდეს."**

**"იმედი გვაქვს, რომ ოს და აფხაზ თანამოქალაქეებთან პრობლემებს მშვიდობიანად მოვაგვარებთ... მიზნები იარაღით ვერ იქნება მიღწეული, კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი,"** – არის მიხეილ სააკაშვილის პასუხი.

პარალელურად, ქართველი ჟურნალისტების ინტერესს იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოსაზრება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების თაობაზე.

**"საქართველო მშვიდობიანი და დემოკრატიული ქვეყნის კარგი მაგალითია... იმედი მაქვს, რომ რუსეთი თავის მეზობლად დემოკრატიული ქვეყნის არსებობის მნიშვნელობას აღიარებს,"** - აბობს აშშ–ს პრეზიდენტი.

### თავისუფლების მოედანი

ჟურნალისტები მათთვის განკუთვნილ სპეციალურ ლოჟაში იკავებენ ადგილს. მოედანი სავსეა, ისე, როგორც "ვარდების რევოლუციის" დროს, მაგრამ ამჯერად ხალხი თავისუფლების გამარჯვებას ზეიმობს.

შეკრებილ უამრავ ადამიანს ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიმართავენ.

**"დღეს არის ისტორიული მომენტი საქართველოსთვის. მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს ლიდერი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თბილისში, როგორც მეგობარი, როგორც მოკავშირე, ისე იმყოფება,"** – სიამაყით აღნიშნავს სააკაშვილი და ხაზს უსვამს, რომ საქართველო მზადაა, იყოს შეერთებული შტატების პარტნიორი პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის, თავისუფლების და უსაფრთხოების დამკვიდრების საქმეში.

**"ჩვენ მთელი მსოფლიოს დასანახად კიდევ ერთხელ ვუწვდით მეგობრობის ხელს ოს და აფხაზ ძმებს,** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეებისადმი მიმართვაში, - **ჩვენ გვინდა მშვიდობა ერთიანი საქართველოს ფარგლებში... ჩვენ გვინდა აფხაზებთან და ოსებთან ერთად მათი ღირსების, მათი იდენტურობის დაცვა."**

მიხეილ სააკაშვილმა აშშ–ს პრეზიდენტს წმინდა გიორგის სახელობის ორდენი გადასცა. ჯორჯ ბუში ამ ჯილდოს პირველი კავალერი გახდა, საქართველოში დემოკრატიისა და თავისუფლების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

**"აშშ იყო პირველი ქვეყანა, ვინც გვერდზე დაუდგა ქართველებს თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, - **მაგრამ მიუხედავად "ვარდების რევოლუციისა", საქართველოსთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია აშშ–ს მხარდაჭერა... ჩვენ გვჭირდება დამატებითი გარანტიები ჩვენი თავისუფლებისა და დემოკრატიის დასაცავად."**

ჯორჯ ბუშმა ბევრი ისაუბრა მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიისა და მშვიდობის გავრცელებაზე, საქართველოს მიერ ამ საკითხში შეტანილი წვლილის თაობაზე.

ამერიკის პრეზიდენტმა 1989 წლის 9 აპრილიც გაიხსენა, როდესაც **საბჭოთა ჯარმა ქართველი ხალხის სულის განადგურება ვერ შეძლო** და **"დაიბადა თავისუფალი საქართველო,"** ხოლო წელიწადნახევრის წინ, სწორედ იმ ტრაგიკულ დღეს წამოწყებული საქმე "ვარდების რევოლუციით" დასრულდა.

**"ნამდვილი ცვლილება და ნამდვილი გამოწვევა თავისუფალი ინსტიტუტების მშენებლობაა. ეს რთული საქმეა... თუმცა, თქვენ ამ გზაზე მარტო არ ხართ. ამერიკელი ხალხი თქვენს გვერდით დგას,"** - დასძინა ბუშმა.

... თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ათი-ათასობით ადამიანი პატივისცემის ნიშნად დუმს. ჯორჯ ბუში და მისი მეუღლე მელოდიას აშშ-ს ჰიმნის ტექსტს აყოლებენ. ახლა საქართველოს ჰიმნი უნდა აჟღერდეს. ტექნიკური პრობლემაა. საქართველოს ჰიმნის მუსიკა წყდება. პრეზიდენტი თავად იწყებს სიმღერას... მასთან ერთად საქართველოს ჰიმნს მოედანზე შეკრებილები მღერიან. თავისუფალი ქართველები თავისუფლებას უმღერიან...


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...
„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
დროის წამობრივი აღრიცხვა
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
მხოლოდ 30თ.
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
8-10
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ჯორჯ ბუში: „თქვენ ლიდერები ხართ!“

სიტყვა, წარმოთქმული თბილისში, თავისუფლების მოედანზე

# მიხეილ სააკაშვილი: "ასეთი სული თითქმის ყველა ქართულ ოჯახშია"

სიტყვა, წარმოთქმული თბილისში, თავისუფლების მოედანზე



*მსოფლიო ლიდერი ლიდერ ქვეყანაში.*

დიდი მადლობა დახვედრისათვის!

თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეები, ლორა და მე, ამ მხარეში ვიმყოფებოდით და თქვენთან ჩამოსვლაც გადავწყვიტეთ, რათა გვეთქვა - გამარჯობა!

გადავწყვიტეთ იმ ხალხის გვერდით დგომა, რომელმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში უდიდესი სულისკვეთება და გამბედაობა გამოიჩინა.

თქვენ ლიდერები ხართ!

ლორა და მე ვამაყობთ, რომ ქართველი ხალხის გვერდზე, სწორედ იმ ადგილას ვდგავართ, რომელმაც საამაყო სახელი - თავისუფლების მოედანი დაიმსახურა.

როდესაც 16 წლის წინათ, აქ ქართველი ხალხი შეიკრიბა, ამ მოედანს სხვა სახელი ჰქონდა.

ლენინის ცივი გამოხედვის ქვეშ ათასობით ქართველი ლოცულობდა და დამოუკიდებლობას მოითხოვდა.

საბჭოთა არმიამ რამდენიმე ქართველი გაანადგურა, მაგრამ ქართული სულის განადგურება ვერ შეძლო.

ერთი წლის შემდეგ, ქართველები ამ მოედანზე დაბრუნდნენ და ლენინის ძეგლი ჩამოაგდეს.

1991 წლის 9 აპრილს თქვენ მსოფლიოს გამოუცხადეთ, რომ საბჭოთა საქართველო აღარ არსებობს და თავისუფალი საქართველოს დაბადება ამცნეთ!

იმ ისტორიულ დღეს თქვენ დამოუკიდებლობა აღიდგინეთ, მაგრამ იმედიანი დასაწყისი არ დასრულდა.

წელიწადნახევრის წინათ, ქართველები ამ მოედანს ისევ დაუბრუნდნენ, რათა 1989 წელს წამოწყებული საქმე ღირსეულად დაესრულებინათ.

თქვენ აქ ვარდებით შეიკრიბეთ და რწმენით შეიარაღებულებმა თავისუფლება მოითხოვეთ.

თქვენი მოქმედებების შედეგად საქართველო დღეს თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელიც ამ რეგიონში სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს.

თქვენ არ მოგიწევთ ამ გზის მარტო გავლა!

ამერიკელები პატივს სცემენ თქვენს არჩევანს, რომელიც თავისუფლების მოსაპოვებლად გააკეთეთ.

თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის შენებისას ამერიკელი ხალხი თქვენს გვერდითაა!

თქვენ ირჩევთ თავისუფალ მომავალს თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის და იგივე მიზნების განხორციელებაში სხვა ქვეყნებსაც ეხმარებით.

როდესაც ავღანელი ხალხი საკუთარი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ირჩევდა, ქართველი ჯარისკაცები იქ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

როდესაც ერაყში ტერორისტული ძალადობა გამძაფრდა, საქართველომ თავისი გამბედაობა აჩვენა - ერაყში თქვენი ჯარის რაოდენობა ხუთჯერ გაზარდეთ.

ერაყელები, ამერიკელები და თქვენი კოალიციური მოკავშირეები ამისათვის მადლობელნი არიან.

თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი თქვენივე მაგალითია.

ბოლო თვეების განმავლობაში მთელი მსოფლიო გაოცებულია იმედისმომცემი ცვლილებებით, რომელიც მიმდინარეობს ბაღდადიდან ბეირუთამდე და ბეირუთიდან ბიშკეკამდე, მაგრამ სანამ მოხდებოდა იასამნისფერი რევოლუცია ერაყში, ტიტების რევოლუცია ყირგიზეთში და ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში, მანამდე საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა.

თავისუფალი საზოგადოების შენება თაობების სამსახურია.

თითქმის 15 წელი დაჭირდა ბრძოლას, სანამ ამ ქვეყანაში თავისუფლება და სამართლიანობა მოიკიდებდა ფეხს.

წელიწადნახევრის წინათ, ამ მოედანზე გამოსულ ბევრ სტუდენტს და უბრალო ადამიანს - უმეტესად ახალგაზრდებს, 1989 წლის საპროტესტო აქციები ნაკლებად ემახსოვრებოდათ, მაგრამ მათ თავიანთი მშობლების დაწყებული საქმე დაასრულეს.

კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენ იგივეს ვხედავთ - თავისუფლების წყურვილს, რომელიც ახალგაზრდების გულის წადილია.

ისინი თავისუფლებას მოითხოვენ და მოიპოვებენ კიდევაც მას.

როგორც თავისუფალ ქვეყნებს, ამერიკასა და საქართველოს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ და ჩვენს მოვალეობებს ერთად შევასრულებთ.

თავისუფალი საზოგადოებები ხომ მშვიდობიან საზოგადოებებს წარმოადგენენ!

ჩვენი მოვალეობებიც თავისუფლებისათვის გლობალურ ბრძოლაში იწყება, თუმცა მშვიდობიან რევოლუციებს რეპრესიული რეჟიმების ჩამოგდება შეუძლია, ჭეშმარიტ ამოცანას კი, თავისუფალი ინსტიტუტების განვითარება წარმოადგენს.

ეს რთული საქმეა და თქვენ ამას ღირსეულად და გაბედულად ართმევთ თავს!

ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად და კორუფციის აღმოსაფხვრელად საკმაოდ რთული ნაბიჯები გადადგით.

თქვენ დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებთ, სადაც უმცირესობების უფლებები დაცულია.

თავისუფალი პრესა ყვავის, ქვეყანა მიესალმება ძლიერ ოპოზიციას და ერთობა თავისუფლებით მიიღწევა.

ამ ახალ საქართველოში კანონის უზენაესობა გაიმარჯვებს და თავისუფლება თითოეული მოქალაქის უფლება იქნება!

ეს იყო თქვენი აწგარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ოცნება, რომელმაც ოდესღაც თქვა: შემთხვევით არ მომხდარა, რომ ჩვენ ორი ძალზე მნიშვნელოვანი იდეა ავირჩიეთ - "თავისუფლება და პასუხისმგებლობა" ჩვენს ლოზუნგად იქცა.

დღეს ჩვენ ქედს ვიხრით ამ უდიდესი ქართველი პატრიოტის წინაშე, რომელიც გლობალური დემოკრატიული რევოლუციის დიდი ლიდერი გახდა!

თავისუფალი და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული საზოგადოების შენებით მის ხსოვნას თქვენ პატივს მიაგებთ და მის მემკვიდრეობას უკვდავყოფთ!

ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს სურვილს, შეუერთდეს ევროპის ინსტიტუტებს და მხარს ვუჭერთ ნატო-სთან თქვენს მჭიდრო თანამშრომლობას.

საქართველოს ლიდერებმა იციან, რომ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება აუცილებელია თქვენი ტრანსატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისათვის.

ამავე დროს, საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა ქვეყანა უნდა სცემდეს პატივს.

ისტორიულ ეპოქაში, სადაც თავისუფლება შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ, სპარსეთის ყურეში და უფრო შორსაც მიიწევს, როდესაც მთელ მსოფლიოში ვხედავთ თავიანთი ქვეყნების დროშების მოფრიალე თავისუფალი ხალხის შეკრებებს, ხალხისა, რომელიც ღმერთის მიერ მინიჭებულ უფლებას მოითხოვს, ამ დროს, თქვენ უკვე შეგიძლიათ მიღწეულით იამაყოთ.

ეს თქვენით არის გამოწვეული და თქვენი წარმატების მაგალითზე მათაც დიდი იმედი ეძლევათ!

ჭეშმარიტი თავისუფლების შენებისას უნდა იცოდეთ, რომ ქართულ მიწაზე დანთებული ცეცხლი მთელს მსოფლიოში ღვივდება!

მე აქ ჩამოვედი, რათა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გამბედაობისთვის! ამერიკელი ხალხი აფასებს თქვენს მეგობრობას და მოხიბლულია თქვენი სიმტკიცით!

ყველა ამერიკელის სახელით გიხდით მადლობას!

ღმერთმა დაგლოცოთ!

საქართველოს გაუმარჯოს!

დღეს ჩვენ ერთად ვწერთ ისტორიის დიდებულ ფურცლებს.

ამ ქალაქის კედლები ათასწლეულს ითვლიან და ბევრის მომსწრენი არიან: მათ ახსოვთ, რომ ჩვენი ისტორია პატარა, მაგრამ გაუტეხელი ერის ბრძოლაა თავისუფლებისათვის.

მსოფლიოს ისტორიაში ძალიან ცოტა თუ არის ისეთი იმპერია, რომლებსაც ამ კედლებისათვის ცეცხლი და ნგრევა არ მოეტანა. ამ კედლებს ახსოვთ რომაელები, ბიზანტიელები, ოსმალები, სპარსები, მონღოლები და რუსები.

მთელი ისტორიის განმავლობაში ქალაქს სხვადასხვა იმპერიის უამრავი ლიდერი სტუმრობდა, მაგრამ ისინი აქ მოდიოდნენ როგორც დამპყრობლები.

და დღეს, პირველად საქართველოს ისტორიაში, თბილისის ცენტრში, ჩვენს გვერდით, დგას მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს ლიდერი და უდიდესი ძალაუფლების მქონე ადამიანი, ჩვენი პარტნიორი, მეგობარი და მოკავშირე. მისმა ვიზიტმა დიდი ბედნიერება მოუტანა თითოეულ ქართველს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტი, მე ვამაყობ, რომ საშუალება მაქვს მას მივესალმო.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში, ბატონო პრეზიდენტო!

ბატონო პრეზიდენტო, სამი დღის წინათ, თქვენ ნიდერლანდებში, მაასტრიხტში ბრძანდებოდით, რათა პატივი მიგეგოთ ამერიკელი ჯარისკაცებისთვის.

ორი დღის წინათ კი, მე ჰოლანდიის ჩრდილოეთში, კუნძულ ტექსელზე ჩავედი, სადაც თავისუფლებისათვის მებრძოლი 620 ქართველი განისვენებს.

1945 წლის 20 მაისს ამ ქართველმა გმირებმა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ ბრძოლაში სიცოცხლე გაწირეს.

ჩვენმა ხალხმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა და ევროპაში თავისუფლებისათვის იბრძოდა.

მეორე მსოფლიო ომში ჩვენმა ქვეყანამ პროცენტულად ყველაზე დიდი დანაკლისი განიცადა.

ისტორიულად, ქართველები მხოლოდ თავისუფლებისათვის იბრძოდნენ - არა მარტო საკუთარი, არამედ სხვა ხალხების თავისუფლებისათვისაც.

ამის ნათელი მაგალითია გრიგოლ ფერაძე, ქართველი ფილოსოფოსი, მოძღვარი და ისტორიკოსი, რომელიც საბჭოთა რეჟიმს გაექცა და პოლონეთს შეაფარა თავი. იგი ებრაელ ბავშვებს ნაცისტებისაგან იცავდა. ოსვენციმში მან საკუთარი სიცოცხლე გაწირა, რათა გაზის კამერიდან ერთი ბავშვი დაეხსნა. ქართული სულისკვეთების კიდევ ერთი მაგალითი ახალგაზრდა გმირის მოქმედება გახლავთ - მელიტონ ქანთარია იყო ადამიანი, რომელმაც რაიხსტაგზე პირველმა აღმართა გამარჯვების დროშა.

ასეთი სული თითქმის ყველა ქართულ ოჯახშია.

მეორე მსოფლიო ომის დროს თითქმის ყველა ოჯახმა დაკარგა ახლობელი ადამიანი.

იმის მიუხედავად, რომ საქართველო თავისუფლებისათვის მუდმივად იბრძოდა, ამ ბრძოლების შედეგად თავისუფლება არასოდეს მოგვიპოვებია.

ამ მოედანზე იმისთვის არ მოვსულვართ, რომ ჩვენი წარსულის მნიშვნელობა განვიხილოთ, ან კიდევ - ჩვენი ისტორიის ტრაგედია და ტკივილი. ჩვენ აქ მოვედით, რათა სამომავლო მიზნებზე ვიმსჯელოთ.

ბატონი ჯორჯ ბუშის აქ ყოფნა მხოლოდ დადასტურებაა იმისა, თუ რამდენს მივაღწიეთ და რამდენის გაკეთება შეგვიძლია კიდევ.

როდესაც ერთ მუშტად ვერთიანდებით, ჩვენთვის მიუღწეველი არაფერია, არც ერთი ოცნება შორეული არ არის და არც ერთი მიზანი - განუხორციელებელი.

პირველად ჩვენი ისტორიის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლება თქვენი მთავრობაა.

ეს არის მთავრობა, რომელიც უსმენს ხალხს - თქვენ, საქართველოს მოქალაქეებს, რადგან ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ და ვაღიარებთ, რომ პასუხისმგებელი ვართ თქვენზე, თქვენს შვილებზე და ჩვენს საერთო მომავალზე.

ჩემთვის დღეს ყველაფერი ნათელია და ვფიქრობ, ეს თქვენთვისაც ასეა - ჩვენ ერთად ვაშენებთ საქართველოს.

როგორც იცით, ბოლო 18 თვე საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ჩვენ დიდი ტრაგედიები გადავიტანეთ და ბევრი გამოწვევა დავძლიეთ - ჩვენი ძვირფასი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაღუპვიდან, სულ ახლახანს თავსდამტყდარ წყალდიდობამდე, რომლის შედეგებიც დღემდე სტკივა ჩვენს მოსახლეობას.

ჩვენ დავძლიეთ ეს გამოწვევები და მოვახერხეთ, რომ მშვიდი განვითარების გზას დავდგომოდით. ხელისუფლებაში ვარდებით ხელში მოვედით, მაგრამ საქართველოს აღმშენებლობის გზაზე ეკლიანი ბილიკის წინაშე აღმოვჩნდით. ამიერიდან ჩვენს უფროს თაობას, თუ ისინი დაუყოვნებელ დახმარებას და ზრუნვას საჭიროებენ, მომავლის შიში აღარ აქვთ. არ ეშინიათ, რომ მათ მიატოვებენ.

ამიერიდან ჩვენს ახალგაზრდა თაობას კარგი განათლების მისაღებად და ახალი შესაძლებლობების საძიებლად საქართველოდან წასვლა აღარ მოუწევს.

საქართველოს განსაკუთრებულად ნიჭიერ მოქალაქეებს, მათთვის სათანადო შესაძლებლობების არარსებობის თუ შექმნილი არასტაბილურობის გამო, ქვეყნის დატოვება აღარ უხდებათ. პირიქით, ისინი ბრუნდებიან რწმენით, პატრიოტული სულისკვეთებით და პასუხისმგებლობის გრძნობით.

ამიერიდან, მოგზაურებსა თუ ტურისტებს ქალაქის ქუჩებსა და გზებზე კორუფციისა და ძალადობის შიში აღარ უნდა ჰქონდეთ.

ამიერიდან, ჩვენ აღარ მოგვიწევს ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც აჭარლებს დიქტატორული მმართველობის მარწუხებში მოაქცევენ.

დაბოლოს: ამიერიდან, აღარ მოგვიწევს ვცხოვრობდეთ როგორც ერი, რომელსაც საკუთარი ხალხისა და საზღვრების დაცვა არ შეუძლია.

ერთად მუშაობით ჩვენ ბევრს მივაღწიეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

იმისათვის, რომ საქართველო ძლიერ და ერთიან ქვეყნად ვაქციოთ, მოვიპოვოთ კეთილდღეობა, თითოეულმა ჩვენგანმა უფრო მეტი უნდა გააკეთოს.

ჩვენ მიერ დასახული ამოცანის შესრულება მხოლოდ ერთ ადამიანს, მინისტრთა ერთ კაბინეტს, ან ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ძალუძს.

მისი განხორციელება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც თითოეული თქვენგანი მიიღებს მონაწილეობას და საქართველოს მომავლის მშენებლობაში ჩაერთვება.

მინდა გითხრათ, რომ არა მარტო ჩვენი სამშობლოს წინაშე, არამედ მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების საქმეში თითოეულ ჩვენგანს აკისრია პასუხისმგებლობა. ამ საქმეში საქართველო ამერიკის პარტნიორი იქნება, ეს ჩვენი შემოთავაზებაა, ბატონო პრეზიდენტო!

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ვიზიარებთ თქვენს რწმენას, რომ დემოკრატიის ნაყოფი აღმოცენდება ახლო აღმოსავლეთში. ჩვენ გვჯერა, რომ დემოკრატია ერაყშიც არის შესაძლებელი. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ჩვენი ჯარისკაცები იქ ამერიკელების გვერდით მსახურობენ.

ჩვენ ქართველები ამაყად გეუბნებით, რომ დემოკრატიისთვის, თავისუფლებისა და უსაფრთხოებისთვის ბრძოლაში მუდმივად თქვენს გვერდით ვიქნებით.

საქართველოს მრავალეთნიკური კულტურა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სიძლიერეა. დღეს, მთელი მსოფლიოს დასანახად, კიდევ ერთხელ ვუწვდით ძმობისა და მეგობრობის ხელს ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებს.

ჩვენ არ გვინდა ომი! მათთან ერთად, მათი იდენტურობის დაცვით, ერთიანი საქართველოს ფარგლებში, ჩვენ მშვიდობა გვსურს.

დღეს, მთელი მსოფლიოს გასაგონად მინდა მოგმართოთ თქვენ - ამერიკელებო, დიდი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას დახმარება და თანადგომა ყველაზე მძიმე პერიოდებში აღმოუჩინეთ.

ეს იყო 1990-იანი წლების დასაწყისში, მაშინ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

სამი წლის წინათ, მაშინ, როდესაც საქართველო დაბომბეს და მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა, ამერიკა ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დასაცავად ხმა აღიმაღლა და ჩვენს მეზობელს უთხრა: წითელი ხაზი კავკასიის ქედზე გადის და საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა.

ამისათვის დიდი მადლობა თქვენ, ბატონო პრეზიდენტო!

როდესაც ამ მოედანზე ჩვენი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად გამოვედით, ამერიკა იყო პირველი, ვინც ქართველებს მხარში ამოუდგა და მე მინდა მადლობა გითხრათ, ბატონო პრეზიდენტო!

თუმცა საქართველოსთვის ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკის დახმარება.

მიუხედავად ვარდების რევოლუციის წარმატებისა, ჩვენს ქვეყანაში არის მხარეები, სადაც ქართველებს წართმეული აქვთ თავისუფლება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ჩვენი მოქალაქეების იზოლაციაში ყოფნას წერტილი უნდა დავუსვათ, მათ უნდა მივცეთ თანაბარი შესაძლებლობები, რათა დემოკრატიისა და თავისუფლების პირობებში განვითარდნენ.

დღეს ამერიკის პრეზიდენტი პირველი ლიდერია, რომელმაც ღიად, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ საქართველო იქნება ერთიანი და ამერიკა დაიცავს ჩვენი ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას.

მე მოგახსენეთ, რომ თავისუფლების დასაცავად უსაფრთხოების დამატებითი ზომები გვჭირდება, ამიტომ საქართველოს ხალხმა მყარად განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი უნდა გახდეს.

და დღეს პრეზიდენტმა ბუშმა ღიად გამოხატა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციას.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ გასულ ზამთარს შესაძლებლობა მქონდა, მომესმინა თქვენი მეორე საინაუგურაციო გამოსვლისთვის და მახსოვს თქვენი სიტყვები: "ყველამ, ვინც ტირანიასა და უიმედობაში ცხოვრობს, უნდა იცოდეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ დახუჭავს თვალს ამაზე და არ აპატიებს მჩაგვრელებს. როდესაც თქვენ თქვენივე თავისუფლებისთვის აღდგებით, ჩვენ, ამერიკელები მუდამ თქვენს გვერდით ვიქნებით."

იმ საღამოს მეგონა, რომ პირადად მე და ჩვენს ხალხს მოგვმართავდით, ჩვენს თავისუფლებაზე ლაპარაკობდით და ჩვენს დემოკრატიას იცავდით, ისევე, როგორც ყველა მეზობელი ხალხისას.

თქვენი სიტყვა დღეს შეასრულეთ - დღეს მთელი მსოფლიოს დასანახად ამერიკა, რომელიც რევოლუციის დროს ჩვენს გვერდით იდგა, ახლა - 150 ათასი ქართველის წინაშე დგას. დღეს თქვენ ჩვენს გვერდით ხართ, როგორც სიტყვის კაცი და როგორც ჩვენი მეგობარი.

მე მინდა, რომ დღეს, თავისუფლების მოედანზე მთელი ერის სახელით მსოფლიოში უდიდეს ლიდერს მივესალმო, რომელსაც თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი.

მივესალმები მას, როგორც ჩვენს დიდ მხარდამჭერსა და მეგობარს, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში, თავისუფლების მოედანზე, ბატონო პრეზიდენტო!

*საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური*



# ბუშის მეორე ვადის მეორე ევროპული ტურნე

## დემოკრატიისთვის სირთულეს არც რესტავრირებული საბჭოთა მანქანის მართვა წარმოადგენს



ხათუნა გაბიევი

*"ყველა მთავრობა უნდა ასახავდეს თავისი ქვეყნის კულტურასა და ისტორიას, მაგრამ ყველა დემოკრატია უნდა ასახავდეს ხალხის ნებას".*

აშშ-ს პრეზიდენტი
ჯორჯ ბუში

**"დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთთან არ ომობენ"** – დემოკრატიული მშვიდობის თეორიის უმთავრესი პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული დებულებაა. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მეორე ევროპული ტურნეს უმთავრესი მიზანიც სწორედ დემოკრატიისა და მშვიდობის აუცილებლობაზე აქცენტების გაკეთება იყო. ტურნე, რომელიც ევროპის დღისა და ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავის აღნიშვნას მიეძღვნა, პოსტსაბჭოთა სივრცეში შემდგარ დემოკრატიაში - ლატვიაში ვიზიტით დაიწყო (გაგრძელდა ჰოლანდიასა და რუსეთის ფედერაციაში) და ახალგაზრდა დემოკრატიის მხარდასაჭერად საქართველოში სტუმრობით დასრულდა.

9 მაისს მეორე მსოფლიო ომის დასრულების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ სამხედრო აღლუმს რუსეთის დედაქალაქში 50 მსოფლიო ლიდერი ესწრებოდა. აღსანიშნავია ერთი საინტერესო დეტალი - ბელარუსის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინის ერთგული მეგობარი, რომელიც ევროპის უკანასკნელი დიქტატორის სახელითაცაა ცნობილი, სამხედრო აღლუმს არ დასწრებია, მაშინ, როცა რუსეთის პრეზიდენტს წითელ მოედანზე გვერდს დასავლელ და აღმოსავლელ ლიდერებთან ერთად პოსტსაბჭოთა ქვეყნების მეთაურებიც უმშვენებდნენ. ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად მოსკოვს თურქმენეთის პრეზიდენტი (თუ გნებავთ, უგვირგვინო მონარქი) საფარმურატ ნიაზოვი, იგივე თურქმენბაშიც კი ეწვია. თუმცა, რუსეთის დედაქალაქის უმთავრესი სტუმარი მაინც აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იყო, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთათვის პატივის მიგების შემდეგ ვლადიმირ პუტინთან დახურულ კარს მიღმა, დაახლოებით, საათნახევრიანი დიალოგი გამართა. შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი ჩანდა ორივე მხარე. როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღნიშნეს, პრეზიდენტების საუბარი გულახდილი და კონსტრუქციული იყო. საუბრის თემები მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა, როგორც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის რეგულირების გზებსა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს, ასევე - ავტორიტარიზმისაკენ მიმართული რუსეთის ყურადღების მიქცევას მის მეზობელ სახელმწიფოებში დემოკრატიის განვითარების სიკეთეებისთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, "დემოკრატიისკენ საკუთარი გზით სიარულის" იმდენად სჯერა ვლადიმირ პუტინს, რომ არამარტო არასწორ სამომავლო კურსს, არამედ მცდარ ისტორიულ შეფასებებსაც არად დაგიდევთ. იმ დროს, როდესაც გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი მეოცე საუკუნეში ჰიტლერის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის ბოდიშს იხდის, ხოლო იაპონია ჩინელებს ისტორიული შეცდომებისთვის პატიებას სთხოვს, ვლადიმირ პუტინი "საბჭოთა კავშირის კოლაფსს ასწლეულის ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად" აფასებს.

### "დასავლეთის მინიშნება მოსკოვში კარგად გაიგეს" - გამოხმაურება ფრანგულ პრესაში

გავლენიანმა ფრანგულმა გაზეთმა "ფიგარომ" ვლადიმირ პუტინის მიერ 9 მაისს ჩატარებული მასშტაბური ღონისძიება რუსეთის განდიდებისა და მისი საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებისკენ სწრაფვად შეაფასა. თუმცა, რენომეს ამაღლებისთვის უმჯობესი იქნებოდა, რუსეთის პრეზიდენტს ეღიარებინა თავის დროზე აღმოსავლეთ ევროპის საბჭოური ოკუპაცია. არადა, ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტმა არ ისურვა, გამოეთქვა წუხილი საბჭოთა კავშირის მიერ ნახევარი ევროპის 50-წლიანი ოკუპაციის გამო, მოსკოვში სტუმრობისაგან თავი შეიკავეს ესტონეთისა და ლიტვის პრეზიდენტებმა.

საბჭოთა კავშირის ნგრევის ისტორიული შეფასებისას ნოსტალგიური განწყობის გამოვლენით ვლადიმირ პუტინმა ჯორჯ ბუშის გულისწყრომაც დაიმსახურა. საბჭოთა "ტირანია" აშშ-ს პრეზიდენტმა რიგაში ვიზიტისას დაგმო და აღნიშნა, რომ თავად "რუსეთის ინტერესებში უნდა იყოს საზღვრებთან დემოკრატიული მეგობრებისა და მოკავშირეების ყოლა". გარდა ამისა, "ფიგარო" აშშ-სა და რუსეთის ინტერესების წინააღმდეგობრიობაზე საუბრისას არც მათი პოზიციების გადამკვეთ წერტილებს ივიწყებს, კერძოდ - რუსეთ-აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორობას ბირთვულ სფეროში. **"ვინაიდან რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა, არ ღირს მისი კუთხეში მომწყვდევა. რუსეთს ოდინდელი დიდების დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი მიხვდება, რამდენად მომგებიანი იქნება მისთვისაც დემოკრატიაზე ფსონის დადება საკუთარ საზღვრებშიც და მის გარეთაც,"** - წერს გაზეთი.

რუსეთის მიერ, წინა წლებთან შედარებით, ნაკლებად მილიტარისტული სამხედრო აღლუმის ჩატარებას დასავლეთის ქარაგმების სწორად აღქმად აფასებს მეორე ფრანგული გაზეთი "ლიბერასიონი": **"სიგნალი სწორად იქნა გაგებული - აღლუმი ძალიან მოკრძალებული იყო. მასში, ძირითადად, ქვეითები და კავალერია მონაწილეობდა, ვეტერანები სატვირთო მანქანებით ჩამოატარეს მოედანზე, ხოლო სამხედრო თვითმფრინავებმა მარყუჟი წითელი მოედნის თავზე მხოლოდ ერთხელ შეკრეს".**

### "ცივი ომის მასშტაბების აღლუმი" - გამოხმაურება ბრიტანულ პრესაში

**"წითელ მოედანზე სხვა სტუმრებთან ერთად პრეზიდენტი ბუშიც იმყოფებოდა და თვალს ადევნებდა ცივი ომის მასშტაბების აღლუმს,"** - წერს "დეილი ტელეგრაფი" და არ ივიწყებს ამ ღონისძიებაზე გერმანიისა და იაპონიის ლიდერების პირველად დასწრებასაც.

ლენინის პორტრეტებისა და ნამგლისა და უროს გამოსახულების სიმრავლის მიუხედავად, "წინა 10 წელთან შედარებით, ნაკლებად მილიტარისტულს" უწოდებს აღლუმს "ფაინენშლ თაიმსი". გაზეთი რიგასა და თბილისში ბუშის ვიზიტით რუსეთის გაღიზიანებასაც აღნიშნავს. **"ეს იყო აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ფართო მასშტაბით გამოკვეთა"**, - ნათქვამია, ასევე, სტატიაში.

### "მათრახი და თაფლაკვერი პუტინისთვის" - შეფასება აშშ-ს პრესაში

"ვაშინგტონ თაიმსი"-ის თანახმად, ევროპაში ბუშის ვიზიტი პუტინისთვის "მათრახისა და თაფლაკვერის" პოლიტიკის დემონსტრირება იყო. თუ მან, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის ბატონობას "ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა" უწოდა და პუტინს მიუთითა, არ შეეშალა ხელი მეზობელი სახელმწიფოების დემოკრატიული განვითარებისათვის, მეორე მხრივ, კვირას ფაშიზმზე გამარჯვების აღლუმს დაესწრო და ამით მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობებში გამაწონასწორებელი ნიუანსი შეიტანა. გაზეთის თვალსაზრისით, ეს აშშ-ს პრეზიდენტის მხრიდან უახლესი ისტორიის სამართლიანი შეფასება იყო. თუ ჯორჯ ბუშს, ავტორიტარიზმისკენ აქტიური მისწრაფებების გამო, ჯერ კიდევ უწევს ვლადიმირ პუტინისთვის ხმამაღლა და საკმაოდ კრიტიკულად მითითება, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ვაშინგტონისთვის მოსკოვი საერთაშორისო პოლიტიკაში შეუცვლელ პარტნიორად რჩება. პირველ რიგში, რასაკვირველია, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იგულისხმება. პრეზიდენტ ბუშს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში, უმთავრეს ინიციატივებში ვლადიმირ პუტინის მხარდაჭერა სჭირდება. **"ბუშისა და პუტინის შეხვედრის პროდუქტიულობაზე შედეგები იმეტყველებს, რასაც მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ კი უდავოა - ეს შეხვედრა რუსეთისთვის მოვალეობების კიდევ ერთხელ შეხსენება იყო,"** - წერს "ვაშინგტონ თაიმსი".

კიდევ ერთი ამერიკული გაზეთის "ვაშინგტონ პოსტ"-ის თანახმად, მოსკოვის ღონისძიებამ მსოფლიო ლიდერები გააერთიანა - საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრირებისათვის ბუშმა და პუტინმა დაივიწყეს ომისშემდგომი მოვლენების განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოება.


## USAID-ის კავკასიის მისია საქართველოში აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

### პროექტის მართვის სპეციალისტი (კომერციული კანონმდებლობა, რეგულირება და მართვა) ვაკანსია N 114-05-07

*ეს ვაკანსია ცხადდება განმეორებით. Kმათ, ვინც უკვე შემოიტანა განაცხადი მოცემულ ვაკანციაზე, აღარ ესაჭიროებათ საბუთების განმეორებით შემოტანა.*

ძირითადი ფუნქციები: ვაკანსიას აცხადებს USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისის ეკონომიკის განვითარების განყოფილება. ამ თანამდებობას ძირითადი მოვალეობებია:

n 12-15 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის, 4 წლის ხანგრძლივობის კონტრაქტის მენეჯმენტი, რომელიც მოემსახურება ამჟამად განვითარების სტადიაში მყოფი კომერციული კანონმდებლობისა და რეგულირების რეფორმას.

n რეკომენდაციების გაწევა ეკონომიკის განვითარების პროგრამების იურიდიულ და კანონმდებლობით საკითხებში

n ნაყოფიერი ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება USAID-ის მაღალი რანგის პარტნიორებთან საქართველოს მთავრობაში, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

თანამდებობის რანგი: ამ თანამდებობის ზღვრული რანგი არის FSN-11. საწყისი ხელფასის მოცულობა განისაზღვრება წინა ხელფასის, კვალიფიკაციის დონისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით. შესაძლოა შერჩეული კანდიდატი აყვანილ იქნეს FSN-11-ზე დაბალ რანგზე, საჭირო გამოცდილების და კვალიფიკაციის სრულ დაუფლებამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

n იურისტის დიპლომი აკრედიტებული უნივერსიტეტებიდან. (აშშ-ს სტანდარტებით სამართლის დოქტორი (J.D.) ან სამართლის მაგისტრი (LL.M.); საქართველოს განათლების სტანდარტებით - ხუთწლიანი საუნივერსიტეტო კურსის დამთავრების შედეგად მიღებული იურისტის დიპლომი).

n ხუთიდან შვიდ წლამდე გამოცდილება მზარდი პასუხისმგებლობით, აქედან სამი წლის განმავლობაში კლიენტებისთვის სამართლებრივი რჩევების გაწევა იურიდიულ ფირმაში, ან კომერციული კომპანიისა ან ბანკის იურიდიულ განყოფილებაში.

n ორიდან სამ წლამდე მენეჯმენტის გამოცდილება (მაგ., თვიური ან წლიური დაგეგმვა და მიზნების დასახვა, თანამშრომელთა ხელმძღვანელობა, ბიუჯეტის შემუშავება და კონტროლი, პროექტების მართვა).

n ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა, დამატებით სასურველია რუსულის ცოდნა კარგ სამუშაო დონეზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოაკითხონ USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისს, მისამართზე - თელავის ქ. N20, სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული. სადაც მიიღებენ განაცხადის პაკეტს, რომელიც მოიცავს ამ თანამდებობის დეტალურ აღწერილობას, სამუშაოდ აყვანის განაცხადის ფორმას, და დეტალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შევსებული განაცხადის ფორმა, თანდართული CV , დალუქული კონვერტით უნდა ჩაბარებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 20 მაისის საღამოს 6 საათამდე. **დაგვიანებით შემოტანილი განაცხადის ფორმები არ მიიღება.**

**ჩვენ დავუკავშირდებით მხოლოდ გადარჩეულ კანდიდატებს. წინასწარი სატელეფონო ზარები ან პირადი შეხვედრები დაუშვებელია.**

*USAID is an Equal Opportunity Employer*


# ჯორჯ ბუშის ვიზიტი დასავლური მედიის თვალით

პირველი გვერდიდან

**"ბუშის აღტაცებული დახვედრა საქართველოში"** - ასეთი სათაური აქვს ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის ამსახველ სტატიას ამერიკულ "იუ ეს ეი თუდეი"-ში...

მოკლედ, მსოფლიოს ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი მედიასაშუალება აშშ-ს ლიდერის საქართველოში ვიზიტის ემოციური დატვირთვით იწყებს მოვლენის გაშუქებას.

აშკარაა, დასავლური პრესის გაკვირვება – ამერიკელი ლიდერს ხომ არცთუ დიდი პატივით ხვდებიან ევროპელები.

გუშინდელი დღის კიდევ ერთი, თვალშისაცემი მომენტი ის იყო, რომ, თითქმის, ყველა სერიოზული გამოცემა ნაკლებ ადგილს უთმობდა მოვლენის პოლიტიკურ ანალიზს და მხოლოდ ვიზიტის აღწერით შემოიფარგლებოდა. ალბათ, ეს გასაგებიცაა – ჯორჯ ბუშის საქართველოში ჩამოსვლა მნიშვნელოვანი გზავნილი იყო, რომელიც გარკვეულ ანალიზს საჭიროებს. კონკრეტული შედეგები, თუნდაც სხვადასხვა რანგისა და ეროვნების მოღვაწეების მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერის გამომხატველი განცხადებების დონეზე, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი; ხოლო ექსპერტთა პროგნოზები უკვე დღეს გახმოვანდება.

# თანამშრომლობის ოთხი საერთო სივრცე

## რამდენად "წარმატებული" გამოდგა რუსეთი-ევროკავშირის სამიტი

*რუსეთი-ევროკავშირის რიგით მე-15 სამიტი "საგზაო რუკების" ხელმოწერით დასრულდა. შეთანხმება, რომელიც მხარეებს შორის ახალი სახის ურთიერთობების მომწესრიგებელი ძირითადი დოკუმენტი უნდა გახდეს, მიუხედავად წლების განმავლობაში მიმდინარე დავისა, რთულად, მაგრამ მაინც მიღწეულ იქნა – ამიერიდან რუსეთსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში გაღრმავებას წინ აღარაფერი უდგას.* ***"დიდი, გაერთიანებული ევროპის ფორმირების პროცესი გრძელდება და ჩვენი ქვეყანა მასში დიდი ინტერესით მონაწილეობს,"*** *- ხაზგასმით აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა შეხვედრისას. თუმცა, რა სახეს მიიღებს მომავალში ეს "საინტერესო თანამშრომლობა", კვლავაც კითხვის ქვეშ რჩება.*

დამთხვევა იყო ალბათ, რომ ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიმდინარე ღონისძიებების ფონზე, 10 მაისს მოსკოვში ევროკავშირი-რუსეთის სამიტი გაიმართა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამიტის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო კარგავდა ფასს დოკუმენტი-შეთანხმება, რომელსაც ევროკავშირისა და რუსეთის ლიდერებმა მოაწერეს ხელი. ფასს კარგავდა იმის გამო, რომ დოკუმენტის მნიშვნელოვან ნაწილზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამის მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რუსეთი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ყოფილ საბჭოთა სივრცეზე გავლენის დაკარგვის შიშით. მიუხედავად ამისა, ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ მხარეები ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის "ახალი ერა" დაიწყო.

რუსული საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტი"-ს ცნობით, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა კმაყოფილი დარჩა რუსეთის ხელმძღვანელობასთან "კარგი შეხვედრის" შედეგებით. **"უზარმაზარი პროგრესია მიღწეული,"** - ასე შეაჯამა სოლანამ ევროკავშირსა და რუსეთს შორის პარტნიორობის გაღრმავების შესახებ გამართული მოლაპარაკებები, ხოლო პრეზიდენტმა პუტინმა მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას ორივე მხარისთვის მისაღები კომპრომისი უწოდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ორი მხარე შეთანხმდა სავაჭრო და პოლიტიკური კავშირების გაღრმავებაზე, რომლებიც ოთხ საერთო სივრცეს მოიცავენ: ეკონომიკიდან დაწყებული - საგარეო უსაფრთოხებამდე. **"საგზაო რუკების" შეთანხმება და მიღება... საშუალებას მოგვცემს, სერიოზულად წავიწიოთ წინ ერთიანი ევროპის მშენებლობის საქმეში,"** - განაცხადა სამიტის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. კრემლი, რომელიც წლების განმავლობაში ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის გაფართოებას, დღეს აცხადებს, რომ **"ევროპაში ახალი გამყოფი ხაზები არ უნდა წარმოიქმნას"**.

შეგახსენებთ, საუბარია თანამშრომლობის ოთხ საერთო სივრცეზე – ეკონიმიკისა და ვაჭრობის; თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების; საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების; ასევე - მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროებში. ეს შეთანხმებები 2007 წლიდან უნდა შევიდეს ძალაში.

სამიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება უდავოდ იყო სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე კონსულტაციების დაწყება – ყოველ შემთხვევაში, ასეა ნათქვამი მხარეების ერთობლივ განცხადებაში; ასევე, მიღწეულია შეთანხმება ევროკავშირში მყოფი რუსი არალეგალური მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებაზე რუსეთის პასუხისმგებლობის შესახებ.

**"ვფიქრობ, ეს სამიტი ჩვენს ურთიერთობებს ახალ იმპულსს შესძენს,"** - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ ორშაბათს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

გუშინ გამართულ შეხვედრაზე ევროპის მხრიდან მონაწილეობდნენ - ევროპული საბჭოს თავმჯდომარე, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი ჟან-კლოდ იუნკერი, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა, ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან ასელბორნი, ევროკომისარი საგარეო და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერი და ევროკომისარი სავაჭრო ურთიერთობების საკითხებში პიტერ მენდელსონი; რუსეთის მხარეს კი პრეზიდენტი პუტინი, პრემიერ-მინისტრი მიხაილ ფრადკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა უმაღლესი თანამდებობის პირები წარმოადგენდნენ.

ოთხი საერთო სივრცის ფორმირების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2003 წელს სანკტ-პეტერბურგის სამიტის დროს იქნა მიღებული. თუმცა, ხელმოსაწერი დოკუმენტების ტექსტების საბოლოო შეთანხმება ორშაბათს მოხდა ევროკავშირის მმართველი ორგანოების უმაღლეს წარმომადგენლობასა და რუსეთის საგარეო უწყებას შორის პირისპირ შეხვედრისას.

ალბათ, საკმაოდ ზუსტი იყო ევროკავშირში რუსეთის სპეციალური წარმომადგენელის სერგეი იასტრჟემბსკის შეფასება სამიტის შედეგებთან დაკავშირებით: **"ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა პრობლემა გადავწყვიტეთ, მაგრამ მნიშვნელოვნად კი წავიწიეთ წინ"**. ხოლო, რაც შეეხება რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებს ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყნასთან (პირველ რიგში, იგულისხმება ბალტიისპირეთის ქვეყნები და მათი პრეტენზიები საბჭოთა ოკუპაციასთან დაკავშირებით), კრემლის აზრით, "ეს საკითხი სხვაგვარი განხილვის საგანია".

ასე რომ, ბრიუსელს ჯერჯერობით მიღწეული შეთანხმებების შესრულების იმედად ყოფნა მოუწევს. **"მთავარი, რაზეც დღეს უნდა ვიზრუნოთ, ყველა არსებული შეთანხმების პრაქტიკული განხორციელებაა, და რაც შეიძლება - სწრაფად,"** - ასეთია ხავიერ სოლანას პოზიცია.

### საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC Economic Policy and Research Center

ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრის მცდელობა, ორი კვირის მანძილზე ხაზინიდან მიიღო ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების უახლესი მონაცემების შესახებ, გასული კვირის მონიტორინგამდე ნარუმატებულ სრულდებოდა. ოფიციალური მოტივაცია ასეთი გახლდათ: ქვეყანაში შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციის ფონზე ბიუჯეტის ხარჯების 20 მილიონი ლარით გაზრდასთან დაკავშირებით ხაზინა ახალ მონაცემებს აჯამებდა. კვირის მიწურულს, 6 მაისის ცენტრმა მოახერხა ოთხი თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ბიუჯეტის გადაჭარბებაზე გვამცნობს. დღეს ამ მონაცემებს უკომენტაროდ გთავაზობთ. უფრო დეტალური ინფორმაციის მიღების შემდეგ კი უფრო ვრცელ ანალიზს შემოგთავაზებთ.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 112.6 მლნ ლარის გადაჭარბებით შესრულდა.

2005 წლის საქართველოს იანვარ-აპრილის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლისა და გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 896.1 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 30.3 პროცენტია. ამავე პერიოდში მობილიზებულა 1008.7 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 112.6%, რაც 62.1%-ით აღემატება 2004 წლის შესაბამის პერიოდში მობილიზებულ თანხებს.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის 114.4%-ით შესრულდა, მობილიზებულმა თანხამ 653.9 მლნ ლარს შეადგინა. არასაგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 108.4 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 48.8 პროცენტით. მობილიზებული იქნა 127.0 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 117.2%, რაც 2004 წლის შესაბამის პერიოდში მობილიზებულ თანხებს 20.8%-ით აღემატება.

| დასახელება | ხუთი თვის პროგნოზი | ხუთი თვის შესრულება | % | მაისის შესრულება | 6 მაისი |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 904.28 | 840.81 | 93% | 16.69 | 5.03 |
| საგადასახადო შემოსავლები | 676.95 | 602.45 | 89% | 15.08 | 4.69 |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 109.81 | 117.18 | 107% | 1.22 | 0.28 |
| კაპიტალური შემოსავალი | 208.05 | 209.30 | 101% | 0.39 | 0.06 |
| გრანტები | 9.46 | 11.09 | 117% | 0.00 | 0.00 |
| დაფინანსების წყაროები | | 93.39 | | 1.91 | 1.01 |
| გარდამავალი საბიუჯეტო ნაშთები | | 54.03 | | 0.00 | 0.00 |
| ხაზინის ვალდებულებიდან შემოსავლები | | 11.63 | | 1.91 | 1.91 |
| მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| ეროვნული ბანკის სესხი | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| წინა წლის გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება | | 3.10 | | 0.01 | 0.01 |
| საინვესტიციო კრედიტები | | 15.99 | | 0.00 | 0.00 |

*6 მაისის მდგომარეობით.*

## იუსტიციის სასწავლო ცენტრში ფინანსური კონსულტაციის სასწავლო კურსი გაიხსნა

იუსტიციის სასწავლო ცენტრში გუშინ ფინანსური კონსულტაციის ინტენსიური სასწავლო კურსი გაიხსნა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ავსტრიის ინსტიტუტის Hans-Sachs-Institut /School of Advanced Studies-ისა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, დღეს ქართულ-ავსტრიული სასწავლო კურსი გაიხსნა. მსმენელები კაპიტალის ბაზრის ძირითად სფეროებს, საერთაშორისო ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდებით გლობალური ვაჭრობის ცნებებსა და მნიშვნელობებს შეისწავლიან. გარდა ამისა, კაპიტალდაბანდებების რისკსა და შესაძლებლობებში გაერკვევიან.

აღნიშნულ თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 2004 წლის ბოლოს, Hans-Sachs-Institut –ის დირექტორის, მარტინ შტიგერის საქართველოში ვიზიტის დროს. პირველი სემინარი, სახელწოდებით "ეკონომიკა და ადმინისტრირება" 2005 წლის მარტ-აპრილში ჩატარდა, რის შემდეგაც მსმენელებმა გამოცდა ჩააბარეს და ავსტრიული ინსტიტუტის საერთაშორისო სერტიფიკატი მიიღეს.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის სულხან გამყრელიძის განცხადებით, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდება, რის შედეგადაც არაერთი სასწავლო პროექტი განხორციელდება. **ინტერ-პრესი**


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის მაინის ფრანკფურტის რეკონსტრუქციის ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ***ბაღდათის რაიონის სოფელ ზეგანის თემის ცენტრის აღდგენა.***

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ბაღდათის რაიონის სოფელ ზეგანის განვითარების სათემო კავშირთან "ზეგანი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***saTemo kavSiri "zegani"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, ბაღდათის რაიონი,***
***სოფელი ზეგანი, საბავშვო ბაღის შენობა***
***საკონტაქტო პირი: ამირან გუმბერიძე, სათემო კავშირი "ზეგანი"- თავმჯდომარე***

**2005** წლის **16** მაისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, ბაღდათის რაიონი,***
***სოფელი ზეგანი, საბავშვო ბაღის შენობა***
***საკონტაქტო პირი: ამირან გუმბერიძე, სათემო კავშირი "ზეგანი"- თავმჯდომარე***

***2005 წლის 16 ივნისის 15:00 საათამდე.***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03


# ქართული ბიზნესი - ბუშის ვიზიტის მნიშვნელობაზე

*ორი დღის განმავლობაში საქართველო აღფრთოვანებით, ინტერესით, მოლოდინით, ერთგვარი შიშით და რაღაც დიადის შეგრძნებით ადევნებდა თვალყურს საქართველოში აშშ-ს ლიდერის ვიზიტს, რომლის სიმბოლურობასა თუ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე უკვე ბევრი რამ ითქვა და, ალბათ, კიდევ ითქმება. "24 საათმა" სცადა, ამ ვიზიტის შესაძლო ეკონომიკური ეფექტის შესახებ წარმატებული ქართველი ბიზნესმენების აზრი გაეგო.*

**თემურ ჭყონია – "კოკა-კოლა": "ისე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ საკუთარი თავი ასეთი არასდროს მახსოვს..."**

ბუშმა ისეთი მესიჯი დატოვა, რომ, წესით, ქართველებმაც უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ. რა პასუხისმგებლობაც აიღო ხალხმა დემოკრატიისა და სახელმწიფოს წინაშე, ის უნდა შესრულდეს. ჩვენ თავადაც უნდა გავანძრიოთ ხელი, თუმცა უცხოელების დახმარების გარეშეც არ შეიძლება. არა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა უნდა იყოს ინტეგრირებული საბაზრო სისტემაში.

ბუნებრივი და ლოგიკურიც არის, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოთი ბუშის ვიზიტის შემდეგ კიდევ უფრო დაინტერესდებიან. უკვე დაინტერესდნენ კიდეც. ეს ხომ პატარა მოვლენა არ არის? ამხელა ქვეყნის პრეზიდენტის და ასეთი დონის პოლიტიკოსის ჩამოსვლა საქართველოში, სხვა ბევრ რამესთან ერთად, არის ხაზგასმა იმისა, რომ ის ენდო საქართველოს მთავრობას და პირველ რიგში - ამ ქვეყნის ხალხს. ეს მომენტი კი ქვეყნის იმიჯზე და უცხოელი ინვესტორების საქართველოს მიმართ ნდობის ხარისხზე კარგად იმოქმედებს. კიდევ უფრო ბევრ მათგანს გაუჩნდება ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლისა და აქ საქმის კეთების სურვილი.

დღეს რთული სათქმელია, როდის მოხდება ეს, ან რომელი სფეროთი დაინტერესდებიან ისინი განსაკუთრებულად, თუმცა ერთი რამ ცხადი და ნათელია: არცთუ შორეულ პერსპექტივაში, ბუშის ვიზიტი ქვეყანას ეკონომიკური თვალსაზრისითაც ძალიან დიდ ძვრებს და დადებით შედეგებს მოუტანს.

მე, პირადად, ისე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ საკუთარი თავი ასეთი არასდროს მახსოვს. მე მქონდა ამ დღეებში ურთიერთობა ჩემს უცხოელ პარტნიორებთან – "კოკა-კოლას" სათაო ოფისის ხელმძღვანელებთან. ჩვენი საუბრის ერთ-ერთი თემა სწორედ ბუშის ვიზიტი იყო. ისინი აღფრთოვანებულები არიან ამ მოვლენით და წარმოუდგენლადაც ეჩვენებოდათ.

მერწმუნეთ, მე ძალიან ბევრი ქვეყანა მაქვს ნანახი და დანამდვილებით ვიცი, რომ ამდენი ადამიანი თავს არ მოიყრიდა ერთად და ამდენ ხანს არ დაელოდებოდა, ვინც არ უნდა ჩასულიყო მათ ქვეყანაში.

**პაატა კურტანიძე – ფარმაცევტული კომპანია "ავერსი: "ბუშის ვიზიტი არის უდიდესი მოვლენა, ძალიან კარგი რეკლამა ზოგადად ქვეყნის, ქართული ბიზნესის, ქართული პროდუქციის..."**

ჩემთვის, როგორც ქართველი ბიზნესმენისთვის, ბუშის ვიზიტი საქართველოში რამდენიმე მიზეზის გამო არის მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, ჩემი უცხოელი პარტნიორებისთვის (საუბარი მაქვს ახალ პარტნიორებზე), ერთი მხრივ, ძალიან გაადვილდება იმის ახსნა, თუ სად მდებარეობს საქართველო, რა ტიპის, რამდენად მნიშვნელოვანი და საინტერესო ქვეყანაა. მეორე - გამიადვილდება მათი დარწმუნება იმაში, რომ ჩემს ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებისთვის უსაფრთხო გარემოა. ამისთვის საუკეთესო არგუმენტი მაქვს – ბუშის ვიზიტი. მისი ჩამოსვლა არის პირდაპირი მესიჯი უცხოელი ბიზნესმენებისთვის, რომ საქართველოში მართლაც უსაფრთხო გარემოა. ეს ფაქტი კი, თავისთავად, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში მათ მოზღვავებას. თუმცა, ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: როცა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ხდება უცხოელი ინვესტორების მოწვევა ქვეყანაში, მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ პირველ რიგში საჭიროა კარგი ბიზნეს-გარემოს შექმნა ადგილობრივი მეწარმეებისთვის. ჩვენ თანაბარ პირობებში უნდა ვიყოთ ჩვენს უცხოელ კოლეგებთან მიმართებაში და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მათთვის უკეთესი და განსაკუთრებული პირობების შექმნა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს არც ერთი ჩვენგანის თვითმიზანი, ხელისუფლების წარმომადგენლების ჩათვლით, რომ მაინცდამაინც უცხოელ ინვესტორებს შეექმნათ ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემო და, ამ ფონზე, ქართველი ბიზნესმენების ნიჭი, შრომა და უნარი ჩრდილქვეშ დარჩეს. საქართველოში დღეს მართლაც არის რამდენიმე ისეთი კომპანია, რომლებიც ევროპულ და მსოფლიო დონეზეც კი მუშაობენ, და ზოგჯერ შესაძლოა, უცხოურმა კომპანიებმა ბევრი რამე მათგან ისწავლონ.

საერთო ჯამში, ბუშის ვიზიტი არის უდიდესი მოვლენა, ძალიან კარგი რეკლამა ზოგადად ქვეყნის, ქართული ბიზნესის, ქართული პროდუქციის, და ნამდვილად მიხარია, რომ ამ მოვლენის მომსწრე და მონაწილე მეც ვარ.

**ზურა მარგველაშვილი – "თბილღვინო": "დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიზიტი ქვეყანას რეგიონში ეკონომიკური ლიდერის სტატუსსაც მოუტანს"**

აშკარაა, რომ საქართველოში საინვესტიციო გარემო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა. ის დღეს ბევრად უკეთესი და მიმზიდველია. ბუშის ვიზიტის შემდეგ, ვფიქრობ, რომ ეს ტენდენცია კიდევ უფრო საგრძნობი გახდება. შეერთებული შტატების პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლით ცალსახა ხდება, რომ ამერიკის მთავრობა ჩვენს ქვეყანას აღიარებს, როგორც პოლიტიკურ ლიდერს რეგიონში, რაც ახლო პერსპექტივაში, დარწმუნებული ვარ, ქვეყანას ეკონომიკური ლიდერის სტატუსსაც მოუტანს. დღეს მე მიჭირს ზუსტად იმის თქმა, თუ რა დოზით და რამდენად ძლიერად იმოქმედებს ეს ვიზიტი უცხოური ინვესტიციების მოზღვავებაზე, თუმცა ფაქტია, რომ ინვესტიციები გაიზრდება.

ბუშის ჩამოსვლა არის მხარდაჭერა იმისა, რომ ქვეყანა გახდეს უფრო სტაბილური, პირველ რიგში, პოლიტიკურად და შემდეგში - ეკონომიკურად. ძალიან მინდა, რომ ეს ვიზიტი ჩვენი მომავალი - როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური - სტაბილურობის ძალიან დიდი ნახტომი გახდეს.

**თორნიკე აბულაძე – კომპანია "არსი": "ბუშის ვიზიტი საქართველოში რისკებს შეამცირებს"**

ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ეს მართლაც მნიშვნელოვანი მესიჯია. ბუშის ვიზიტი ადასტურებს და ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ფრთის ქვეშ არის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ცალსახაა, რომ ეს ვიზიტი გავლენას იქონიებს ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდაზე. თუკი წინათ საქართველო ინვესტორებისთვის, სანდოობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, მაღალი რისკის ქვეყნად იყო ცნობილი, ვარდების რევოლუციის შემდეგ ინვესტორების ეს დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. ბუშის ვიზიტის შემდეგ ქვეყნის არასანდოობის კოეფიციენტი კიდევ უფრო შემცირდება. უცხოური ბიზნეს-კომპანია, რომელიც დღემდე იყო საქართველოთი დაინტერესებული და აქ ფულის ჩადებაზე, გარკვეულწილად, ყოყმანობდა, დღეს მას უფრო მეტი გამბედაობა, სტიმული და მოტივი გაუჩნდება იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციები განახორციელოს.

ბიზნესმენებში აუცილებლად გაჩნდება ხედვა და რწმენა იმის, რომ საქართველოში რისკები შემცირდა.

**ირაკლი მექვაბიშვილი - გაერთიანებული ქართული ბანკი: "გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ზესახელმწიფოს ლიდერის სტუმრობა მსოფლიოს ბიზნეს-სამყაროსთვის გაგზავნილი პირდაპირი მესიჯია"**

ეს ვიზიტი, თავისი პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, ძალიან სერიოზულ ეკონომიკურ მნიშვნელობასაც ატარებს. ეს ბუნებრივიც არის, გამომდინარე იქიდან, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ზესახელმწიფოს ლიდერის სტუმრობა არის მსოფლიოს ბიზნეს-სამყაროსთვის გაგზავნილი პირდაპირი მესიჯი საიმისოდ, რომ ამ ქვეყანაში განწყობილნი არიან რეალური თამაშისთვის და ერთიან, გლობალურ ბიზნეს-გარემოში ჩართვისთვის მზად არიან. ვფიქრობ, რომ ეს ვიზიტი აუცილებლად კონკრეტულ დადებით შედეგებს გამოიღებს, თანაც უახლოეს მომავალში. ვფიქრობ, რომ დასავლური კაპიტალის მოზღვავება ყველა მიმართულებით ამ ვიზიტის შემდეგ ერთი-ორად საგრძნობი გახდება.

შესაძლოა, ამას არ მოჰყვეს პირდაპირი ინვესტიციები საბანკო სექტორში, თუმცა ცხადია, რომ თუკი ქვეყანაში გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა და რაოდენობა, გაიზრდება ქვეყნის წლიური ბრუნვაც და ეს ყველაფერი გვერდს ვერ აუვლის საბანკო სექტორს.

დღეს მე ვხედავ, რომ ქართული საბანკო სექტორი მზად არის იმ მოცულობის საფინანსო ნაკადების გასატარებლად, რა მოცულობის ნაკადებიც არის მოსალოდნელი ამ ვიზიტიდან.

*ჩაიწერა*
*მარიამ ჯაჭვაძემ*

# "საქართველოს ტელეკომის" პრიორიტეტი - დიალოგი მომხმარებელთან

დასრულდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიის "საქართველოს ტელეკომის" (კოდი 8-10) პრივატიზაცია. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 51-პროცენტიანი წილის, ერთიანობაში კი, 81 პროცენტის მფლობელი გახდა ამერიკული კონცერნი "Metromedia International Group, Inc."-ი (კონკრეტულად, მისი შვილობილი კომპანია "International Telcell Inc."-ი), რომელსაც აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის სატელეკომუნიკაციო სივრცეში მოღვაწეობის უდიდესი გამოცდილება გააჩნია, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს შესაბამის ბაზარს და წლების მანძილზე მისი წარმატებული მონაწილეა.

1994 წელს "მეტრომედია" გახლდათ ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი პირველი ქართული საერთაშორისო ოპერატორის შექმნისა, "საქართველოს ტელეკომის" (კოდი 8-10) სახით, რის შემდგომაც პირველად გახდა შესაძლებელი საერთაშორისო სამყაროსთან პირდაპირი (შუამავალი რგოლის გარეშე) სატელეფონო კავშირის დამყარება.

"საქართველოს ტელეკომის" 11-წლიანი არსებობის მანძილზე "მეტრომედიამ" უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა კომპანიის საბოლოო ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მისი უშუალო მხარდაჭერით შეიქმნა "ტელეკომის", თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა:

"სიმენსის" წარმოების ციფრული საერთაშორისო სატელეფონო სადგურები და მათი დამაკავშირებელი ციფრული რადიოსარელეო ხაზი საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიაზე... დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მიწისზედა სადგურები და ათასამდე თანამგზავრული თუ ოპტიკურ-ბოჭკოვანი პირდაპირი არხი... მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან ოპერატორებთან - აი, **უმთავრესი პირობა იმისა, რომ "საქართველოს ტელეკომის" კოდით 8-10 დამყარებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირები გამოირჩევა საუკეთესო ხარისხით, რაც, თავის მხრივ, უმთავრესი პირობაა იმისა, რომ "ტელეკომი", ძლიერ კონკურენტულ გარემოშიც კი, ყველაზე პრესტიჟული ოპერატორის იმიჯსა და სატელეკომუნიკაციო ბაზრის სოლიდურ წილს ინარჩუნებს.**

დღეს, ინვესტორის ინტერესებიდან გამომდინარე, "საქართველოს ტელეკომში" დაიწყო და უკვე საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს კომპანიის განვითარების ახალი ეტაპი. *საერთაშორისო ოპერატორმა პრიორიტეტულ მიზნად დაისახა საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების მაქსიმალური ორიენტირება მომხმარებლის მოთხოვნებზე.*

**მოთხოვნა N1 - მე მსურს, შეუფერხებლად დავრეკო და ვისაუბრო საზღვარგარეთ...**

...სწორედ ამ მიზნით, "საქართველოს ტელეკომში" მიმდინარეობს ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, რათა კომპანიამ არამარტო გარანტირებულად შეინარჩუნოს, არამედ გააუმჯობესოს და დახვეწოს საერთაშორისო სატელეფონო კავშირების მაღალი ხარისხის სტანდარტი.

ამჟამად კომპანიაში მაქსიმალურად მობილიზებულია როგორც ადგილობრივი ტექნიკური რესურსები, ისე კავშირები უცხოურ ოპერატორებთან, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი შეფერხება საზღვარგარეთ დაკავშირების სისწრაფისა და უხარვეზო სმენადობის თვალსაზრისით.

ამასთან, კომპანიისათვის მეტად აქტუალურია, რათა კლიენტს შეუქმნას მომსახურების სრული პაკეტი და შესთავაზოს არამარტო ხმოვანი ინფორმაციის, არამედ მონაცემთა მაღალხარისხოვანი გადაცემაც. შესაბამისად, უახლოეს მომავალში "საქართველოს ტელეკომის" მომხმარებლები, ISDN ტექნოლოგიის პარალელურად, შეძლებენ DSL ტექნოლოგიების უახლესი ფორმებით სარგებლობას.

**მოთხოვნა N2 - მე მსურს, სატელეფონო საუბრებში შეძლებისდაგვარად ნაკლები გადავიხადო**

პირველი აპრილიდან "საქართველოს ტელეკომმა" საერთაშორისო სატელეფონო კავშირების ბაზარზე საყოველთაოდ დამკვიდრებული ფასების ტენდენციებში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა. "ტელეკომის" ახალი ტარიფები საშუალებას იძლევა, რომ მომხმარებელმა თავისი დანახარჯი საერთაშორისო სატელეფონო საუბრებზე - **ამერიკის, ევროპისა და რუსეთის მიმართულებით - 12,5-დან 50 პროცენტამდე (საშუალოდ, 29 პროცენტით) შეამციროს, აზიის ქვეყნების მიმართულებით კი - 14-დან 70 პროცენტამდე (საშუალოდ, 40 პროცენტით).**

ამასთან, "ტელეკომს" შემოაქვს დიფერენცირებული ტარიფის პრინციპი და მომხმარებელს სთავაზობს *დამატებით შეღავათს (ზემოთაღნიშნულ ახალ ტარიფებზე 5-დან 10 თეთრამდე ფასდაკლება) დასვენების დღეებსა და ღამის საათებში,* რადგანაც, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების დროთა შეფარდების გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ღამის საათებია ყველაზე ხელსაყრელი ახლობლებთან სატელეფონო კავშირებისათვის.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: "საქართველოს ტელეკომი" საკუთარი კოდის - 8-10-ის მომხმარებლის ბიუჯეტზე ზრუნავს არამარტო დაბალი ტარიფებით, არამედ სატელეფონო კავშირების გარანტირებულად მაღალი ხარისხითაც. კერძოდ, მაქსიმალურად მაღალი (ხარვეზების, მათ შორის, ექოს გარეშე) სმენადობა მომხმარებელს საშუალებას აძლევს, რათა სატელეფონო საუბარი ყოველგვარი შეყოვნების გარეშე წარმართოს, შესაბამისად, საუბრისთვის დახარჯოს გაცილებით მცირე დრო, ვიდრე დახარჯავდა საუბრისას ამა თუ იმ ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, რაც საბოლოოდ აისახება თანხობრივ გადასახადზე.

**მოთხოვნა N3 - მე მსურს, უპრობლემოდ დავფარო სატელეფონო გადასახადები და თავისუფლად მივიღო საერთაშორისო საუბრებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია**

დღეისათვის "საქართველოს ტელეკომი" "ხარისხის მართვის სისტემისა" და "სერვის პლუსის" დანერგვის პროექტებს ახორციელებს, რისი მიზანიც კომპანიის მენეჯმენტის მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევა და მომხმარებელთა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება გახლავთ. ამასთან, მიმდინარეობს კომპანიის სერვის-ცენტრების მოდერნიზაცია და საანგარიშსწორებო სისტემის პროგრამული სრულყოფა.

შედეგად, კოდი 8-10-ით სარგებლობის შემთხვევაში, ანგარიშსწორების პროცესი მაქსიმალურად სწრაფი და კომფორტული გახდება. არჩევანის შემდეგ, თუ სად გადაიხადოს მომხმარებელმა დავალიანება: "საქართველოს ტელეკომის" სერვის-ცენტრში, გატანილ საანგარიშსწორებო პუნქტში თუ ახლომდებარე ბანკის ფილიალში, მას ოპერატიულად მოემსახურება საგანგებოდ მომზადებული და ინფორმირებული პერსონალი, თუ არ ჩავთვლით იმ მომხმარებლებს, რომლებიც უპირატესობას ინტერნეტით ანგარიშსწორებას ანიჭებენ ან წინასწარ შეძენილი "ტელეკომბარათებით" (ამ უკანასკნელ შემთხვევაში მომხმარებელს დავალიანება არ ერიცხება) სარგებლობენ.

დღეს "საქართველოს ტელეკომის" ერთ-ერთი პრიორიტეტია, შეიმუშაოს მომხმარებელთან ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა – დაამყაროს თითოეულ მათგანთან უშუალო კონტაქტი, მოუსმინოს მათ და დამატებითი ინფორმაციული სერვისები შესთავაზოს. შესაბამის მოთხოვნებს, სხვა სამსახურებთან ერთად, უპასუხებს ინტელექტუალური პლატფორმის ბაზაზე შექმნილი ე. წ. "ქოლ-ცენტრიც", სადაც მომხმარებელი შეძლებს დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, ამასთან, შეიტყოს ინფორმაცია დავალიანების, საერთაშორისო კოდების ან სხვა მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

**მოთხოვნა... არ არის, თუმცა სიურპრიზი ყოველთვის სასიამოვნოა**

არსებობს მომხმარებელი, რომელიც უპირატესობას ერთდროულად რამდენიმე საერთაშორისო კოდით სარგებლობას ანიჭებს ან მისთვის დამაკმაყოფილებელი პირობების ძიებაში ოპერატორს ხშირად იცვლის...

.... და კიდევ, არსებობს მომხმარებელი, ვინც მომსახურების სასურველი ფორმა უკვე იპოვა და, ამდენად, კომპანიის სტაბილური კლიენტია.

"საქართველოს ტელეკომისათვის" ყველა აბონენტი ძვირფასია, თუმცა ერთგული აბონენტებისადმი კომპანიაში განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობს, რაც აისახა 2005 წლისათვის შემუშავებულ პროექტში სახელწოდებით "თვის ნომინანტები".

პროექტის თანახმად, მთელი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად გამოვლინდებიან როგორც ერთგული (აბონენტი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში სარგებლობდა კოდით 8-10), ისე ყველაზე აქტიური (20 აბონენტი, ვინც თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ისაუბრა) მომხმარებლები, რომლებიც უფასო სალაპარაკო დროითა (ტელეკომბარათების სახით) და "საქართველოს ტელეკომის" სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან.

იანვრისა და თებერვლის თვეებში უკვე დაჯილდოვდა 100-მდე აბონენტი, რომლებზეც, საერთო ჯამში, 4 000 ლარის ღირებულების უფასო სასაუბრო დრო და "საქართველოს ტელეკომის" ატრიბუტიკით გაფორმებული სუვენირები გაიცა.

ამჟამად მიმდინარეობს მარტისა და აპრილის მონაცემების დამუშავება, ასე რომ, სიურპრიზები "საქართველოს ტელეკომისაგან" გრძელდება, არამარტო ახალი ნომინანტებისათვის, არამედ მათთვისაც, ვინც წინა თვეებში უკვე გაიმარჯვა.

*"საქართველოს ტელეკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა მარჯანიშვილის მოედანზე ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი, მრავალჯერ ნასამართლევი, 39 წლის თემურ ვარდუაშვილი, მეტსახელად "ცაცო", რომელიც ორ პირთან ერთად დანის მუქარით ცდილობდა 56 წლის ზურაბ ხადურის ავტომანქანის "ოპელ-ომეგას" გატაცებას. პატრონის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევისას ორმა თანამზრახველმა ავტომანქანიდან გაიტაცა აუდიო-მაგნიტოფონი და მიიმალა. გატარებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ვარდუაშვილის თანამზრახველები - 22 წლის გურამ ვარდუაშვილი, მეტსახელად "სლიპა", და ქალაქ ხონში მცხოვრები 22 წლის თამუნა გორგოძე. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 28 აპრილიდან 6 მაისამდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყნის საავტომობილო გზებზე გამოვლენილია მოძრაობის წესების დარღვევის 1578 ფაქტი, მათ შორის ავტომანქანის მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში - 55, გადაჭარბებული სიჩქარით - 157, გასწრების წესების დარღვევით - 243, გზაჯვარედინზე გავლის წესების დარღვევით - 74, ავარიული სიტუაციის შექმნა - 71, საგზაო ნიშნის ან მონიშვნის ხაზის მოთხოვნათა დაუცველობის - 251, ტექნიკურად გაუმართავი - 43, არ დამორჩილება - 2, ტექნიკური დათვალიერების გარეშე - 307, სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე - 65, მართვის მოწმობის გარეშე - 42, სხვა დარღვევები - 268. ამავე პერიოდში ხულიგნობის ფაქტზე დაკავებულია ორი პირი, ყაჩაღობაზე - 2, ძარცვაზე - 5, ქურდობაზე - 1; გამოვლენლია ყალბი ფულის გასაღების ფაქტი; ქონების განზრახ განადგურების ფაქტზე დაკავებულია 1 პირი; ამოღებულია გატაცებული ორი ავტომანქანა, დაკავებულია ერთი გამტაცებელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს მცხეთის რაიონის სოფელ დიღომში მცხოვრები, 23 წლის გიორგი მიმინოშვილი, რომელმაც ტაქსის მძღოლს, რუსთავში მცხოვრებ, 39 წლის ბადრი მელიქიშვილის საფანტის პისტოლეტის, "მაგნიუმის" მუქარით გასტაცა 9 ლარი და მობილური ტელეფონი. საფანტის პისტოლეტი ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში დააკავეს ლაგოდეხში მცხოვრები, 36 წლის შოთა ალექსიძე, რომელმაც საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შეძენისას იმავე სოფელში მცხოვრებ, 69 წლის კამო მეკალუაშვილთან ანგარიშსწორება მოახდინა ყალბი 10-ლარიანი კუპიურით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური სამმართველოსა და ხელვაჩაურის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ქურდობისათვის ძებნილი, 24 წლის გიორგი დიასამიძე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ადიგენის რაიონის სოფელ უდეში მცხოვრები, 23 წლის თეიმურაზ ხურჯინიშვილი, რომელმაც გადაწვა თანასოფლელის გიორგი პარუნაშვილის სახლი. მან, აგრეთვე, აღიარა 26 მარტს თანასოფლელის გიორგი მერაბიშვილის ავტომანქანის მაგნიტოფონის ქურდობა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის მე-3 განყოფილებისა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ნასამართლევი, 24 წლის სოლომონ მათიკაშვილი და 32 წლის კობა სარჯველაძე, რომლებმაც კახაბერ გეწაძეს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, გასტაცეს ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ქუთაისში დააკავეს თაღლითობისათვის ძებნილი, 54 წლის ტარიელ ქარცივაძე. თბილისში კი დააკავეს მკვლელობის მცდელობისათვის ზუგდიდის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, 28 წლის გიორგი ზურებიანი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 29 წლის ლევან შიოშვილი, რომელმაც დანით გულმკერდის არეში დაჭრა მეუღლე - 28 წლის ლელა ცენტერაძე. **მედიანიუსი**

# კახეთის პოლიცია საჩვენებელ სპეცოპერაციებს ატარებს

*მიუხედავად იმისა, რომ კახეთის რეგიონის პოლიციელები დამნაშავეების წინააღმდეგ არაერთ ღონისძიებას ატარებენ, ძალოვნები შექმნილი მძიმე კრიმინალური ვითარების დალაგებას, ჯერჯერობით, მაინც ვერ ახერხებენ. საქმე ისაა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში კახეთის რეგიონში ქურდობის და ყაჩაღობის ფაქტები ძალზე გახშირდა. კრიმინალური მდგომარეობა განსაკუთრებით გურჯაანსა და სიღნაღის რაიონებშია გართულებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, პოლიცია თავის მუშაობით მაინც კმაყოფილია.*

კახეთის რეგიონში ხე-ტყისა და სამშენებლო მასალების თურქული სატრანზიტო მანქანებით გადინება კვლავ გრძელდება. მოსახლეობა, აღნიშნული ტვირთის გატანის გამო, მავანს ადანაშაულებს, რეგიონის ახალი ხელმძღვანელობა კი კონკრეტული პიროვნებების გამოვლენისთვის თავს არ იწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულად პეტრე ცისკარიშვილის დანიშვნის დღიდან აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში სპეციალური კომისიაც კი დაფუძნდა.

თუმცა, რომელი დამნაშავის გამოვლენაზეა საუბარი, როცა სატრანზიტო მანქანების მძღოლები ელემენტარულ საგზაო წესრიგსაც კი არ იცავენ. მათ მიერ გამოწვეულ სატრანსპორტო არეულობას საპატრულო პოლიციაც მშვიდად ხვდება. სამაგიეროდ, ეს უწყება, აგენტების წყალობით, ისეთ საქმეებს ხსნის, რომ უცხოეთის ნებისმიერი ქვეყნის სამართალდამცველებსაც კი შეშურდება. სწორედ ასეთი "შესაშური სპეცოპერაციის" დროს პოლიციამ გურჯაანის სოფელ ჩალაუბანთან "კამაზის" მარკის ავტომანქანა დააკავა, რომელსაც 350 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები უსაბუთოდ გადაჰქონდა. ტვირთმზიდის მძღოლი ანაგის ძველი მკვიდრი, ნუგზარ ზურაშვილი აღმოჩნდა, რომელსაც სამშენებლო მასალა თბილისში საკუთარის ბინის სარემონტოდ გადაჰქონდა. აღდგომის წინა დღეს, უსაბუთო ტვირთის გამო, პოლიციამ სოფელ აფენში მკვიდრი 1959 წელს დაბადებული ჯონდო სამარგველიანიც დააკავა, რომელსაც თბილისში 5 ათასი ლარის ღირებულების სამრეწველო საქონელი გადაჰქონდა.

არანაკლებ "დატვირთული" მუშაობა უწევთ დედოფლისწყაროს პოლიციის თანამშრომლებსაც. გასულ წელს ამ რაიონში პოლიციამ ზედიზედ რამდენიმე სპეცოპერაცია ჩაატარა და უკანონოდ შენახული ტყვია-წამალი და იარაღი ამოიღო, რამდენიმე დღის წინ კი აღნიშნული უწყების მიერ ჩატარებული კიდევ ერთი სპეცოპერაციისას სამართალდამცველებმა ადრე სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი იბრაგიმ გონაშვილი დააკავა. ამჯერად მისი დაპატიმრების მიზეზი უკანონოდ შენახული მცირეკალიბრიანი შაშხანის 90 ცალი ვაზნაა, რომელიც პოლიციამ მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღო.

როგორც გითხარით, კრიმინალური ვითრება გართულებულია სიღნაღის რაიონში. კვლავ აქტიურად გრძელდება ვენახებიდან რკინის ბოძების და საქონლის ქურდობები. გარდა ამისა, ამ დღეებში ავტომანქანის გატაცებაც დაფიქსირდა. მართალია, დამნაშავეების ვინაობის გამოვლენა დროულად ხდება, მაგრამ, როგორც დაზარალებულები ამბობენ, პოლიციას, ჯერჯერობით, არც ერთი დამნაშავე პასუხისგებაში არ მიუცია. ქიზიყში გახშირებულ ქურდობებს კი მოსახლეობა პოლიციის უუნარობას აწერს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თელავის რაიონის სოფელ ნასამხრალის შესასვლელთან 70 წლის მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს, რომელსაც ყელი ბასრი იარაღით ქონდა გამოჭრილი. გარდაცვლილის ვინაობა, ჯერჯერობით, გაურკვეველია, რადგან მოკლულ მამაკაცს მხოლოდ საკმეველი და ბამბუკის ჯოხები აღმოაჩნდა. აღსანიშნავია, რომ გვამი ვერც თელავის ახლომახლო სოფლის მცხოვრებლებმა ამოიცნეს. მომხდართან დაკავშირებით მასალების მოკვლევას თელავის რაიონული პროკურატურა ახდენს, სამართალდამცველები კომენტარისგან თავს იკავებენ.

ბოლო დღეებში პოლიციამ ერთი დანაშაულის გახსნა და დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკავება შეძლო. შს სამინისტროს და გურჯაანის პოლიციის ძებნის ჯგუფმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისში, მეტრო "ახმეტელთან" მკვლელობაში ბრალდებული, 1981 წელს დაბადებული, სოფელ შაშიანის მკვიდრი, ლომინ ღოღონაძე დააკავა. მას ბრალად ედება ამავე სოფლის მკვიდრის 22 წლის თამაზ ჯაჭვაძის მკვლელობა. ლომინ ღოღონაძე აღნიშნული დანაშაულის ჩადენამდე ხულიგნობისთვის იძებნებოდა. თუ რა მოტივით ჩაიდინა მან მორიგი, უკვე მძიმე დანაშაული, გამოძიება ამაზე, ჯერჯერობით, არ საუბრობს.

*24 საათი*






## მოკლედ

# აჭარის უსისხლო რევოლუციის სისხლისფერი წლისთავი

შორენა გოგიჩაიშვილი
ჭაბა ანანიძე
ბათუმიდან

აჭარაში პრეზიდენტის სტუმრობასთან დაკავშირებული გრანდიოზული შეხვედრები ტრაგიკული მოვლენით დასრულდა.

სხვადასხვა პოლიტიკური შეხვედრის, რევოლუციური დღეების გახსენების კვალდაკვალ აჭარის მოსახლეობას და ბათუმის სტუმრებს მთავრობამ რესტორან "სანაპიროში" უფასო, ცივი ლუდით უმასპინძლა. ლუდით შეზარხოშებული მოზეიმეების მიერ აჭარის რევოლუციის წლისთავის აღნიშვნა კი ტრაგიკულად დასრულდა.

შემთხვევა, რომლის მსგავსი ბათუმის მოსახლეობას არ ახსოვს, საზეიმო კონცერტის დასრულებისას, ღამის პირველ საათზე მოხდა. შელაპარაკების ნიადაგზე ვინმე გიგა კვაჭაძემ მოკლა 19 წლის მერაბ აზარიძე, მისი ბიძაშვილი აკაკი აზარიძე კი მძიმედ დაიჭრა. უსაფრთხოების ზომების განსაკუთრებულად დაცვის მიუხედავად, მკვლელობის შესახებ პოლიციის თანამშრომლებმა ყველაზე გვიან შეიტყვეს, თუმცა მკვლელის დაკავება გამთენიისას მაინც მოახერხეს. ცხადია, მკვლელობის გამო სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. თუმცა, არც პოლიციელების მკაცრ გაფრთხილებაზე უზრუნია ვინმეს და არც მკვლელობის რეალური მიზეზი დაუსახელებიათ - სრული ქაოსი, რაც შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის დაუცველად დატოვებამ გამოიწვია.

მკვლელობა მოხდა ზეიმის მეორე დღესაც. ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე ოჯახის უფროსმა, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნაჯახით სიცოცხლეს გამოასალმა საკუთარი ცოლ–შვილი და გაიქცა. ჯემალ ჩიკვაიძემ მეუღლეს და შვილს ნაჯახი თავის არეში ჩაარტყა. მკვლელობის დროს ჩიკვაიძეების ოჯახში უფროსი ვაჟი დავით ჩიკვაიძეც იმყოფებოდა.

ოჯახის ახლობლების განმარტებით, ცოლ-შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილ ჯემალ ჩიკვაიძეს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფსიქიური აშიშლობა ჰქონდა და მკურნალობდა.

ბათუმში მომხდარ საზარელ დანაშაულში ეჭვმიტანილი სამართალდამცავებმა გუშინ ქედის რაიონში დააკავეს. როგორც პოლიციაში აცხადებენ, დაკავებულმა დანაშაული აღიარა და მკვლელობის მოტივად ცოლისა და ქალიშვილის ამორალური საქციელი დაასახელა. ამჟამად ჩიკვაიძეს ფსიქოლოგიური ექსპერტიზა უტარდება.

# ეცერში აღმოჩენილ სამარხზე ექსპერტიზის ბიურომ ახალი მონაცემები გამოაქვეყნა

სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლების მიერ 2005 წლის 5 მაისს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად ამოღებულ ადამიანის ძვლის ფრაგმენტებთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გამოაქვეყნა დამატებითი კვლევების შუალედური პასუხები.

სამარხიდან ამოღებული ძვლის ფრაგმენტები არანაკლებ 29 ადამიანის ცხედრის ნაწილებია, რომელთაგან 16 უნდა იყოს მამაკაცის, 5 – ქალის, ხოლო 8 – ბავშვის. უმრავლესობა ძვლის ფრაგმენტებისა არანაკლებ 20 წლის წინ გარდაცვლილი ადამიანებისაა. რაც შეეხება 2 ცხედრის ძვლის ფრაგმენტებს, ისინი 3-8 წლის წინ გარდაცვლილი ადამიანებისაა.

ზოგიერთ თავის ქალას აღენიშნება დაზიანებები, რომლებიც განვითარებულია გარდაცვალების შემდგომ, ნიადაგისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

გამოძიების ინტერესში არ შედის 20 წელზე მეტი ხნის წინ გარდაცვლილ პირთა ძვლის ფრაგმენტების შემდგომი კვლევა. ამიტომ, ისინი დაუბრუნდება იმ ადგილს, საიდანაც მოხდა მათი ამოღება. რაც შეეხება 3-8 წლის ხანდაზმულობის 2 გვამის ძვლის ფრაგმენტებს, ექსპერტიზის მიერ გაკეთდა შესაბამისი მითითებები დამატებითი საკვლევი მასალების წარმოდგენასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს უფრო დეტალური გენეტიკური კვლევის წარმოება. ამის შემდგომ შესაძლებელი გახდება მათი გადაგზავნა პარტნიორ საზღვარგარეთულ ლაბორატორიაში დნმ-ის მონაცემებით პიროვნების საბოლოო იდენტიფიკაციისათვის.

*24 საათი*

# "ვატიკანის რადიოს" ხელმძღვანელებს პატიმრობა მიუსაჯეს

იტალიის სასამართლომ დაადგინა, რომ რომის ჩრდილოეთ გარეუბანში მდებარე რადიოსადგურების მძლავრი გადამცემების ელექტრომაგნიტური გამოსხივება ახლომდებარე სახლების მცხოვრებთა ჯანმრთელობას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს და მათი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მუშაობაზეც უარყოფით გავლენას ახდენს.

იტალიის სასამართლომ კათოლიკური რადიოსადგურის "ვატიკანის რადიოს" ორ ხელმძღვანელს, კარდინალ რობერტო ტუჩის და მღვდელს პასკუალ ბარტოლომეოს 10 დღით პატიმრობა მიუსაჯა განაჩენის აღსრულების ვადის გადადებით. მღვდელმსახურებს, ასევე, კომპენსაციის და სასამართლო ხარჯების გადახდა დაეკისრათ.

სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ორი დამოუკიდებელი ექსპერტიზის შედეგების შესწავლის შემდეგ გამოიტანა. როგორც გაირკვა, იმ რაიონის მოსახლეობაში, სადაც გადამცემებია განლაგებული, ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვი საგრძნობლად მომატებულია.

შეგახსენებთ, რომ "ვატიკანის რადიო" რომის კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური რადიოსადგურია, რომელიც 40 ენაზე მაუწყებლობს და, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, მრევლს რომის პაპის სიტყვას აცნობს.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________
______________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ..........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........................

საკონტაქტო ტელეფონი ......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

## გამოკითხვა

### რა როლს ითამაშებს ჯორჯ ბუშის ვიზიტი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში?

**ედიშერ კაცაძე,** ინჟინერ-გეოლოგი, 53 წლის: "ჯორჯ ბუშის ვიზიტი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სავარაუდოა, რომ რუსეთი ამერიკის პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ბაზების საკითხთან დაკავშირებით ანგარიშს გაუწევს, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად თანამიმდევრული და მიზანდასახული იქნება ჩვენი ხელისუფლება პრობლემების გადაჭრისას. ერთი მხრივ, მისასალმებელია ხელისუფლების პრინციპული პოზიცია რუსული ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით, მაგრამ, მეორე მხრივ, შემაშფოთებელია რუსული კაპიტალის ინტერვენციის საფრთხე, თუნდაც ის, რომ მაგისტრალური გაზსადენის რუსული კომპანიისათვის მიყიდვა სერიოზულად განიხილება - ამაზე ამერიკის მხარემაც გამოთქვა შეშფოთება."

**თამაზ ბურდული**, ეკონომისტი, 46 წლის: "ჭკუა ვერ ვისწავლეთ ქართველებმა და ისევ სხვას შევყურებთ და შევთხოვთ დახმარებას. გასაგებად გვითხრა ბუშმა: "თქვენი პრობლემები თქვენ უნდა მოაგვაროთო." ამერიკა რომ რუსეთს ჩვენი გულისთვის არ წაეჩხუბება, ბუშის მოსკოვში ვიზიტიდანაც გამოჩნდა. ღმერთმა ქნას, რამე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდეს აფხაზეთის საკითხში, მაგრამ, რაღაც, მეეჭვება. ამერიკის დახმარება, ალბათ, ისევ უფრო ფინანსური იქნება, პრობლემების გადაჭრის გზები კი ჩვენ თვითონ უნდა მოვძებნოთ."

**ლიანა ციბაძე,** მცირე მეწარმე, 34 წლის: "ალბათ, ამ ვიზიტის შემდეგ ამერიკა უფრო აქტიურად დაგვეხმარება როგორც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, ისე - სხვა საკითხებში. მე მგონი, ბუში დაინახავდა, რომ ჩვენ დამპყრობელი ხალხი არ ვართ და არავის ვჩაგრავთ, პირიქით, ჩვენი ხალხია დაჩაგრული - ამდენი ლტოლვილი აფხაზეთში საკუთარ სახლში დაბრუნებაზე, ჯერჯერობით, ვერც კი ოცნებობს."

**ნანული წურწუმია,** აფხაზეთიდან დევნილი, 60 წლის: "მაშინ რომ ასეთი ურთიერთობა გვქონოდა ამერიკასთან, იქნებ, აფხაზეთის კონფლიქტი არ მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, რუსეთი ამ ომში ისე აქტიურად ველარ ჩაერეოდა. მე რას ვფიქრობ, იცით? ბოლოს, სანამ ვარდების რევოლუცია მოხდებოდა, ხალხს აფხაზეთი ლამის დაავიწყდა, თითქოს შევურიგდით, რომ ჩვენი ტერიტორია აღარ არის. ახლა აფხაზეთის საკითხმა წინ წამოიწია და მუდმივად ყურადღების ცენტრშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მომწიფდა. ჯორჯ ბუშმა თქვა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რომ ამერიკა მზადაა, საქართველოს დახმარება გაუწიოს. მე პირადად, იმედი მომეცა, რომ სიკეთე იქნება."

**ნანა ჭიღლაძე,** ჟურნალისტი, 41 წლის: "ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ყველა მოვლენაში კარგს ვეძებ, ასე რომ, არ ვიზიარებ იმ ადამიანთა აზრს, რომლებიც ბუშის ჩამოსვლაში სასიკეთოს ვერაფერს ხედავენ. მე ვფიქრობ, რომ რაღაც ძვრები, თუნდაც იმავე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად იქნება, თუმცა ამ ყველაფრისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება მაინც არასწორად მიმაჩნია. რაც შეეხება ბუშის და პუტინის შეხვედრას, რამდენად უწევს რუსეთი ანგარიშს ამერიკის პოზიციას, ეს სულ მალე, 15 მაისისათვის გამოჩნდება, როცა საქართველოს მხრიდან რუსეთისათვის ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით წაყენებული ულტიმატუმის ვადა ამოიწურება."

**ზაზა დევიძე**, სტუდენტი, 24 წლის: "აფხაზეთის საკითხზე რა გავლენას მოახდენს ბუშის ვიზიტი, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი კარგია, რომ მან საქართველოში ჩამოსვლა მოინდომა. ამით მან ხაზი გაუსვა, რომ დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნით, მისი მოსახლეობის ბედით და კავკასიაში საქართველო თავის მნიშვნელოვან პარტნიორად მიაჩნია. აქედან გამომდინარე, ალბათ, პრობლემების გადაწყვეტაშიც დაგვეხმარება."

## გადარჩენილი ფოტოები

### მენატრები!



სოხუმი, 1986 წელი, ქალაქის მე-2 საავადმყოფოს უროლოგიის განყოფილება.
სხედან მარცხნიდან: გიორგი კვეკესკირი და ვიაჩესლავ შკრებაი (უროლოგიის განყოფილების გამგე). დგანან მარცხნიდან: გალია, როზა ტარბა, სუსანა, ლუბა, ელისო მუზაშვილი.

## აფხაზური ისტორია

### ხრუშჩოვის სტუმრობა აფხაზეთში

მე ლარისა მქვია. დავიბადე და გავიზარდე გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშში.

ჩვენთან, დურიფშში, ხშირად ჩამოდიოდნენ მაღალი თანამდებობის პირები.

კარგად მახსოვს, ერთხელ, ერთად გვეწვივნენ ნიკიტა ხრუშჩოვი, მარშალი მალინოვსკი და საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი – მჟავანაძე.

მთელი სოფელი სტუმრების დასახვედრად ვემზადებოდით: ღომს რძეში ვხარშავდით, ვამზადებდით ეკალას ნიგვზით.

საპატიო სტუმრები ჩვენს ოჯახში მოიყვანეს. მშვენიერი სუფრა გაიშალა. სხვათა შორის, ნიგვზიანი ეკალა ხრუშჩოვს ძალიან მოეწონა და თქვა, რუსეთის ყველა სტადიონს გადავახნევინებ და ზედ ეკალას დავათესინებო.

ხრუშჩოვი ძალიან მხიარული ადამიანი იყო. კარგად მახსოვს, უბრალო, კრემისფერი კოსტუმი და თეთრი პერანგი ეცვა, მოქარგული, უკრაინული პერანგი. ფეხსაცმელებიც კრემისფერი ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ გაცვეთილი.

სტუმრებმა კარგად მოილხინეს, განსაკუთრებით, ხრუშჩოვმა. მღეროდა, პიანინოს მიუჯდა და მეუბნება, ლარისა, მოდი აქო. მე მაშინ მხოლოდ 14 წლისა ვიყავი. აი, ისეთ სიმღერებს მღეროდა, "Подмосковные вечерааа" ....

ბევრს ხუმრობდა. ყველასთან პოულობდა საერთო ენას, პატარებთან, უფროსებთან, ყველასთან.

მახსოვს, ხელში აიტაცა ჩემი პატარა ძმისშვილი, რომელიც მაშინ სამი წლისა იყო (მას ახლა უკვე სტუდენტი შვილები ჰყავს), და გოგონამ პირდაპირ მის ხელში ჩაისველა.

ყველა ძალიან შეწუხდა, დაიბნა, არ იცოდნენ, რა ექნათ, მხოლოდ ამას ეუბნებოდნენ – ეს რა ცუდად გამოვიდაო, ის კი ამბობდა, არა უშავს, ძალიანაც კარგია, ბავშვები უნდა გვიყვარდეს, უნდა გვიყვარდეს ბავშვებიო და ყველამ "ვაშა, ვაშას" ძახილით დასცხო ტაში.

შეხვედრის დასასრულს ხრუშჩოვს ნაბადი მიართვეს, მამაჩემმა კი ვერცხლის ქამარი აჩუქა. მაშინ მან აფხაზეთის სადღეგრძელო თქვა, გაუმარჯოს ამ აყვავებულ მხარესო. ეს კი არ მოეწონა ქართველ ლიდერ მჟავანაძეს და უთხრა, ჩვენ ახლა აფხაზეთში კი არა, საქართველოში ვართო.

შეზარხოშებულმა ნიკიტა სერგეევიჩმა კი უპასუხა, ეს საქართველო კი არა, აფხაზეთია, ყველანი აფხაზეთის სადღეგრძელოს შევსვამთო. იმ დროისთვის ის, ფაქტობრივად, უკვე გადაყენებული იყო. ოღონდ, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ იცოდა.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*
*პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი Conciliation Resources

# სარკმელი ქართველებსა და აფხაზებს შორის

*საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ვიზიტის მზადების პერიოდში ქართულ-აფხაზური ორი შეხვედრა გაიმართა – 7-8 აპრილს ჟენევაში, 25-28 აპრილს ოქსფორდში. შეხვედრის ქართველი მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ აფხაზური მხრიდან ჩვეული რადიკალიზმი აღარ შეიმჩნეოდა და უფრო რუსეთისგან დისტანცირება იგრძნობოდა.*

*ამავე პერიოდში სოხუმში ჩავიდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი სტივენ მანი, რომელმაც განაცხადა, რომ აშშ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა. ამდენად, აშშ-ს მხრიდან საქართველოში კონფლიქტური ვითარების აღმოფხვრის სურვილი აშკარა გახდა. ასეთი გარემოება ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტის მოლოდინს განსაკუთრებით ამძაფრებდა. ყველას გვაინტერესებდა, რა განცხადებებს გააკეთებდა წინა დღით მოსკოვში ნამყოფი ბუში. ერთი რამ ცხადზე უცხადესი იყო, ამერიკა კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში მხარდაჭერას აღგვითქვამდა და ამ გზაზე არც საქართველო იტყოდა უარს. მოლოდინი გამართლდა. "საქართველოს ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. ეს აუცილებელია ტრანსატლანტიკურ ალიანსში თქვენი გაწევრიანებისათვის. საქართველოს თავისუფლებას ყველა ქვეყანამ პატივი უნდა სცეს," – განაცხადა ჯორჯ ბუშმა გუშინ თავისუფლების მოედანზე შეკრებილი მრავალი ათასი ადამიანის წინაშე.*

*"ჩვენ არ გვინდა ომი, ჩვენ გვსურს მშვიდობა და ხელს ვუწვდით ჩვენს აფხაზ და ოს დებსა და ძმებს. უნდა დასრულდეს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ჩვენი ხალხის იზოლაცია და ჩვენ უნდა მივცეთ მათ განვითარების შესაძლებლობები თავისუფლების, ერთიანობის და დემოკრატიის პირობებში," – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც ამ სიტყვების შემდეგ თავისუფლების მოედანზე შეკრებილმა ქართველმა ხალხმა ოვაციები გაუმართა. მიხეილ სააკაშვილმა სამშვიდობო განცხადებები მთელი მსოფლიოს გასაგონად უკვე მეორედ გააკეთა და, ამდენად, ეს არ ყოფილა რეაქცია ბუშის მოწოდებაზე. ეს არის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია.*

*ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით დიალოგზე მოვიწვიეთ ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილი, თსუ-ს პროფესორი ნოდარ სარჯველაძე და თსუ-ს სოხუმის ფილიალის დოცენტი დავით დოლბაძე. დიალოგი შედგა შაბათს, 7 მაისს, ბუშის ვიზიტამდე ორი დღით ადრე.*



დავით დარჩიაშვილი.



ნოდარ სარჯველაძე.



დავით დოლბაძე.

ზაზა ფაჩუაშვილი

**- რამდენად წაგვადგება ბუშის ვიზიტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში?**

**დავით დარჩიაშვილი:** "აფხაზეთთან დაკავშირებით ერთი რამ ამთავითვე ცნობილია, ბუში გააჟღერებს ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების უალტერნატივობას. საქართველოს ხელისუფლებისათვის და საზოგადოებისათვის ეს იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციის კიდევ ერთი შეხსენება. ის თანამეგობრობა, რომლის ღირსეულ წევრად ყოფნა გვინდა (და მე მიმაჩნია, რომ ვართ მისი წევრი) მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა სამშვიდობო გზით უნდა გადაწყდეს. ამის იგნორირება იქნებოდა... ორჯერ მაინც უნდა დავფიქრდეთ, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

მთლიანობაში ბუშის ჩამოსვლის ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს გვერდით სერიოზული ძალები არიან და თუ კონფლიქტის გადაჭრის ფორმულა თანამეგობრობისათვის მისაღები აღმოჩნდება, საქართველო რუსეთთან პირისპირ მარტო არ დარჩება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს."

**დავით დოლბაძე:** "ბუშის ჩამოსვლა სხვისი იმედით ყოფნას ნიშნავს. თუ ჩვენი სახელმწიფო არ გაძლიერდა პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მხედრულად, ვერც ბუში გვიშველის და ვერც სხვა. თუმცა მისი ჩამოსვლა მაინც პოზიტიურია. ეს ნიშნავს საქართველოში მიმდინარე პროცესების მხარდაჭერას, ჩვენი ხელისუფლების გვერდში დგომას.

აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება აუცილებელია, რათა არ იყოს ახალი მსხვერპლი და ურთიერთობის დაძაბვა. ამისათვის უნდა აღმოიფხვრას სამი ფაქტორი:

შურისძიების ფაქტორი, რუსეთის ფაქტორი და საკუთრების ფაქტორი (დევნილთა სახლებში სხვები ცხოვრობენ)".

**ნოდარ სარჯველაძე:** "ბუშის ჩამოსვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ოპტიმიზმს არ განვიცდი. ვერ ვხედავ ისეთ პერსპექტივას, რომ ამ ვიზიტმა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე პრინციპულად იმოქმედოს. თუმცა, დეტალების დონეზე გავლენას მოახდენს. მე მიმაჩნია, რომ ამ პროცესზე ბუშის ჩამოსვლამ კი არ უნდა მოახდინოს გავლენა, არამედ თვითონ ქართველებმა და აფხაზებმა უნდა მოაგვარონ საკუთარი კონფლიქტი.

თუ ძალებს ორ ნაწილად დავყოფთ, აფხაზური მხარე შინაგან ძალად უნდა ვიაზროთ და, ამდენად, საქმე გვაქვს შიდა კონფლიქტთან. ეს ჩვენი შინაგანი პრობლემაა და ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ ყველაფერზე, მათ შორის, აშშ-სა და რუსეთის ფაქტორებზე ამ კონფლიქტში. თუ ჩვენ გარეგანი ძალა მოგვიწესრიგებს პრობლემებს და ჩვენ მუდმივად სხვებზე ორიენტირებულნი ვიქნებით, დარეგულირება დროებითი იქნება და ქარის მოტანილს ქარი წაიღებს. აქედან გამომდინარე, ბუშის ჩამოსვლა აფხაზეთთან დაკავშირებით არაფერს ცვლის და ჩვენი შიდა პრობლემები ჩვენ თავად უნდა მოვაგვაროთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მდგრადი და ვერანაირი გარეგანი ძალა ამას ვეღარ შეცვლის. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, ერთიან სტრატეგიულ და თანამიმდევრულ ხაზს, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ."

**- ჩვენ ვამბობთ, რომ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ იმ ტკივილის ფონზე, რაც ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთს მიაყენეს, რამდენად პერსპექტიული იქნება ეს გზა?**

**დავით დარჩიაშვილი:** "მესმის, რომ კონფლიქტის შედეგად ძალიან დიდი ტკივილი მივიღეთ და სწორედ ამიტომაა მისი მოგვარება ასე რთული. სხვა შემთხვევაში კონფლიქტი უკვე მოგვარებულიც იქნებოდა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს ტკივილი ორივე მხარეს აქვს, გენოციდის ფაქტები ქართული მხრიდანაც არის. დანაშაული ეთნოკონფლიქტში მონაწილე ორივე მხრიდან იყო. ეს არის ომის საშინელების თანამდევი მოვლენა. ადამიანები შურს იძიებენ არა იმის მიხედვით, თუ ვინ მოუკლა ახლობელი, არამედ ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ყველა ეროვნების ადამიანში არის ასეთი ეშმაკისეული იმპულსი, მაგრამ ამას ხომ უნდა მოეღოს ბოლო?! თუ ჩვენ იმ გზით წავედით, რომ ვარკვიოთ, ვინ მეტი დანაშაული ჩაიდინა, ამ კონფლიქტს მშვიდობიანად ვერ მოვაგვარებთ და დაიწყება ახალი ომი. მორალს რომ თავი დავანებოთ და საქმეს პრაგმატულად მივუდგეთ, ეს იქნება ომი ჩრდილოეთ კავკასიის ნახევართან (რუსეთზე აღარაფერს ვამბობ), ეს იქნება უზარმაზარი მსხვერპლის მომტანი და შედეგად მივიღებთ იმას, რომ აფხაზეთი შუაზე გაიყოფა.

შერიგების ერთი წესი არსებობს, ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს. ჩვენ თუ მუდამ სხვის პასუხისმგებლობაზე ვისაუბრებთ, შერიგება არ მოხდება. რა თქმა უნდა, კონკრეტული სამხედრო დამნაშავენი უნდა დაისაჯონ, მაგრამ ეთნოსი ეთნოსთან უნდა შერიგდეს."

**დავით დოლბაძე:** "ჩვენს შორის სისხლის ზღვაა, მაგრამ შურისძიებაზე მაღლა უნდა დავდგეთ, შემწყნარებლობა გამოვიჩინოთ, რომ შერიგება უსაშველოდ არ გაიწელოს. შერიგებისათვის ჩვენ ორ ხალხს შორის საერთო ენა უნდა გამოინახოს. ამისათვის საფუძველი სახელმწიფომ უნდა შექმნას."

**- სტივენ მანის სოხუმში ვიზიტის კომენტირებისას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ რუსეთმა უნდა დააჩქაროს აფხაზეთში მცხოვრებთა პასპორტიზაცია და იქაური ობიექტების პრივატიზაცია. ბუშის საქართველოში ვიზიტის შემდეგ, რუსეთის მხრიდან ამ საკითხში ვითარების გამწვავება მოსალოდნელი ხომ არ არის?**

**დავით დარჩიაშვილი:** "რუსეთის ხელისუფლებისგან ყველაფერი მოსალოდნელი. პასპორტიზაცია კეთდება და საკუთრებაზეც არის პრეტენზიები, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, არც ერთი სერიოზული ობიექტი საკუთრებაში გადაცემული არ არის, გაცემულია იჯარით. ისედაც, არც ერთი ნორმალური ბიზნესმენის, მათ შორის - რუსისაც, აზრად არ მოუვა კონფლიქტის ზონაში ინვესტირების ჩადება."

**ნოდარ სარჯველაძე:** "რუსეთის მხრიდან ვითარების გამწვავება არ გამიკვირდება. თუ საქართველო გამორჩეულად კარგ ურთიერთობებს დაამყარებს აშშ-სთან, რუსეთი შეეცდება ვითარების "დაბალანსებას" და ჩვენთვის ხელის შეშლას. გარდა ფორსირებული პასპორტიზაციისა, შეიძლება სხვა ხრიკებიც დაგვიხლართონ.

კონდოლიზა რაისმა პუტინთან შეხვედრის დროს საუბარი დაიწყო იმით, რომ რუსეთში სიტყვის თავისუფლება ირღვევა. აშშ რუსეთს, ასე ვთქვათ, თითის დაქნევით ელაპარაკა, მაგრამ მას რუსეთი პასუხს ვერ გასცემს. სამაგიეროდ, შეუძლია ჯავრი საქართველოზე იყაროს, ვინაიდან აშშ-რუსეთი-საქართველოს სამკუთხედში საქართველო სუსტი რგოლია."

**- რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ბოლოდროინდელი ქართულ-აფხაზური შეხვედრების შემდეგ?**

**დავით დარჩიაშვილი:** "ოქსფორდში მეც ვიყავი. ეს შეხვედრები წლების მანძილზე გრძელდება. [illegible] აცხადებენ, მაგრამ სიტყვების უკან სხვა რაღაცებიც იგრძნობა. ამის გათვალისწინებით, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კონსტრუქციული დიალოგისთვის და კონფლიქტური ვითარების მოგვარებისთვის ღია კარები თუ არა, ღია სარკმელი ნამდვილად გაჩნდა. პირველ რიგში, უნდა გადაიდგას ნდობის აღსადგენი ნაბიჯები, შემდეგ შეიქმნას დევნილების დაბრუნების პროცესისათვის რეალური საფუძველი და, ბოლოს, სტატუსი. ჩემი აზრით, სხვა ვარიანტი არ არსებობს.

აქ ერთი პრობლემაც არის, რაც აფხაზებს განსაკუთრებით აღელვებთ – დემოგრაფიული მდგომარეობა. მათ ეშინიათ, რომ დევნილების დაბრუნების შემდეგ უმცირესობაში აღმოჩნდებიან და გაითქვიფებიან. ამიტომ, ადამიანის უფლებებისა და საკუთრების დამცავი მექანიზმები უნდა შეიქმნას. ჯერ ერთი, უნდა მოხდეს ეტაპობრივი დაბრუნება. მეორე, დაბრუნება უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ყველა დევნილს უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება – დაბრუნდეს, ან კომპენსაცია მიიღოს და სხვაგან იცხოვროს. სხვათა შორის, როცა ამ საკითხზე ვსაუბრობთ, აფხაზები ინტერესით გვისმენენ."

**ნოდარ სარჯველაძე:** "ბოლო შეხვედრებზე მე არ ვყოფილვარ, მაგრამ აფხაზებთან სატელეფონო საუბარი მქონდა და შემიძლია გითხრათ, რომ მათ სოციუმში ცვლილებები აშკარად შეიმჩნევა. აფხაზების რუსეთისგან ნელ-ნელა დისტანცირების ტენდენცია პირველად ბესლანის ტრაგედიის შემდეგ გამოჩნდა, მერე - არჩევნებისას.

აფხაზებს სურთ, ჰქონდეთ დამოუკიდებელი პოლიტიკა და ქართველებსაც და რუსებსაც ისე ესაუბრონ, მაგრამ მათი დამოუკიდებლობა აღიარებული არ არის. აუღიარებელი დამოუკიდებლობის პირობებში ცხოვრება კი ისეთი მძიმე ტვირთია, რომ მისი ზიდვა თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში შეუძლებელია. არალეგიტიმურ ტერიტორიაზე ინვესტიციებს არავინ ჩადებს და აფხაზებს მუდმივად ექნებათ უკმარისობის გრძნობა და საფრთხის მოლოდინი. ამ რეჟიმში ცხოვრება აუტანელია. თანდათან სოციუმის კვდომა ხდება. აფხაზები ამას ძალიან კარგად ხვდებიან, თუმცა, ჯერჯერობით, ცხოვრობენ ილუზიით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო არაღიარებული ტერიტორიების სტატუსის საკითხს გადახედავს, მაგრამ ეს არ მოხდება. დადგენილია კანონები, რომლითაც მთელი ცივილიზებული სამყარო ცხოვრობს. ეს სამყარო არც აფხაზეთისთვის და არც სხვა რომელიმე რეგიონისთვის არაფერს შეცვლის. მას გლობალური პროცესები აინტერესებს. ამას აფხაზები ნელ-ნელა მიხვდებიან და დაპირისპირებულ მხარესთან დიალოგი აუცილებელი და გარდუვალი გახდება."

**- როგორ გესახებათ კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა?**

**დავით დარჩიაშვილი:** "მე ვფიქრობ, რომ უნდა შეიქმნას ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფო, რათა ერთიანობა აღდგეს. ცხადია, აქ საუბარი არ იქნება ავტონომიაზე, ეს იქნება ქართველებისა და აფხაზების ნებით დაფუძნებული ერთიანი სახელმწიფო. დეტალები და ნიუანსები მოლაპარაკებების საგანია. აფხაზებიც და ქართველებიც არიან ავტოხტონური ერი და ეს მიწა ორივეს სამშობლოა. ჩვენ მათი თვითგამორკვევის უფლება უნდა ვაღიაროთ."

**დავით დოლბაძე:** "კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას ფედერაციულ მოწყობაში ვხედავ."

**ნოდარ სარჯველაძე:** "პირველ რიგში, ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ნდობის აღდგენა უნდა მოხდეს. ჩვენ საქართველოს პრეზიდენტს მივაწოდეთ პუნქტობრივად ჩამოწერილი დოკუმენტი, თუ როგორ უნდა მოხდეს ნდობის აღდგენა.

პირველი პუნქტი იყო სრული გარანტიის მიცემა აფხაზური მხარისათვის, რომ ომს არ დავუწყებთ. ჩვენ ვაგზავნით მსოფლიოში მესიჯებს, რომ ვაძლიერებთ სამხედრო ძალებს. ამის შემდეგ ძნელია, დაპირისპირებული მხარე დააჯერო, რომ ამ ძალას მათ წინააღმდეგ არ გამოვიყენებთ. ამისათვის ზეპირი გამონათქვამები არ კმარა, თუნდაც ეს პრეზიდენტის განცხადება იყოს. საჭიროა დოკუმენტების შექმნა, სადაც ხელმოწერით იქნება დადასტურებული, რომ ძალას არ გამოვიყენებთ.

მეორე პუნქტი – ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს აფხაზეთის კონფლიქტის დეტალური შესწავლა და შეფასება. თავისი შეცდომები ყველამ უნდა აღიაროს, დამნაშავენი უნდა დაისაჯონ და ა.შ.

მესამე პუნქტი – სახელმწიფო უნდა გამოვიდეს აფხაზეთის რეაბილიტაციის, ბლოკადის მოხსნისა და ინვესტირების ინიციატივით.

მეოთხე პუნქტი – უნდა შემუშავდეს თანაცხოვრების სტრატეგიული გეგმა, აგებული "მოგება-მოგების" მოდელზე. აფხაზმა უნდა ირწმუნოს, რომ ამით მოგებული დარჩება.

შერიგების პერსპექტივა ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ. ქართველებს და აფხაზებს ახალი ლიდერები ჰყავთ, რომელთაც შეუძლიათ, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ახლებური ხედვა ჩამოაყალიბონ. თუ ასე არ მოხდა, შერიგების პროცესი ისევ გაიყინება."

ძეგლი, რომელიც მივიწყებულია



B3

აჭარაში აჭარაზე არაფერი იციან



B4

ლექციებზე შექმნილი მხატვრობა



B8

## ფოტორეპორტაჟი




















B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
ფოლკლორული ანსამბლი "მთიები"
ბილეთების ფასი: 4-დან 7 ლარამდე
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
ლეო ქიაჩელი
"თავადის ქალი მაია"
რეჟისორი: გიორგი სავანელი
დას: 20:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
პრემიერა
ოგიუსტ ეჟენ სკრიბი
"ჭიქა წყალი"
(ინტრიგების ორმოქმედებიანი კომედია)
დამდგმელი რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
მარიო სანტანელი
"დედა-დედოფალი"
კითხულობენ: მურმან ჯინორია, სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 12:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 14:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"
II სართული

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გია ჩხატარაშვილისა და პოლ კალჰუნის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
"ბავშვები მშვიდობისთვის"

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გია ჯაფარიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა (ქანდაკება, ფერწერა)

## საჯარო დისკუსია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი**
(რადიანის ქ. 5) საჯარო დისკუსია თემაზე:
"ნდობის აღდგენის გზები: კანონი რესტიტუციის შესახებ"
მომხსენებლები: ზურაბ ბურდული (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), კოტე ვარძელაშვილი (საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე), აკაკი მინაშვილი (თავისუფლების ინსტიტუტი)
მოდერაცია: დავით პაიჭაძე (რადიო თავისუფლება)
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგვიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# დემოკრატიამ საქართველო აირჩია

**რა შეფასებას აძლევთ ჯორჯ ბუშის სტუმრობას?**
**რას შეცვლის ეს ვიზიტი საქართველოსთვის და პირადად თქვენთვის პროფესიულ საქმიანობაში?**



**დათო ლორთქიფანიძე,**
*ეროვნული მუზეუმის დირექტორი:*

"ეს აჩვენებს, რომ საქართველო პოულობს თავის საკუთარ ადგილს მსოფლიოში. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ეს დაინახა ყველამ. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მე პირადად, ეს ვიგრძენი. ჩვენ ჩვენ ადგილს ვპოულობთ, არა მარტო როგორც გეოგრაფიული ერთეული. რაც შეეხება კონკრეტულად: იგივე მუზეუმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მნახველები, მე მგონი, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია. და შესაბამისად, თუ პრაგმატულად ვისაუბრებთ, ამ მხრივ, ეროვნული მუზეუმისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს".

**ირაკლი ჩარკვიანი,**
*მუსიკოსი:*

"ჩემს შემოქმედებასთან ეს ვიზიტი მინიმალურად იქნება დაკავშირებული. მაგრამ მე მგონია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება ჩემს საქმიანობასთან პირდაპირ კავშირშია. ასე ირიბად თუ შევხედავთ, ალბათ შეცვლის. მე, უბრალოდ, მგონია, რომ შეიძლება საქართველო გახდეს დემოკრატიული ქვეყანა და ილაპარაკოს იმ გასაგებ ენაზე, რომელსაც ჰქვია თანამედროვე მუსიკალური ენა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ჩვენ რატომღაც გავურბივართ. ჩვენთან ეს პროცესი, არ ვიცი რატომ, მაგრამ არ მიმდინარეობს. შეიძლება ამ ვიზიტმა ხელი შეუწყოს და გააგებინოს მაინც ადამიანებს, რომ კარგი იქნება ის კონცერტები, რომლებსაც მოაწყობენ (ხალხურს არ ვგულისხმობ), იმ ევროპულ სტანდარტებს მაინც შეესაბამებოდეს, რომელიც მიღებულია მსოფლიოში, თუ საესტრადო კონცერტს აწყობ და თუ აწყობ ფოლკლორულ კონცერტს, არანაირი პრეტენზია არ მაქვს; ფოლკლორი მართლაც კარგი და მშვენიერი გვაქვს. საესტრადო კონცერტი უფრო მაღალ დონეზე უნდა მოაწყო, თუ აწყობ. ცოტა უფრო მაღალი დონის არტისტები უნდა გამოიყვანო, თუ გინდა, რომ უფრო გასაგებ ენაზე იმეტყველო სხვა ქვეყნის პრეზიდენტთან.

თვითონ ბუშის ვიზიტი არის საქართველოსი და ქართულ მენტალიტეტში გარდატეხის მომენტი. მე ვფიქრობ, რომ დღეიდან საქართველო იმდენად იქნება ცნობადი მთელ მსოფლიოში, იძულებული გახდება რეალურად დაადგეს დემოკრატიზაციის გზას. ამას, უბრალოდ, აიძულებენ. ბუშმა ნათლად თქვა, რომ ჩვენ ერთად ვივლით; რახან ერთად ვივლით, ნიშნავს, ესე იგი, მეგობრები ვართ; ესე იგი, ერთმანეთზე ყველაფერი გევცოდინება. დღეს ჩვენ რუსეთს პირველად გავაწანით სილა უკანასნელი ორასი წლის განმავლობაში. საქართველო არის ამერიკის პლაცდარმი, რომელიც მისაბაძი მაგალითი იქნება კავკასიაში. კავკასიას დემოკრატიის იქით, გზა არ აქვს, უნდა მას ეს თუ არა. რუსეთის გავლენის სფერო ყველა შემთხვევაში შესუსტდება და ამის დადასტურება იყო ჯორჯ ბუშის ვიზიტი".

**გიორგი უშიკიშვილი,**
*მუსიკოსი, "ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის" ხელმძღვანელი:*

"ვაფასებ ძალიან დადებითად. უფრო სიმპათიით განვეწყე ამერიკის პრეზიდენტისადმი. ძალიან კარგი ადამიანი ყოფილა. აბანოთუბანში რომ მოვიდა, ყველა მონაწილეს ინდივიდუალურად ესალმებოდა. მე და ჩემი ანსამბლის წევრები დადებითად ვართ განწყობილები. რაც შეეხება ვიზიტსა და შედეგებს, რაც შეიძლება, კონკრეტულად ჩვენს სფეროში განხორციელდეს: ჩემი აზრით, გუშინ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ჩვენ, ქართველებმა, რომ გვაქვს უდიდესი და ძალიან ძლიერი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მსოფლიო კულტურის საგანძური არის. იმედი მაქვს, რომ კიდევ ერთხელ გადავხედავთ ამ საკითხს და დაინტერესდებიან ზემდგომი ორგანოები, რომ უფრო მეტად დაეხმარონ ქართულ კულტურას, კერძოდ, ქართულ ფოლკლორს და მივხედოთ ამ საკითხს, რომ მომავალში, როცა დაგვჭირდება, სტუმრების დახვედრა თუ ჩვენი ქვეყნის წარმოჩენა, რომელიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, იყოს ტრადიციული, ქართული; რომ ფესვები არ დაიკარგოს. მე, როგორც "ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი", ვამბობ, რომ ძალიან დიდი პრობლემებია ამ მიმართულებით და თუ ჩვენ არ მივხედეთ, შეიძლება, ეს ყველაფერი სამუზეუმო ექსპონატებად დაგვრჩეს. უკვე დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ამ პრობლემებს მივხედავთ. მე ვფიქრობ, რომ ფოლკლორს მეტი დახმარება სჭირდება სახელმწიფოსგან და სახელმწიფომ ეს დარგი პრიორიტეტად უნდა მიიჩნიოს".

**ლადო ბურდული,**
*მუსიკოსი:*

"ჯერ ერთი ქალაქი გაფერადდა, გალამაზდა, გზები შეიცვალა, "ნაშებმა" ბევრი "პუდრი-პამადა" იყიდეს იმიტომ, რომ ბევრი ამერიკელი ჟურნალისტი ჩამოვიდა, მსოფლიო ყუადღების ცენტრში მოექცა თბილისი; კაცი დარჩა ერთი ღამე და ამით ანახა მსოფლიოს, რომ უსაფრთხოა და ტერორისტების ბუდე არაა; ტიპი მოედანზე გამოვიდა, მაშინ, როცა ყველაზე საშიშ ქვეყნებშია შეტანილი საქართველო. აქამდე რა იყო, რო? ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. კარგია, რომ რაღაც განსახილველი გაჩნდა, ახალი ენერგია შემოდის. რაღაცას რადიკალურად შეცვლის. თუ ამერიკის ინტერესებში ხარ ასე თუ ისე და შემოდის, უკეთესად ხარ. კაი პონტი არი. რუსებს არ ჯობია, ელვის პრესლი ცხოვრობდა და ჰარდ-როკ კაფე აქვთ; ეს რუსებიც იმ ამერიკელებს ემარიაჟებიან და არ ჯობია, პირდაპირ ხაზზე გავიდეთ და არა "ჩერეზ, ჩერეზ..." ეს თურქეთის, დუბაის და რუსეთის ამბები უნდა მორჩეს. პირდაპირ უნდა გახვიდე იმ ხაზზე, ვინც შენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს".



დათო ლორთქიფანიძე



გიორგი უშიკიშვილი



ლადო ბურდული



ირაკლი ჩარკვიანი

სტილის ისტორია

# კარგად დავიწყებული ძველი

ნათია ლურსმანაშვილი



მოდერნმა ამომავალი მზის ქვეყნის ნაპირებს მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მიაღწია. მიუხედავად ამისა, ასიმეტრიისა და დეკორატიულობისკენ ამ ერის მიდრეკილების გამო, ეს სტილი მჭიდროდ დაუკავშირდა იაპონურ ესთეტიკას. როგორ მიიღეს მოდერნი იმ ქვეყანაში, რომლის კულტურაც მისი ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო?

არტ ნუვო (მოდერნი) ევროპიდან იაპონიაში რამდენიმე მხატვარმა და არქიტექტორმა შეიტანა. 1900 წელს მხატვარი ასაი ტიუ, რომელიც პარიზში ფუკუტი ფუკუიტისთან ერთად სწავლობდა, სემუელ ბინგის მიწვევით მოდერნის სტილში გაფორმებულ მსოფლიო გამოფენის პავილიონს ეწვია. 1875 წელს ბინგი იაპონიას სტუმრობდა. ამ მოგზაურობის მერე სემუელი ავანგარდული ხელოვნებით დაინტერესდა და აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშების შეგროვება დაიწყო. დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საფრანგეთში იაპონური კულტურის პროპაგანდასაც.

ასაი ერთ-ერთ მეგობართან, მომავალში გამოჩენილ იაპონელ რომანისტთან ნაცუმე კინოსუკასთან (ცნობილია ფსევდონიმით ნაცუმე სოსეკი) ერთად ეწვია გამოფენას. კინოსუკას ამ გამოფენამ არტ ნუვოსადმი ინტერესი გაუღვივა. შემდეგ ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად და ინგლისელი მოდერნისტების ჟურნალის The Studios-ს ერთგული მკითხველი გახდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა ასაიმ კიოტოში ახლად გახსნილ დეკორატიული ხელოვნების სკოლის პროფესორის ადგილი მიიღო. ამ პერიოდში ის საკმაოდ დიდი პროდუქტიულობით მუშაობდა ფერწრის დარგში; ასევე აქტიურობდა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებაშიც, სადაც ახალი მიმართულებების მთელი რიგი შეიმუშავა. მათგან ყველაზე ცნობილი მაკი-ე - ლაკის ზედაპირის ოქროთი და ვერცხლით მოხატულობა.

მოდერნი არანაკლები ენთუზიაზმით მიიღო ნაცუმემაც. 1905 წელს გამოვიდა მისი რომანის "თქვენი ერთგული მსახური კატის" პირველი ნაწილი. ზუსტად ამ სტილში გააფორმა მხატვარმა ხასიგუტი კიოსიმ (ცნობილია როგორც გოიო) ამ წიგნის ყდა. ახალი მიმართულების გავლენა უფრო ნათლად გამოვლინდა მეორე ტომის (რომელიც 1906 წელს გამოქვეყნდა) ყდის გაფორმებაში. აღსანიშნავია, რომ ნაცუმე ერთი და იმავე მხატვართან თანამშრომლობდა და პირადად ადევნებდა თვალს მისი მუშაობის პროცესს.



არტ ნუვო თავისი ერთგული მიმდევრების ვიწრო წრეს არ გასცდენია და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში მცირეოდენი აღიარება ხვდა წილად. გაცილებით დიდი გავლენა მოახდინა მან არქიტექტურაზე, რადგან არქიტექტორთა უმრავლესობა ან თვითონ იმყოფებოდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში ან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ევროპელ კოლეგებთან.

დასავლეთისგან აღებული სტილი ბევრი მაღაზიის პროექტირებაში, განსაკუთრებით მათ ფასადებში გამოიყენებოდა. ამ მიმართულების ნათელი მაგალითია (რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებამდე დარჩა მოდაში) 1903 წელს აშენებული მამაკაცების საპარიკმახერო კაკიმოტო ოსაკაში, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ შემორჩენილა.

მოდერნის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ტაკედა გოიტი იყო. 1901-1903 წლებში ევროპაში მოგზაურობისას, ტაკედა გლაზგოს ესტუმრა, სადაც შოტლანდიელი ოქრომჭედლის ჩარლზ რენი მაკინტოშის ნამუშევრები იხილა და საკმაოდ დიდხანს დარჩა მათი ზეგავლენის ქვეშ. სამშობლოში დაბრუნებულმა იაპონური მოდერნის ყველაზე ნათელი ნიმუში - სასახლე ფუკუსიმი იუკინობუ დააპროექტა. ეს სასახლე, რომლის მშენებლობაც 1907 წელს დასრულდა, მთლიანად არტ ნუვოს სტილშია გადაწყვეტილი (დღემდე არც ეს შენობა შემონახულა), კიბეებით დაწყებული და ორნამენტული დეტალებით დამთავრებული.

ორტასა და გიმარასთვის დამახასიათებელი მომრგვალებული ხაზები აქ საკმაოდ იშვიათად გვხვდება. ტაკედა მაკინტოშის და "ვენის სეცესიონის" არქიტექტორების სწორხაზოვნებას ანიჭებდა უპირატესობას, რაც ტრადიციულ იაპონურ არქიტექტურასთან უფრო ახლოს დგას.

მთლიანობაში ამ მიმართულებამ იაპონელ მხატვრებში დიდი ინტერესი არ გამოიწვია; ეს ალბათ ნაციონალური ხელოვნების ტრადიციების პროპაგანდითაა გაპირობებული. ტაკედაც კი საკმაოდ იშვიათად მიმართავდა არტ ნუვოს და სხვა მიმართულებებს ანიჭებდა უპირატესობას.

ამ ქვეყანაში მოდერნის წარუმატებლობის მიზეზი ევროპისა და შეერთებული შტატების მსხვილ საერთაშორისო გამოფენებზე იაპონური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებით ფართო მასების დაინტერესებაცაა. იაპონიის ხელისუფლება ტრადიციულ ხელოვნებაში ექსპორტის კარგ პროდუქტს ხედავდა და ამიტომაც ყველანაირად შეეცადა მის განვითარებას. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში დასავლეთის ქვეყნებში იაპონურმა ხელოვნებამ მყარად მოიკიდა ფეხი.

1862 წელს ინგლისელი დიპლომატების თანამშრომლობით იაპონიამ ლონდონში მიმდინარე მსოფლიო გამოფენაზე პირველად მიიღო მონაწილეობა. ფირმა Farmer and Rojer-ის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა არტურ ლეისენბი ლიბერტმა გამოფენის დასრულების შემდეგ იაპონური პროდუქციის გაყიდვას მიჰყო ხელი; მოგვიანებით, 1875 წელს, მან ლონდონში, რიჯერ სტრიტზე, გახსნა ინდური სავაჭრო სახლი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა არტ ნუვოს ისტორიაში.

1862 წელს არქიტექტორმა გოდვინმა თავისი ლონდონის სახლის ინტერიერი იაპონური გრავიურებით გააფორმა. ამერიკელი ფერმწერის უისტლერის ნამუშევრებში კი იაპონური დეკორის ელემენტები, ჭარბობს. 1876-1877 წლებში უისტლერი ფარშევანგის ოთახის (ვაშინგტონი) მოხატვისას, ცისფერ და ოქროსფერ ტონებს იყენებს. "იაპონიზმის" გავლენა აქაც აშკარად იგრძნობა.

"იაპონიზმის" დამკვიდრება ევროპაში 1867 წელს იაპონიის სათავეში მოსული მეიძის ხელისუფლების პოლიტიკის შედეგიცაა. მეიძი ცდილობდა დასავლეთისთვის ეჩვენებინა, რომ იაპონური ცივილიზაცია ევროპულს არაფრით არ ჩამოუვარდება. მისი გავლენის წყალობით სახლების იაპონური სტილით აგება პრესტიჟულ ტონად იქცა. არტ ნუვოს სტილი კი "პრესტიჟულ არქიტექტურად" არანაირად არ მოიაზრებოდა.

1867 წლიდან იაპონური პავილიონები მსოფლიო გამოფენებზე საკმაოდ დიდ წარმატებას აღწევენ. 1889 წელს, იმ წიგნებისა და გრავიურების წყალობით, რომლებიც გონზას კოლექციაში შედიოდა, იაპონურმა კულტურამ, რომელიც იმ დრომდე მხოლოდ დეკორატიულად ითვლებოდა, ბოლოს და ბოლოს, მაღალი ხელოვნების სტატუსი მოიპოვა.

ამ მიზეზების გარდა, იაპონელი მხატვრებისთვის ევროპული ფორმების იაპონურ სტაილინგზე მეტად, ნამდვილი ნაციონალური კოლორიტი უფრო მნიშვნელოვანია.

იმის თქმა, რომ მოდერნი იაპონიაში საერთოდ არ განვითარდა, შეცდომა იქნება. ის იაპონურ არქიტექტურას ჩვეული ფორმების ახალი თვალით დანახვაში დაეხმარა, კიდევ ერთხელ მისცა შესაძლებლობა, დიზაინზე მოეხდინა კონცენტრირება და უფრო მეტი ყურადღება მიექცია ზედაპირის მნიშვნელობისა და ასიმეტრიის ესთეტიკისადმი, შედეგად კი უფრო ღრმად გაეკვლია გზა საკუთარ ტრადიციებში.

სამსონ ლეჟავას სვეტი

# ძეგლი, რომელიც მივიწყებულია



დადიანისა და ასათიანის (ყოფილი ენგელსის) ქუჩათა გადაკვეთაზე მდებარეობს ძველ თბილისში შემორჩენილ ძეგლთა შორის, ერთი უმნიშვნელოვანესთაგანი ნაგებობა, რომელიც ამჟამად სრულებით მივიწყებულია. საკვირველიც კი არის, თუ როგორ გაუძლო მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში აგებულმა სახლმა ჟამისა და სტიქიათა ზემოქმედებას. გულსატკენია, რომ მისი ბედი თითქმის არავის აინტერესებს. ასეთი დამოკიდებულება იმას მოასწავებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ჩვენში სტრატეგიული, ჯეროვანად აქტუალური აღარც არის -როგორც ჩანს, სიმახინჯის ზეობასთან მიჩვევის "სტადია" იჩენს თავს: ემოციური გულგრილობა ჰარმონიის, სილამაზის, ნამდვილ ფასეულობათა მიმართ - ხშირად სამწუხარო რეალობად იქცა, რეალობად, რომელიც ჩანს, ცოტას თუ აფიქრებს. არსებობს იმის აშკარა საშიშროება, რომ ქვეყანამ, რომელიც საკუთარ ძველ კულტურას ვერ პატრონობს, შეიძლება ღირსება დაჰკარგოს, წაიშალოს სულიერ განზომილებათა "რუკიდან", რაც საგანგაშოა. სანაცვლოდ თავს იჩენს ხოლმე ხანდახან ფანტომებად ქცეული, სტანდარტიზირებული, "მოწინავეობის მქონე", პათეტიკური და მოსაბეზრებელი ტექსტები...

ასეთი ვითარების ფონზე, ჩვენთვის საინტერესო ძეგლსაც ალბათ კარგი არაფერი მოელის. ეტყობა, ისიც განწირულთა კატეგორიას მიეკუთვნება. ნუთუ არ შეიძლება, რომ დედაქალაქის მმართველობამ თავდაპირველად საყრდენები მაინც შეაშველოს ნაგებობის აივანს, თუნდაც დროებითი, მაგრამ საიმედო გამაგრებითი სამუშაოების მინიმუმი მაინც განახორციელოს, რათა შემდგომში უფრო სერიოზული, ფუნდამენტური სამუშაოებიც განხორციელდეს.ფაქტია, რომ მსგავსი არაფერი ხდება.

რატომ არის მაინც ასეთი საგულისხმო და გამორჩეული ეს შენობა? თუნდაც იმიტომ, რომ ის ერთ-ერთი საკვანძოთაგანი ერთეულია მთელ განაშენიანებაში: მოხდენილად, უწყვეტად და პლასტიკურად აკავშირებს ქუჩებს ერთმანეთთან; ქმნის თვალსაჩინო ხუროთმოძღვრულ მახვილს, რომელიც გარკვეული კამერულობის შენარჩუნებისას, მნიშვნელოვანებით არის აღსავსე: თვით შენობა, თავისი კორექტული "რუსტირებითა" და სარკმელთა ფასადს ზედმიწევნით მორგებული, პროპორციულად გამართული "მონახაზით" - ისედაც მეტყველია, მაგრამ სწორედ აივანი, განასრულებს შენობის მთელ მიმზიდველობასა და გამორჩეულობასაც. ასეთი მრავალფეროვანი და მაინც ზომიერების მატარებელი დეკორი სხვაგან ძნელი მისაკვლევია. აქ კი ყველაფერი უბრალოდ პირველხარისხოვანია, უმაღლესი ოსტატობით შესრულებული: ვარიაციულად გრეხილი სვეტები იქნება, ფილიგრანულად შემკული სვეტისთავები, მოაჯირთა და განსაკუთრებით თაღთა ორნამენტული რეპერტუარი, რომელშიც მდიდარი წარმოსახვა და სიმწყობრე ურთიერთგანუყოფელია, თუ სხვა.

რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ასეთ თვალსაჩინო ძეგლთა მოვლა-პატრონობა?!

კოტე მელითაურმა, ძველი თბილისის ხუროთმოძღვრების ცნობილმა მკვლევარმა, დაგვიტოვა საუკეთესო თბილისურ შენობათა უდიდესი სიყვარულითა და განსაკუთრებული ოსტატობით შესრულებული ნახაზები, და მათ შორის - საგანგებო ყურადღება დაუთმო სწორედ ჩვენს მიერ განხილულ ძეგლს. უკანასკნელ ხანს ძველი თბილისისადმი მიძღვნილ ალბომებში სწორედ ეს შენობაც ფიგურირებს.

მივმართავ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს; დედაქალაქის მერიას; თბილისის საკრებულოს: ეს ძეგლი პირველ რიგში გადასარჩენთა შორისაა, რისი გადადებაც დაუშვებელია!

არა დეკლარირებულად, არამედ რეალურად და საქმიანად, მისახედია ძველი თბილისის მთელი სივრცე - ეს არის ჩვენი კულტურის პრესტიჟის ერთ-ერთი დიდი გამოხატულებათაგანი. სხვა შემთხვევაში არ განხორციელდებოდა მაღალი სტუმრის, აშშ პრეზიდენტის, ბატონი ჯორჯ ბუშის, სწორედ ძველი თბილისის სივრცეში საზეიმო მასპინძლობა.

გადამწყვეტი ისაა, რომ საკუთარი კულტურის ბუნებრივი მატარებლობისა და შინაგანი ღირსების განცდა არ დავივიწყოთ. ასეთი ღირსების განცდა თუნდაც ძველი თბილისისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ცვალებადობაშიც შეიძლება გამოიხატოს. მაინც ვიმედოვნებ, რომ ეს უტოპია არ არის.

# მძიმეა პოეტი-ლაურეატის ქუდი!

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ანგლო-საქსონურ ქვეყნებში არსებობს პოეტი-ლაურეატის თანამდებობა. ინგლისში, თავიდან ეს, ფაქტობრივად, სამეფო კარის პოეტი იყო. შეერთებულ შტატებში კი, მას ფართო-სახალხო და ბიუროკრატიულ მასებში პოეზიის დანერგვის მოვალეობა აკისრია (იყო დრო, როდესაც ეს თანამდებობა აშშ-ში იოსიფ ბროდსკის ეკავა). პოეტი-ლაურეატები გარკვეული დროით ინიშნებიან. როგორც განმარტავენ, ლაურეატები ხდებიან სიტყვის ყველაზე გამორჩეული ოსტატები. სინამდვილეში კი, ხშირად გენიოსებს საშუალო დონის პოეტები ცვლიან.

1999 წლამდე ინგლისის პოეტი-ლაურეატი ლექსის უდიდესი ოსტატი, თედ ჰიუზი იყო. მის მოვალეობაში შედიოდა “თარიღთან დაკავშირებული”, ძირითადად სამეფო გვარის ოჯახური დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ლექსების შეთხზვა. ასე მაგალითად, 1980 წელს მან პრინცი ენდრიუს და სარა ფერგიუსონის დაქორწინებას მიუძღვნა ოდა. იქ იყო ასეთი სტროფი:

ვერტმფრენმა მოგიტაცა.
მისი პილოტი მე ვიყავი.

პრინცი ენდრიუ და სარა მალე დაშორდნენ. სარა ხელიდან ხელში და ტელეკამერებს შორის გადადიოდა. ამ დროისთვის ჰიუზმა კიდევ ერთი ოდა შექმნა - დედოფალ ელიზაბეტ II-ის მეფობის 40-წლისთავის აღსანიშნავად. ავტორი ირონიის გარეშე (შესაძლებელია ირონიითაც?) მის უდიდებულესობას უმღეროდა!

1999 წელს დიდი ტედ ჰიუზი საშუალო ენდრიუ მორტონმა შეცვალა. ის, რაც ჰიუზსაც კი უძნელდებოდა, საცოდავ მორტონს ბოლო მოუღო. საქმე იმაშია, რომ პოეტი-ლაურეატის ქუდი მონომახის კანონიკურ ქუდზე არა ნაკლებ მძიმეა. თუმც ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქუდთან ერთად თავიც შეიძლება დაკარგო, პირველ შემთხვევაში კი - მხოლოდ ნამდვილი პოეტის რეპუტაცია. როგორც ჟურნალ “პოეტრი რევიუს” რედაქტორი რობერტ პოტსი წერს “ეს (პოეტი-ლაურეატის თანამდებობა.-მ.ს.) დაუძლეველი სამუშაოა. არ მესმის, პოეტები რატომ თანხმდებიან ამას, განსაკუთრებით კი, სამეფო გვარის უკვდავყოფის ამაო მცდელობას”.




ენდრიუ მორტონი

მაგრამ პოეტი-ლაურეატები ამ საქმეს ხელს მაინც ჰკიდებენ. მელექსეებს პატივმოყვარეობა ღუპავს. პოეტური სიზიფის თანამდებობაზე დანიშვნა ბევრში შურს და ეჭვებს აღძრავს და ბედნიერი რჩეული ბოროტი დაცინვების სამიზნე ხდება. შურიანებმა პირდაპირ მოწამლეს საცოდავი პოეტი-ლაურეატი ფრედ ოსტინი, თუმც ამის საფუძველი მართლაც არსებობდა. მაგალითად, როდესაც უელსის პრინცი შეუძლოდ შეიქნა, ოსტინმა ასეთი შედევრი შეთხიპნა:

ტელეგრამები, დეპეშები შორიდან მოდის.

უკეთესობა არ არის - ის ისევ ავად არის.

მაგრამ ყველაზე უარეს დღეში პოეტი-ლაურეატი კოლი კიბერი ჩავარდა, რომელმაც ამ თანამდებობის დაკავება 1730 წელს მოახერხა “ბუკინგემის სასახლეში ენითაუწერელი მლიქვნელობის შედეგად”. კიბერი უკვდავყო არა მისმა ოდებმა, არამედ დიდი პოეტის, ალექსანდრე პოუპის ბოროტმა ეპიგრამებმა. თავის პოემაში “სიჩერჩეტე” პოუპმა კიბერს ჩერჩეტის ტიტული მიანიჭა. ის წერდა:

ძველად ინგლისში
იყო ასეთი წესი:
მეფეს ყავდა
კარის პოეტი და მასხარა.
მაგრამ ეხლა გაგვიჭირდა და
კიბერი პოეტიცაა და მასხარაც.

მაგრამ ეხლა ისევ დავუბრუნდეთ დღევანდელ ინგლისს და მის პოეტ-ლაურეატს, ენდრიუ მორტონს. ვერ ვიტყვით, რომ კოლეგები ისევე დასცინიან მას, როგორც პოუპი კიბერს, ალბათ იმიტომაც, რომ ვერავინ შეედრება დიდ პოუპს. მაგრამ თავის წილ დაცინვას იგი, რა თქმა უნდა, იღებს.

პრინც ჩარლზის და მისი ძველი შეყვარებულის კამილა პარკერ ბოულსის დიდი ხნის ნანატრი ქორწილის წინ მორტონს მათ ქორწინებაზე შეუკვეთეს ლექსი. დაცინვები სასწრაფოდ გადმოიფრქვა. როგორც ბეჭდური მედიით, ასევე ინტერნეტით მორტონს თავაზობდნენ რითმას სიტყვისთვის “კამილა”, მაგალითად, “ვანილა”, “ფლოტილა” და ბოლოს “გორილა”.

მორტონი დაცინვებს ვერ ეჩვევა. მის კალამს ეკუთვნის ოდები: დედოფლის მმართველობის 50-წლისთავისადმი მიძღვნილი (“უდრეკობის 50 წელი ცვლილებების საშუალებით”), პრინცესა მარგარეტის სიკვდილისადმი (ის მოკვდა, მიხვდა რა, რომ სიკვდილი და მოვალეობა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ”) და პრინც ჩარლზის სრულწლოვანებისადმი მიძღვნილი. ამ უკანასკნელში ჩვენ ვკითხულობთ:

ეს ეტაპია, ეს გარბენაა,
ეს სამიჯნო დაბადების დღეა.
ეს ახალი ფურცლის გადაბრუნებაა,
ეს დავაჟკაცებაა...

მორტონის კალამს ეკუთვნის ლექსი, რომელიც ერაყში ომს აკრიტიკებს. მაგრამ კრიტიკის ისრები ბუკინგემის სასახლისკენ კი არ არის მიმართული, არამედ დაუნინგ სთრით 10-სკენ - დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციისკენ. რაც შეეხება სამეფო ოჯახს, მორტონმა შეჰფიცა, რომ “მას არასდროს დასცინებდა და გააკრიტიკებდა” (საბჭოთა პერიოდში კრემლს ასეთი პოეტები-ლაურეატების მთელი ჯოგი ჰყავდა. მათ დღესაც დაიწყეს გამოჩენა). თავად მორტონი ასე ახასიათება თავის მოვალეობებს: “მე ვარ ქალაქური მქადაგებელი, კონსერვის ქილების გამხსნელი და პოეზიის მედროშე”. ამიტომაც იგი ისეთ თემებზე წერს, როგორიცაა ინგლისის მოსახლეობის გამოკითხვა, ინგლისის ნაკრები რაგბიში, პროფკავშირების ყოველწლიური კონფერენცია, სარკინიგზო სადგურ პედინგტონში, ავარია და ა.შ. მოკლედ, ერთი აქლემი მიდის, მეორე აქლემი მიდის... სტროფებსა და სტრიქონებზე.

ინგლისმა არ იცის, როგორ დააღწიოს თავი ენდრიუ მორტონს. გაზეთი “გარდიანი” კითხულობს: “ვარგა კი ის?”, შემდეგ კი მკითხველების წერილებს აქვეყნებს, რომელთა უმრავლესობა ამბობს, რომ “არ ვარგა!”. კრიტიკოსი ვილსონი წერს: “მორტონი საშუალო დონის პოეტი იყო. ეხლა კი ის უბრალოდ ყბედი გახდა”. პოეტი გრეგ რეინი გაზეთ “დეილი ტელეგრაფის” ფურცლებზე მორტონს მისი და ვილფრედ ოუენის ლექსების პლაგიატობაში ადანაშაულებს. რეინი ირონიულად “შედის მორტონის მდგომარეობაში”, რომელიც “კანონით ვალდებულია არ იყოს ჭირვეული” და იქვე ამატებს: “კარგი მანერები პოეზიის უბოროტესი მტერია”.

დაბოლოს, რეინი სთავაზობს პოეტი-ანტილაურეატის თანამდებობის შემოღებას, რადგანაც სამეფო ოჯახში სკანდალები უფრო მეტია, ვიდრე დღესასწაულები, განქორწინებები, ვიდრე ქორწილები. მაგალითისათვის ის სთავაზობს ოდას “პრინცესა დაიანას დასამშვიდებლად ჯეიმს ჰუიტის მიწვევა” (მათვის, ვინც არ იცის: პრინც ჩარლზის მეჯინიბე, ჰუიტი მის მეუღლე დაიანასთან ცხოვრობდა, სანამ პრინცი მას კამილასთან, რომელიც ეხლა “გორილაა", ჰღალატობდა). მეორე მაგალითი: ოდა “ვაგინალური ტამპონის ინტიმურ ფიქრებზე, მოსმენილი მობილური ტელეფონით” (მათვის, ვინც არ იცის: ისევ პრინცესა დაიანაზე. მისი საყვარლების სკანდალური მემუარები ან მაღალი საზოგადოების მემატიანეთა ბესტსელერები). რეინი აღიარებს, რომ შესაძლებელია, დათანხმდეს ასეთი ოდების დაწერას პოეტი ანტილაურეატის რანგში.

პრინც ჩარლზისა და კამილა პარკერ ბოულსის ქორწინების დღისადმი ენდრიუ მორტონმა გამოაქვეყნა თავისი საქებარი სიტყვა. ის იყო დაწერილი თავშეკავებულად, კარგი მანერებით. იქ პოეზია არ სუფევდა.

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს
**კინოხელოვნების პოპულარიზაციისთვის**
კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ნაწილობრივ
(მაქსიმუმ 50%-ით) დაფინანსდება
ეროვნული კინოცენტრის მიერ.
ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა
არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.
კონკურსის საერთო ბიუჯეტია 20 ათასი ლარი
პროექტი უნდა განხორციელდეს
2005 წლის დასრულებამდე.
პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა
2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4.
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge



## დავით კოზირიძის სვეტი

### ცირკის დედაკაცად გადაქცეული ქიშმიში

აჰა, ოცდამეოთხე 13 მაისიც მოგვიახლოვდა. ყველაზე დიდი და გემრიელი ქიშმიში ადრე მადისაღმძვრელ, ახლა კი დაობებულ ნამცხვარ "ქართულ ფეხბურთში". წელიწადში ერთხელ ვიღებთ ამ ქიშმიშს, თავს ვევლებით, ვოხრავთ და უკან ვდებთ, რათა გემოვნება არ დაგვიქვეითდეს და კიდევ ერთხელ შევახსენოთ სხვასაც და საკუთარ თავსაც - იყო დრო, ქართულ ფეხბურთს არც ქიშმიში აკლდა, არც ნიგოზი და არც თავმოყვარეობა.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ დიუსელდორფი არა მარტო ზღაპრული გამარჯვების ალაგი, არამედ ქართული ფეხბურთის წერტილი იქნებოდა. ეს ისეთივე წარმოუდგენელი იყო, როგორც ამბროსოვიჩის პენსიაზე წიხლით გაგდება, რამდენიმე რევოლუცია, ქართველი ბოზებით გატენილი თურქეთი, მათხოვრებით სავსე თბილისი და ამერიკის პრეზიდენტი ლენინის მოედანზე. ერთი ეს ვერ გავიგე, რატომ გვიკიჟინებენ ტელევიზიით სხვადასხვა ხარისხის ცნობილი სახეები, რომ ბუშს ისე უნდა დავხვდეთ, როგორც ქართველებს გვეკადრება? ვინმე ახალზელანდიურად აპირებდით ამის გაკეთებას? პირადად მე შეურაცხყოფილი ვარ, როდესაც ვილაც მასწავლის ჭკუას, ზრდილობას, სტუმრის დახვედრას და ვიცი, ბევრს გაუჩნდა ეს გრძნობა.

დიუსელდორფიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ ისიც ვერ გაგვირკვევია, რატომ გვიგებს ყველა. არსებობს ხალხის ჯგუფი, რომელმაც იცის, რაშია საქმე. ჯერ კალაძემ თქვა, ნაკრებში უმსგავსო სიტუაციაა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჩემი მხრიდან ლამაზი არ იქნებაო. მაშინ ის გვითხრას კაპიტანმა, ვისი მხრიდან იქნება ლამაზი. ან თუ თქმა ერიდება, დაწეროს და მე წავიკითხავ ხმამაღლა.

მერე, ალენ ჟირესისკენ რომ დაუბერა უსიამოვნო ქარმა, ფრანგმაც დაგვიბარა სამშობლოდან, ჩამოვალ და ისეთებს გეტყვით, თმა ყალყზე დაგიდგებათო. ჩამოვიდა. ტრადიციული პრესკონფერენცია მოაწყო და ტრადიციულად არაფერი თქვა ახალი და საინტერესო. ისაო, ესაო, მეკარე არ გვყავსო, მარტო ლეგიონერებით ვის რა ფეხებს მოვჭამთო, ფსიქოლოგიურად ვერ განვეწყვეთო... ბატონო ალენ, ჩვენო ტანმორჩილო დამრიგებელო, მერსი, მაგრამ ეს უკვე რამდენჯერმე გვაქვს მოსმენილი სხვადასხვა მწვრთნელისგან და ამის შეხსენებისგან თმა კი არ გვიდგება ყალყზე, უკვე გული გვერევა.

კარგი, ჟირესი ფრანგია, ერთ მშვენიერ დღეს დაიხურავს ქუდს და წავა, მაგრამ ჩვენ როდემდე უნდა ვმალოთ პრობლემები? ველარ გავიგე, ფეხბურთელების ეროვნული გუნდია თუ კანონიერი ქურდების დაჯგუფება. რომელ სილამაზესა და კაცობაზეა ლაპარაკი, როცა მსოფლიოს აყვავებულ ნაკრებთა ფონზე ცირკთან მოფუსფუსე "დაკრასკულ" დედაკაცებს დავემსგავსეთ სწორედ იმიტომ, რომ მენტალიტეტი გვაქვს მეტადრე მახინჯი.

■ ■ ■

დოკუმენტური ფილმი "მილანი"-"იუვენტუსი" როგორ მოგეწონათ? პირველ სერიას კი ჯობდა, გოლი მაინც გავიდა. ამ თამაშის ყურებისას ძალაუნებურად გამახსენდა ჩემი ყრმობის ყველაზე მარაზმატიკული გადაცემა "სამეურნეო მექანიზმი, სიახლენი, პრობლემები." მგონი ასე ერქვა. შინაარსით ძალიან წააგავდა ეს ორი რამ ერთმანეთს, უბრალოდ, სათაურებში იყო განსხვავება და ამიტომ ვუყურე. ძალიან შევწუხდი და "მილანიც" მაგრად შემეცოდა. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

გაგიკვირდებათ, მაგრამ მილანელი ფეხბურთელებისადმი სიბრალულის გრძნობა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალში გამიჩნდა. მაშინაც და "ეინდჰოვენთან" პირველი მატჩისასაც ეს გუნდი ჰგავდა მბჟუტავ ნათურას, რომელიც "იუვესთან" გადაიწვა. ვაკვირდებოდი პაოლო მალდინის და თვალზე ცრემლი მადგებოდა ამ უდიადესი მცველის უსუსურობის გამო. აშკარად აჭრილია ზეედორფიც, რომლის შემხედვარესაც წამითაც არ შეგეპარება ეჭვი ჩარლზ დარვინის თეორიის მართებულობაში. და საერთოდ, თითოეულ მილანელს სახეზე აწერია, რომ ბურთი ისე ეზიზღება, როგორც სრულიად საქართველოს საცივი იანვრის პირველ რიცხვებში.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში "მილანმა" დაახლოებით ათი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გამართა თითქმის ერთი შემადგენლობით. ეს უზარმაზარ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს, თუმცა, ამ დროს გაცილებით რთულია ფსიქოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება და წარმოუდგენელია თამაშისგან სიამოვნების მიღება. "მილანი" ორ კურდღელს მისდევდა და ალბათ კარგიცაა, რომ ერთი დროულად გაექცა, თორემ ვერც სკუდეტოს მოიგებდა და ვერც ლიგას. ტურინელებმა სწორედ ამიტომ იმარჯვეს - ნაკლებად დაღლილები იყვნენ.

ჰოლანდიელებიც შემეცოდნენ. როგორც "ეინდჰოვენი", ისე "ალკმაარი". ორივემ აჯობა მეტოქეს, თან საგრძნობლად, მაგრამ ბოლო წამებზე გაუშვეს სასიკვდილო გოლები და უეფა-ლიგის ფინალები უნარინჯისფროდ დატოვეს. სამაგიეროდ ცსკა გაძვრა და გაჩნდა შანსი, რომ ულვაშა ვალერა გაზაევმა უეფას თასი მოიგოს. რა გაუძლებს მერე რუსებს, თქვენ თუ აწ გარდაცვლილი თასების თასი მოიგეთ, ჩვენ, აგერ, იმთავითვე უფრო სოლიდური ტურნირი ჩავაკოკლოზინეთო. ეს "პარმაც" არი რა - თუ ნახევარფინალში მეორე შემადგენლობით აპირებდა ჯაჯგურს, რაღას გადიოდა ამ სიშორეზე.

მაინც მგონია, რომ ცსკა-ს "სპორტინგი" მოუგებს. არა იმიტომ, რომ ფინალი ლისაბონშია, არამედ ამიტომ - თბილისის ელიტარულ მაზავშიკებში უკვე მუსირებს შემდეგი ვერსია: აბრამოვიჩის ორი კლუბიდან ერთი, ლონდონის "ჩელსი", საერთაშორისო ტიტულის გარეშე დარჩა და ამიტომ ჩუკოტკელი ხალხის გამღლეტი არ დაუშვებს, რომ მეორეც ანუ მოსკოველი არმიელებიც, ხელცარიელნი დარჩნენ. ხოლო როცა ეს პატივცემული ხალხი თბილის-ქალაქში რაიმე ვერსიას მედგარ პიარს უკეთებს, ესე იგი, ყველაფერი საპირისპიროდ მოხდება.

■ ■ ■

ბოლოს კი კალათბურთზეც მინდა ორი სიტყვა ვთქვა. საქართველოს ნაკრები უკვე კარგა ხანია უმწვრთნელოდაა. ეს იმიტომო, ირწმუნებოდნენ კომპეტენტური ჩინოვნიკები, რომ ფედერაცია უმაღლესი დონის ქოუჩს ეძებდა. მოგეხსენებათ, არაა ეს იოლი საქმე, რისი ნათელი მაგალითიცაა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები. ორიოდე კვირის წინ გვახარეს, რომ მწვრთნელი ნაპოვნია და კონტრაქტზე ხელის მოწერაც მოყომარებულია! ეს არის და ეს. მეტი არაფერი ვიცით, რადგან კომპეტენტურმა ჩინოვნიკებმა თქვეს, რომ ამ კაცის ვინაობას მხოლოდ ერთ თვეში გაამხელენ(?). სამი ვარიანტია: ან გვემასხარავებიან, ან ჯერ არავინ უპოვიათ, ან კიდევ ვინც იპოვეს, არაა მთლად სათანადო კაცი. სამაგიეროდ ასპროცენტიანი ვიცით, რომ უცხოელია. ეს კი, რატომღაც, ბევრს ნიშნავს თანამედროვე საქართველოში.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# პრეზიდენტობაზე გია ფირცხალავაც ფიქრობს

მიხეილ აბაიშვილი



20 მაისამდე, ანუ იმ დრომდე, როდესაც იწურება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში წარდგენის ოფიციალური ვადა, ერთ კვირაზე ცოტა მეტი დრო დარჩა. ჯერჯერობით ოფიციალური განაცხადი მხოლოდ ერთ კანდიდატს, ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს, ამჟამად საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ვლადიმერ გუცაევს აქვს გაკეთებული. დეკლარირების დონეზე საკუთარი კანდიდატურების პრეზენტაცია უკვე მოაწყვეს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილმა კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ და ვეტერანმა ფეხბურთელმა, ეროვნული მოძრაობის აქტივისტმა ზურაბ პეტრიაშვილმა. ცნობილია, რომ კანდიდატურების წამოყენებას აპირებენ ნოდარ ახალკაცი და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე. როგორც ჩანს, სია კიდევ გაფართოვდება, რადგან, საფეხბურთო წრეებში არსებული კულუარული ინფორმაციით, საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს გია ფირცხალავა.

კონკურენტთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, გია ფირცხალავას გამარჯვების არცთუ ურიგო შანსი აქვს. ყოველ შემთხვევაში, მისი კანდიდატურა სერიოზულად ანგარიშგასაწევია. ფირცხალავა წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ისეთ საპასუხისმგებლო პოსტზე, როგორიცაა ფედერაციის საშეჯიბრებო განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურისა და სისტემის მოდერნიზაციის მოდელი, რამაც აშკარად გააუმჯობესა ქართული საკლუბო ფეხბურთის დონე და გაზარდა კონკურენცია. 2001 წელს მან თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობისგან მიიღო წინადადება, სამუშაოდ გადასულიყო "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. ფედერაციის შეფობას მისი გაშვება არ სურდა, თუმცა, საბოლოოდ სფფ-ს მაშინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გაგებით მოეკიდა ამ საკითხს და ახალ თანამდებობაზე ფირცხალავას გადასვლას ხელი არ შეუშალა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ავტორიტეტდაკარგული და ეროვნულ სარბიელზეც კი დაბალი შედეგების მქონე "დინამოს" აღმავლობა სწორედ ფირცხალავას სახელს უკავშირდება, რა თქმა უნდა, "დინამოს" მეპატრონის, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ფინანსური მხარდაჭერით. სწორედ გია ფირცხალავამ დაამყარა კონტაქტი ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთან, როგორიცაა ივო შუშაკი და ის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობაზე დაითანხმა. შუშაკმა კი ქართულ ფეხბურთს ორი ისეთი წარმატება მოუტანა, რომლის მსგავსი ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არც დაგვსიზმრებია. საუბარია მოსკოვში, თანამეგობრობის თასის ტურნირში გამარჯვებაზე და საქართველოს ნაკრების მიერ რუსეთის ეროვნული გუნდის ძლევაზე. ფირცხალავას და "დინამოს" სპორტული დირექტორის, აწ განსვენებული გივი ნოდიას სასელექციო მუშაობის შედეგად "დინამოში" მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა და ეროვნულმა ნაკრებმა სერიოზული შევსება მიიღო.

იმის გამო, რომ ორი წლის წინათ ფირცხალავამ დატოვა "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა, შეიძლება დღეს იგი ნეიტრალურ ფიგურად ჩაითვალოს, რომელიც არც ერთ ჯგუფთან თუ კლანთან არ არის დაკავშირებული. ეს გარემოება მის კანდიდატურას დამატებით მომხიბვლელობას სძენს და სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატების შანსს უზრდის.

"24 საათი" დაუკავშირდა გია ფირცხალავას და ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა.

"არ დავმალავ, რომ როგორც საფეხბურთო, ისე სახელისუფლებო წრეებში მყავს მხარდამჭერები, მაგრამ, გამარჯვების სრული გარანტიაც რომ მქონდეს, არსებობს საკითხები, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღებამდე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის დაკავება დიდი რისკია. ორწლიანი საპრეზიდენტო უფლებამოსილება, რასაც 11 ივნისის არჩევნები იძლევა, აშკარად არასაკმარისი დროა რაიმე მნიშვნელოვანის გასაკეთებლად. ამიტომ არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავწყვეტ, თუ დავინახავ, რომ მექნება ბერკეტები, რაც მდგომარეობის გამოსწორების თუნდაც ტენდენციის შექმნაში დამეხმარება. ამასთან, მხოლოდ თავისი ძალებით, სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე ფედერაცია უძლური იქნება ქართული ფეხბურთის წინაშე არსებულ პრობლემებთან დასაპირისპირებლად. შესამუშავებელია ფეხბურთის განვითარების პროგრამა და კონცეფცია... ახლა სხვადასხვა წრეებთან და ჩემს მხარდამჭერებთან ვმართავ შეხვედრებს და კონსულტაციებს. გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებ", - განაცხადა გია ფირცხალავამ.

რაგბი

# აჭარაში აჭარაზე არაფერი იციან

პაატა თოთაძე



აჭარლებმა იმერეთის ნაკრები დაამარცხეს.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

სანამ საქართველოს თასის გათამაშება დაიწყება, რაგბის მოყვარულებს რეგიონთა თასის თამაშებით მოუწევთ ტკბობა. ამგვარი შეჯიბრება პირველად იმართება საქართველოში. კახეთის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებთან ერთად ტურნირში თბილისის ნაკრები გამოდის. ცოტა უცნაური ვითარებაა აჭარელთა თავს. საქმე ისაა, რომ უსახსრობის გამო ბათუმის "დათვები" თასის გათამაშებაში მონაწილეობას ვერ იღებენ. გუნდს არანაირი დაფინანსება არა აქვს. ვერც მთავრობა ეხმარება. საერთოდაც, რეგიონში მთავრობის შეცვლის შემდეგ სპორტის საქმეები, რბილად რომ ვთქვათ, კარგად ვერ მიდის. "ბასკო" საერთოდ აღარ არსებობს, ფეხბურთელებსაც არა აქვთ საქმე კარგად. რა იქნება მორაგბეების თავს, ჯერ არავინ იცის. ამ ფონზე ვინ იფიქრებდა, რომ აჭარლები არაფრისმომცემ რეგიონთა თასზე ითამაშებდნენ?

როგორც აღმოჩნდა, რეალურად ეს საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრებია, რომელიც აჭარელთა სახელით გამოდის. მთავარი კი ისაა, რომ აჭარაში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ბათუმში თამაშის დღეს გაიგეს, თბილისში აჭარის ნაკრები თამაშობსო. ახლა თავად განსაჯეთ, სატირალია ეს თუ სასაცილო.

პირველი შეხვედრა "აჭარლებს" იმერეთის ნაკრებთან ჰქონდათ. 20 წლამდელებს მალე ევროპის ჩემპიონატი ელით ესპანეთში და ამ ტურნირს მოსამზადებლად იყენებენ. მატჩი ახალგაზრდების სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა - 42:5. მოგების მიუხედავად, საერთო ჯამში გუნდმა კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. მის თამაშში მრავალი ხარვეზი შეინიშნებოდა, რომელიც მწვრთნელმაც კარგად იცის და დარჩენილ დროში მის აღმოფხვრას შეეცდება. მსოფლიო ჩემპიონატზე სათამაშოდ ჩვენს გუნდს პირველი ადგილის დაკავება მართებს ესპანეთში.

მეორე შეხვედრა უკვე კახეთის გუნდთან ჰქონდათ. აქ ჭაბუკთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა - 117:7. რა შედეგს გამოიღებს ეს სპარინგები, უცნობია. ფაქტია, რომ ჭაბუკებს ღირსეული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. ერთადერთს თბილისის გუნდს თუ შეუძლია რეალურად სპარინგ-პარტნიორის როლის შესრულება. თბილისმა იმერეთს სძლია 57:7. ამ შეხვედრაში თბილისს ძირითადად "ლოკომოტივი" წარმოადგენდა, რომლის შემადგენლობაშიც ინგლისიდან დაბრუნებულმა ბიძინა სამხარაძემ და ზვიად მაისურაძემ ითამაშეს. მეორე მატჩში დედაქალაქის ღირსებას უკვე ქვეყნის ჩემპიონი "ლელო" დაიცავს. სწორედ თბილისთან მატჩში გამოიცდებიან ჭაბუკები და მათი რეალურიც ძალაც გამოჩნდება.

ახლა შვიდკაცაზეც ვთქვათ. ივნისში ირბ-ს მსოფლიო სერიის ბოლო ორი ტურნირი იმართება, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ქართველებს პირველად ლონდონში მოუწევთ ბურთაობა. კენჭისყრის შედეგად მეტოქეებად ინგლისი, სამოა და საფრანგეთი გვერგო. ასეთებთან ჭიდილში ჯგუფიდან გასვლის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, თუმცა, შვიდკაცაში დიდ რაგბისთან შედარებით ძალთა სხვაგვარი თანაფარდობაა და სენსაციებიც მეტად ხდება. ამდენად, მთლად უიმედოდაც არ უნდა ვიყოთ. რაც შეეხება მეორე, პარიზის ტურნირს, აქ უკვე სამხრეთ აფრიკასთან, ფიჯისთან და კლოდ სორელის მიერ დამოძღვრილ ტუნისის ნაკრებთან მოგვიწევს პაექრობა.

ახლა კი უცხოეთსაც მივხედოთ. ორ კვირაში ბრიტანელი და ირლანდიელი "ლომების" ტურნე იწყება ახალ ზელანდიაში და სარაგბო საზოგადოების ყურადღებაც მისკენაა მიპყრობილი. ევროპელთა თავკაცს კლაივ ვუდვორდს უკვე დასახელებული ჰყავდა კუნძულზე წამსვლელი 44 მორაგბე. გუშინდლიდან მათ 45-ე, ჯონი ვილკინსონიც დაემატა. "ჯადოქარს" ნაკრებში მსოფლიო თასის ფინალის შემდეგ არ უთამაშია, რადგან მუდმივად ტრავმირებული იყო, მაგრამ, ჩანს, საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და ვუდვორდმაც არ დაახანა მისი გამოძახება.

"ადრეც მითქვამს, რომ ჯონის ბოლო წუთამდე დაველოდებოდი. მისთვის ადგილი შენახული მქონდა ნაკრებში და მიხარია, რომ გამოჯანმრთელდა", - აღნიშნა ვუდვორდმა. სულ სამი კვირაა, რაც ვილკინსონმა ტრავმის შემდეგ დაიწყო თამაში, მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფორმაში შესულიყო. "ნიუკასლ ფალკონზის" მწვრთნელის თქმით, ჯონი ძველებურად ათამაშდა. საწყენია, რომ ეს ასე გვიან მოხდა, თორემ კლუბი გაცილებით უკეთეს შედეგს მიაღწევდაო. ვილკინსონის გამოჯანმრთელების შემდეგ "ლომებს" უკვე ოთხი ნახევარმცველი ჰყავთ შემადგენლობაში - უელსელი სტივენ ჯოუნზი, ირლანდიელი რონან ოგარა და ინგლისელები ჩარლი ჰოჯსონი და ჯონი ვილკინსონი. ექვსი ერის თამაშებს თუ გავიხსენებთ, მათგან შემადგენლობაში მოხვედრის ყველაზე მცირე შანსი ჰოჯსონს აქვს.

ფარიკაობა

# 3 „ოქრო" და „ბრინჯაო"

თურქეთის ქალაქ სტამბულში ახლახან დასრულდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში. 7 ქვეყნის 250 მონაწილეს შორის საქართველოს 9 ნორჩი მოფარიკავეც იყო, რომლებმაც ბრწყინვალე შედეგით დაასრულეს ასპარეზობა. 1994 წლამდე დაბადებულ მოზარდთა შორის რაპირაში პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ავთანდილ გიორგაძემ. ამავე ასაკში გოგონათა შორის ასევე ქუთაისელმა ხატია ლელაძემ (დაშნა) გაიმარჯვა. ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთმა ქართველმა, 1992 წელს დაბადებულმა ბათუმელმა ლაშა მიქელაძემ მოიპოვა. მესამე ადგილი დაიკავა დაშნით მოასპარეზე ლაშა მიქელაძემ (რუსთავი), რომელიც 1994 წელს დაბადებულებს შორის ასპარეზობდა.

გუნდური პირველობა არ ჩატარებულა, თუმცა, შედეგების მიხედვით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით (საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით მცირერიცხოვანი გუნდით იყო წარმოდგენილი) საქართველომ აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

მონაწილეთა ასაკის გათვალისწინებით, ტურნირი განსხვავებული ზომის, სტანდარტულთან შედარებით მომცრო იარაღებით ჩატარდა. ასეთი ტიპის იარაღები ქართულ დელეგაციას არ ჰქონდა და, თურქეთის ფარიკაობის ფედერაციის დახმარება რომ არა, საქართველოს ნაკრები შეიძლება ტურნირს მიღმაც დარჩენილიყო. ამ ასაკში საქართველოს წარგზავნილებმა საერთაშორისო ტურნირში პირველად მიიღეს მონაწილეობა, რაც რუსთავისა და ქუთაისის მერიების დამსახურებაა, რომლებმაც სპონსორობა გაუწიეს ჩვენს მოფარიკავეებს.

დღეს ვაკეში, ფარიკაობის დარბაზში, დაიწყება და სამ დღეს გასტანს საქართველოს ჩემპიონატი ფარიკაობაში.

ინფოთეკა

### რაული ესპანეთის ფეხბურთელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია

ესპანეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" კაპიტანი რაულ გონსალესი ესპანეთის ფეხბურთელთა ასოციაციის (AFE) პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს. ამიერიდან "სამეფო კლუბის" თავდამსხმელი განიხილავს ყველა იმ საკითხს, რომელიც ესპანელ ფეხბურთელებს შეეხება.

ესპანეთის ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტის პოსტზე კვლავაც ხერარდო გონსალესი დარჩა, რაულის დამხმარეები კი გახდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ალბერტო ("რეალ სოსიედადი"), პაბლო ალფარო ("სევილია"), იტო ("ესპანიოლი"), მორანი ("რასინგი"), პინილია ("ხიმნასტიკი"), ოლი ("კადისი") და რამესი ("პეგასო ტრეს კანტოსი").

აღსანიშნავია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში AFE-ის ვიცე-პრეზიდენტი ემილიო ბუტრაგენიო იყო.

### მარადონა ვერონს არგენტინაში დაბრუნებას სთავაზობს

არგენტინელმა ფეხბურთელმა ხუან სებასტიან ვერონმა აღიარა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას მარადონას ესაუბრა. საუბრის თემა იყო მისი შესაძლო დაბრუნება ყოფილ კლუბში "ბოკა ხუნიორსში".

"მართლაც, დამირეკა დიეგომ და არგენტინაში დაბრუნება შემომთავაზა", - განაცხადა ფეხბურთელმა არგენტინულ გაზეთ Ole-სთან საუბრისას.

აღსანიშნავია, რომ მარადონამ უარი თქვა დაეკავებინა "ბოკას" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელის პოსტი, სამაგიეროდ იგი კლუბის სპორტული დირექტორი გახლავთ.

### "მილანს" მოსამზადებლად ერთი დღე დაუმატეს

"მილანი" და "პალერმო" შეთანხმდნენ, რომ იტალიის ჩემპიონატის მატჩი 21 მაისის ნაცვლად 20 მაისს ჩატარდეს. ამით "მილანელებს" ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის მოსამზადებლად კიდევ ერთი დღე მიეცათ.

"უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ჩვენ ათი გადამწყვეტი მატჩი ვითამაშეთ. ახლა მომავალი შეხვედრებისთვის უნდა მოვემზადოთ. ერთი დღის დამატება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამას ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ", - განაცხადა "მილანის" ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ.

შეგახსენებთ, "მილანი"-"ლივერპულის" ფინალური მატჩი 25 მაისს სტამბულში გაიმართება.

### დიდი კარიერის დასასრული

"როიტერსის" ცნობით, ესპანეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ყოფილმა მცველმა ფერნანდო იერომ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას გეგმავს. "ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. ახლა წასვლა იმიტომ მინდა, რომ ჯერ კიდევ მაღალი დონის ფეხბურთს ვთამაშობ," - განაცხადა 37 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ამჟამად ინგლისური კლუბის "ბოლტონის" ღირსებას იცავს.

იერომ ეროვნულ ნაკრებში 89 მატჩი ჩაატარა. მადრიდის "რეალში" ის 1989-2003 წლებში თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ მისი წასვლის შემდეგ მადრიდელებმა ვერც ერთი ტურნირი ველარ მოიგეს. ესპანეთის დატოვების შემდეგ მცველმა ერთი სეზონი კატარში ითამაშა, 2004 წლის ივლისში კი კონტრაქტი გააფორმა "ბოლტონთან".

### ლე გუენი "ლიონიდან" მიდის

"ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა თავისი პოსტი მას შემდეგ დატოვა, რაც გუნდმა საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა გამარჯვება (აქედან სამი მისი უშუალო ხელმძღვანელობით).

"ლიონიდან" წასვლა გადავწყვიტე, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის სამი წლით გაგრძელება შემომთავაზეს. ვგრძნობ, რომ ცვლილებების დრო დადგა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, სად გავაგრძელებ მუშაობას, თუმცა, ის კი ზუსტად ვიცი, რომ ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ", - განაცხადა 41 წლის სპეციალისტმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე.

სხვათა შორის, The Guardian-ის ცნობით, ლე გუენს მომავალი კლუბი უკვე შერჩეული აქვს. ეს ლონდონის "არსენალი" გახლავთ. იგი არსენ ვენგერის დამხმარე გახდება.

ინფოთეკა

### "მანჩესტერ იუნაიტედი" კარლო კუდიჩინის უმიზნებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ლონდონის "ჩელსის" მეკარის კარლო კუდიჩინის შეძენის სურვილი გამოთქვა. მანჩესტერელები მზად არიან, მასში ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ. იტალიელი წინააღდეგი არაა, ამჟამინდელი კლუბი დატოვოს, ოღონდ იმ პირობით, რომ თავის ახალ გუნდში პირველი მეკარე იქნება. "ჩელსის" ხელმძღვანელობა, ალბათ, კუდიჩინის წასვლის წინააღმდეგი არ უნდა იყოს, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ "არისტოკრატებს" ხელს არ უნდა აძლევდეთ პრემიერლიგაში მათი ერთ-ერთი კონკურენტის გაძლიერება.

ამავე დროს, ინგლისის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" შემოსავლის გაზრდას თავისი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე კაზინოსა და გასართობი ცენტრის გახსნით აპირებს. კლუბის ხელმძღვანელობა მშენებლობასთან დაკავშირებით Las Vegas Sands Corp-ს შეუთანხმდა. გასართობ ცენტრში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რესტორანი და სპორტული კლუბი იქნება.

### შესაძლებელია, "ნიუკასლის" სკანდალისტი "რომაში" გადავიდეს

შესაძლოა, იტალიური "რომას" რიგები "ნიუკასლის" ემოციურმა და ტემპერამენტიანმა ნახევარმცველმა ლორან რობერმა შეავსოს. ფრანგ ფეხბურთელს გამუდმებით უსიამოვნება აქვს გუნდის მთავარ მწვრთნელთან ბობი რობსონთან. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა აიძულა კლუბის პრეზიდენტი ფრედი შეფერდი, გაეყიდა თავისი სკანდალური ფეხბურთელი.

რომის კლუბი რობერის შეძენით იმიტომაა დაინტერესებული, რომ "სიენას" ნახევარმცველმა როდრიგო ტადეუმ, რომლის იმედიც ჰქონდა "რომას, მილანის "ინტერზე" შეაჩერა არჩევანი.

აღსანიშნავია, რომ რობერის შეძენის სურვილი ესპანეთისა და საფრანგეთის რამდენიმე კლუბს აქვს.

### ბენიტესი დარწმუნებულია, რომ ჯერარდი არ წავა

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი დარწმუნებულია, რომ გუნდის კაპიტანი სტივენ ჯერარდი "ენფილდ როუდზე" მომავალ სეზონზეც დარჩება.

"ამჟამად სტივენის საქმეები კარგად მიდის. ჩვენ მისი გაყიდვა არ გვინდა. ჩემთვის უკეთესია, რომ ისეთი ფეხბურთელი, როგორიც სტივენია, გუნდში მყავდეს და არა ის, რომ მისი გაყიდვით ფული ვიშოვო. ჩემს გუნდში არიან ჯერარდი და ალონსო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველები მყავს. სხვა ფეხბურთელები არ მჭირდება. ფული ყველაფერს არ წყვეტს. იმედი მაქვს, ჩვენი გუნდი მომავალ წელსაც ისეთივე ძლიერი იქნება, როგორიც ახლაა", - განაცხადა ბენიტესმა.

### ედუ "არსენალიდან" მიდის, პირესს კი დარჩენის იმედი აქვს

"ბიბისის" ცნობით, ლონდონის "არსენალის" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ედუმ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს კლუბიდან წასვლას აპირებს.

"მტკიცედ გადავწყვიტე, ინგლისის თასის ფინალური მატჩის შემდეგ გუნდიდან წავიდე, თუმცა, მომავალი კლუბი ჯერ არ შემირჩევია. ჩემი შეძენა მადრიდის "რეალს", "ბარსელონას", "ვალენსიასა" და "იუვენტუსს" სურს. მინდა კვლავაც ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო", - განაცხადა ფეხბურთელმა.

ამავე დროს "არსენალის" ფრანგი ფეხბურთელი რობერ პირესი აპირებს, მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს ახალი კონტრაქტის შესახებ გაესაუბროს.

ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ "მეთოფეებთან" კიდევ ორი წელი დარჩება.

"აქ ძალიან მომწონს. მივეჩვიე ლონდონს. მიყვარს "არსენალი", რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულ კლუბად დარჩება ჩემთვის. იმედი მაქვს, კლუბთან ახალ კონტრაქტს გავაფორმებ", - განაცხადა ფეხბურთელმა.

აღსანიშნავია, რომ პირესის შეძენა ესპანურ "ბარსელონასა" და ფრანგულ "ლიონს" უნდათ. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთელმა ასეთი კომენტარი გააკეთა: "არა მგონია, რომ საფრანგეთში დავბრუნდე. ესპანეთში გადასვლაზე შეიძლება ვიფიქრო კიდეც, თუმცა, ამჟამად "არსენალიდან" წასვლა არ მინდა. თუ ამის გაკეთება მომიხდა, ვარიანტების შერჩევაზე შემდეგ დავიწყებ ფიქრს".

ფეხბურთი

# ფერნანდო იერო: "რეალის" გულშემატკივრად მოვკვდები"

ფერნანდო იერომ სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. ფეხბურთიდან წავიდა ესპანეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. თავისი გადაწყვეტილების შესახებ მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა გაზეთ "ას"-ის ჟურნალისტებს უამბო.

**- შენ საპარადო შესასვლელით მიდიხარ?**

- ჩემი დროც დადგა. თუმცა, კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მრავალ ფაქტს უწევ ანგარიშს. ერთ-ერთი მოტივაციაა. დიდ მადლობას მოვახსენებ "ბოლტონს" იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც კლუბმა აღმომიჩინა, მაგრამ დადგა დრო, როცა უნდა წავიდე - თავაწეული, წელგამართული და იმ გრძნობით, რომ გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურა ვარ.

**- როდის მიხვდი, რომ ფეხბურთი შენი პროფესია იქნებოდა?**

- იმ დღეს, როცა ვისენტე კანტატორე ნახევარი საათი მელაპარაკა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ფეხბურთელი. ვალიადოლიდში, "ზორილიას" სტადიონზე მდებარე მის კაბინეტში ჩვენ ნამდვილი ფეხბურთელისთვის დამახასიათებელ უმთავრეს ასპექტებზე ვსაუბრობდით.

**- ვისენტე კანტატორემ პირველი შანსი მოგცა?**

- ის იყო და ჩემთვის მუდამ დარჩება განსაკუთრებულ ადამიანად. სწორედ მან დაინახა ჩემში მომავალი ფეხბურთელი. კანტატორეს ჩემი ძმის, მანოლოს წყალობით შევხვდი. რეგიონულ პირველობაზე ჩემი მშობლიური ქალაქის, ველესის გუნდის თამაშიდან შინ ვბრუნდებოდი. სწორედ ამ დროს შევხვდი მას. მან დამლოცა სიტყვებით: "ეს შენი შანსია და, ამ მომენტიდან დაწყებული, სწორედ შენ უნდა დაამტკიცო შენივე შესაძლებლობები". ეს ადამიანი ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე გავლენა მოახდინა.

**- პროფესიულ დონეზე რა ფასეულობები შეგძინა მადრიდის "რეალმა"?**

- როცა "რეალის" მაისურას მოირგებ, მადრიდი გასწავლის იმას, რომ მთელი შენი არსება უნდა ჩააქსოვო თამაშში და ასი პროცენტით დაიხარჯო. მადრიდი წამით მოდუნების საშუალებას არ იძლევა. როცა მოთამაშე სეზონისწინა მზადებას იწყებს, მან კარგად იცის, რომ ელემენტი უნდა დატენოს. ეს უზრუნველყოფს განწყობას, რომ ყველა შესაძლებელი ტიტული მოიგო. როცა იგებ, ამ გამარჯვებას უამრავი ადამიანი ზეიმობს, წაგების შემთხვევაში კი იგივე ადამიანები იტანჯებიან. ამას იმ 14 წლის განვავლობაში მივხვდი, რაც მადრიდის "რეალში" გავატარე.

**- პერსონალურ დონეზე "რეალი" ახალ ცხოვრებას გასწავლის?**

- როცა მადრიდში ჩადიხარ, "ქცევის ახალ კოდექსს" სწავლობ - საკუთარი თავის მიმართ უაღრესად მომთხოვნი ხდები. აცნობიერებ, რომ მიდიხარ დიდი ისტორიის მქონე კლუბში. შენ მიდიხარ ევროპის სამი ტურნირის, ჩემპიონატისა და სხვა ტიტულების მოსაგებად.

**- ესპანეთში ფეხბურთის ისტორიას რატომ სცემენ ნაკლებ პატივს?**

- ინგლისში ძალიან ჭკვიანები არიან და თავისი ისტორიის გაფრთხილება იციან. ისინი ყოველთვის უკან იხედებიან და თავიანთ ლეგენდებს ეთაყვანებიან. ისინი თავიანთი ვეტერანებით ამაყობენ.

**- რას ნიშნავს შენთვის მადრიდის "რეალი"?**

- მე მადრიდის გულშემატკივრად დავიბადე და ასეთად მოვკვდები. ეს სულში მაქვს გამჯდარი. ცხადია, ჩემი წასვლა უფრო სხვა, უკეთესი ფორმით შეიძლებოდა, მაგრამ მე არავის ვადანაშაულებ. ნამდვილად. მადრიდის "რეალში" 14 წელი ვითამაშე, ამიტომ მასზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. ემოციურ და ფინანსურ დონეზე მადრიდმა ყველაფერი მომცა.

**- დროა, ყველაფერი კარგი გავიხსენოთ...**

- მე მახსოვს ის ურთიერთობა, რომლითაც აქ ვსარგებლობდი და ის დახმარება, რომელიც კლუბმა დედაჩემს ავადმყოფობის დროს აღმოუჩინა. მაშინ ევროტურნირის მატჩზე უცხოეთში ვიყავი. კლუბი ყველაფერს გასწვდა. ან მახსენდება პერიოდი, როცა ჩემი კარიერის დასაწყისში კლუბმა ხელფასი წინასწარ გადამიხადა, რათა ბინა შემეძინა. კლუბი ყველა ჩვენგანზე მაღლა დგას.



**- შენ მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების კაპიტანი იყავი...**

- ნაკრები - ეს სხვა თემაა. მე 89-ჯერ მომირგია მისი მაისურა. ყოველთვის ვამაყობდი, რომ ჩემი ქვეყნისთვის ვთამაშობდი, ვისმენდი ჰიმნს, მონაწილეობა მივიღე ოთხ მსოფლიო ჩემპიონატზე... ამას გარდა, ფეხბურთის ფედერაცია მუდამ კარგად მექცეოდა.

**- როდის გქონდა ყველაზე რეალური შანსი, ნაკრებთან ერთად რაიმე ტიტული მოგეგო?**

- ნაკრების დონეზე ტიტული ერთადერთია, რაც ჩემს სპორტულ კარიერას დააკლდა. თუმცა, მისი მოპოვების სიახლოვე რამდენჯერმე შევიგრძენი. განსაკუთრებით კორეა-იაპონიის მუნდიალზე. აშშ-ის 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც, როცა ხავიერ კლემენტე გვწვრთნიდა. მაგრამ ფეხბურთში შანსი ჩნდება და ქრება. ჩვენ მუდამ ბოლო ძალისხმევა გვაკლდა.

**- შენ ყოველთვის ამბობ, რომ ფეხბურთელები პატივს გცემენ. რატომ არ გინდა მწვრთნელად მუშაობა?**

- მე ფეხბურთზე შეყვარებული ვარ. ეს ჩემი ცხოვრებაა. ჩემი პროფესიის შესახებ ბევრი მიფიქრია, მაგრამ მწვრთნელად მუშაობა... არ გამომივა. 24 საათის განმავლობაში 25 კაცზე ფიქრი ჩემთვის სულაც არ არის კომფორტული.

**- მოდი, ვისაუბროთ იმ მწვრთნელებზე, რომლებიც მადრიდის "რეალში" გყავდა. რადომირ ანტიჩმა რა მოგცა?**

- ანტიჩმა მთელი ჩემი პოტენციალი გამოამზეურა. ის მენდო და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გამამწესა. საინტერესოა, რომ "ბოლტონში" სწორედ ამ პოზიციაზე დავასრულე საფეხბურთო კარიერა. ანტიჩმა მასწავლა, რომ თუ ყოველდღე იშრომებ, წარმატება აუცილებლად მოვა.

**- ჯონ ტოშაკი...**

- მასთან ფეხბურთს სხვა თვალით შევხედე. ახლა, როცა ინგლისში ვარ, მისი მენტალიტეტი უკეთესად მესმის.

**- ხორხე ვალდანო...**

- მან ნათლად მიმახვედრა, რომ მთელი ჩემი პოტენციალის გამოყენებას ცენტრალური მცველის პოზიციაზე შევძლებდი. ხორხეს ხელში კარგი ფეხბურთის გემო შევიგრძენი.

**- ბენიტო ფლორო...**

- მასთან ბევრი მისაუბრია. ის დამეხმარა, ფეხბურთის მთავარი მახასიათებელი შემეთვისებინა. მან მასწავლა, ვიყო პროფესიონალი ყველგან, სადაც არ უნდა ვთამაშობდე. მან მაიძულა მეფიქრა, რომ ნახევარმცველი ვარ და მასწავლა ამ პოზიციაზე თამაში. მის ხელში ტექნიკური თვალსაზრისით ბევრი რამ შევისწავლე.

**- ფაბიო კაპელო...**

- მასში ყველაზე საუკეთესო ეს გამარჯვებულის ფსიქოლოგიაა, რომელიც მომავალში მადრიდული კლუბის ევროპულ სარბიელზე გამარჯვების საფუძველი გახდა. მისი სამუშაო ემბრიონი იყო, რომელიც მომავალში განვითარდა. მან ამ გუნდში გამარჯვებულის ხასიათი დანერგა. კაპელომ შექმნა ბაზა იმისთვის, რომ შემდგომში ჰაინკესთან და ჰიდინკთან ერთად ახალი ჯილდოები მოგვეგო.

**- დელ ბოსკე...**

- მან ფსიქოლოგია იმდენად კარგად იცის, რომ შეუძლია, მცირე დეტალების ხარჯზეც კი მოიგოს. ვისენტემ მადრიდი ძალიან კარგად იცის. ის კარგი ადამიანი და კარგი მწვრთნელია. ის შესაბამისი მწვრთნელია ძლიერი კლუბებისთვის.

**- ხავიერ კლემენტე...**

- მის ხელში რეგულარულად ვთამაშობდი. სუარესმა დებიუტის შანსი მომცა, მეირასაც სწამდა ჩემი, მაგრამ ხავიმ ეროვნული ნაკრების კარი გამიღო. კამაჩომ ისეთი რაღაცები მასწავლა, რაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. მის ხელში გავიგე, თუ როგორი უნდა იყოს ფეხბურთელი.

ფორმულა 1

# ხუან კარლოს I და ფერნანდო II

გიგა გურასაშვილი

*"ტიტული სადღაც შორს მიექანება, რაც გასაგებია, მაგრამ არც ისე შორს, რომ ფარხმალი დავყაროთ, - "ესპანეთის დიდი პრიზის" შემდეგ ასე აფასებდა ვითარებას მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხუთ რბოლაში ათი ქულა მოიპოვა, ბრძოლის გაგრძელებაზე კვლავაც ფიქრობს. - საკმაო ხანია, რაც მიცნობთ და იცით, რომ მალე ისევ შევიძენ მოტივაციას და რბოლებისგან ისევ დიდ სიამოვნებას მივიღებ". "კატალუნია მონტმელოს" ტრასაზე გამართულ მეხუთე ეტაპს, როგორც ყოველთვის, აპენინელი და პირენეელი კალმოსნები ეხმაურებიან. ესპანელთა რბოლის შემდგომი რეაქცია გასაგებია: აქებენ და ადიდებენ საკუთარ თანამემამულეს ფერნანდო ალონსოს და მისი სახით უკვე ჩემპიონს ხედავენ, იტალიელები კი "ფერარის" პერსპექტივას მუქ ფერებში ხატავენ. მეტიც: იტალიელებმა სკუდერია ჩამოწერილთა შორის გაამწესეს.*



*შარშანდლისგან განსხვავებით წელს "რენოს" საჭინიბო ყურადღების ცენტრშია.*

მართალია, "ესპანეთის დიდი პრიზი" "რენოს" მრბოლსა და ჩემპიონატის ლიდერს ფერნანდო ალონსოს არ მოუგია, მაგრამ მეორე ადგილითაც კმაყოფილი ჩანან ფრანგულ საჯინიბოში. "რენოს" ბოსს ფლავიო ბრიატორეს კი მაკლარენელთა ფინელი მრბოლის კიმი რაიკონენის გამარჯვება, როგორც თავად ამბობს, გულწრფელად გახარებია: "მშვენიერია, როდესაც რბოლა კიდევ ვიღაცამ მოიგო. მუდმივად გამარჯვებულები ვერ ვიქნებით. ამიტომაც მივესალმები იმ ფაქტს, რომ კონკურენტები გამოგვიჩნდნენ. მიხარია იმდენად, რამდენადაც "მაკლარენს" სჭირდებოდა ეს გამარჯვება. ახლა "ფერარისაც" ძალზე სჭირდება გამარჯვება".

ამასობაში "მაკლარენ-მერსედესში" "რენოსთან" ტიტულისთვის ჭიდილზე ფრთხილად საუბრობენ. თუ რაიკონენი დარჩენილ რბოლებს მოიგებს, ხოლო ალონსო მუდმივად მეორე იქნება, ფინელს ესპანელისთვის გასწრება მხოლოდ სეზონის ბოლოს შეეძლებაო. "არ გამიკვირდება, თუ ისეთივე სიხშირით მოვიგებთ რბოლებს, როგორც ალონსო, მაგრამ, ცხადია, ჩემპიონები მაინც ვერ გავხდებით, - შესაძლო პერსპექტივა განსაზღვრა მაკლარენელთა შეფმა რონ დენისმა და იქვე დაამატა: - საუბარი მარტო გამარჯვებებზე კი არაა, არამედ იმაზე, რომ ფერნანდოს ქულათა დიდი მარაგი აქვს. იმისთვის, რომ ჩემპიონატმა ინტრიგა შეიძინოს, ესპანელმა რამდენჯერმე უნდა გადაუხვიოს ტრასიდან. ამასთან, იმავდროულად, იმავე რბოლებში, ქულათა მაქსიმალურად დიდი რაოდენობა უნდა მოვიპოვოთ".

ერთი სიტყვით, "რენომ" ულიმლამოდ უნდა იასპარეზოს, "მაკლარენ-მერსედესმა" კი ფრანგული საჯინიბოს წარუმატებლობით ისარგებლოს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი ძალზე უპერსპექტივოდ ჩანს, რადგან წლეულს "რენო" აშკარად საუკეთესო ფორმაშია როგორც ბოლიდთა სიძლიერით, ისე მრბოლთა ოსტატობით.

ახლა კი ტრადიციულად იტალიურ-ესპანური პრესა, რომელიც "ესპანეთის დიდ პრიზს" ეხმიანება.

**იტალია:**

"Cazzetta dello Sport": "ფერარიმ" ახალი სასტიკი დარტყმა მიიღო. და მაინც, შუმის რევანშის სჯერა. სკუდერიას დიდი კრიზისი უდგას. ესპანეთის თბილ მზისქვეშეთში მიხაელის მორიგი ტიტულის იმედები ლღვება. შორია "ფერარის" დაბრუნებამდე. ტრასა, რომელზეც ბოლო ოთხი წელიწადია მიხაელი გამარჯვებებს ზეიმობდა, მორანელოს გუნდისთვის ცივი, უკარება აღმოჩნდა. ფერარელებს ისღა დარჩენიათ, იარები მოიშუშონ".

"Tuttosport": "ტიტული "ფერარისთვის" ფატა მორგანაა. გუნდს ჩემპიონატში წარმატებასთან გამოთხოვება უწევს. შუმი ცდილობს, "იმოლას" წარმატება გაიმეოროს ("სან მარინოს დიდი პრიზი" ერთადერთია, რომლის ტრასაზეც მიხაელი სამეულში მოხვდა.-რედ.). კარგადაც გამოვიდა, მაგრამ ტრასიდან გადახვევა მოუხდა (46-ე წრეზე მარცხენა საბურავები გაუსკდა.-რედ.). ახლა "ფერარიმ", სულ ცოტა, საკუთარი ღირსების გადასარჩენად უნდა იბრძოლოს".

"Corriere dello Sport": "ამჯერად, როგორც ეტყობა, "ფერარისთვის" რბოლა მართლაც დასრულდა. "იმოლას" იმედები ისევე გაიფანტა, როგორც შუმახერის საბურავებიდან გამოსული ჰაერი. ხუთი რბოლის შემდეგ ალონსო კოლოსალური უპირატესობით ლიდერობს. ალონსოსგან 34-ქულიანი ჩამორჩენა ხუთწლიანი წარმატებული ფაზის შემდეგ დიდი დარტყმაა. ფერარის" დრო მიდის. მაგრამ იმიჯის გადასარჩენად მათ კიდევ 14 დიდი პრიზი აქვთ. თაობათა ცვლა დაიწყო".

"La Repubblica": "ფერარი" კრიზისულ მდგომარეობაში იძირება. მსოფლიო ჩემპიონატი დე ფაქტო დასრულებულია "ფერარისთვის".

**ესპანეთი:**

"Marca": "ხუან კარლოს I და ფერნანდო II ("ესპანეთის დიდ პრიზზე" კვარცხლბეკზე შემდგარი სამეული ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა დააჯილდოვა.-რედ.). ალონსო ტიტულის გზას ადგას. რაიკონენი ძლიერი მეტოქე ხდება".

"As": "საქმეს ტიტულის სუნის ასდის. გმადლობთ, ფერნანდო! შენ თითოეულს სიხარულს გვანიჭებ".

"El Mundo": "ბრწყინვალე მეორე ადგილი ფერნანდოსთვის ესპანეთში. შუმახერი გზიდან უხვევს, რაიკონენი წინააღმდეგობის გარეშე იმარჯვებს".

ინფოთეკა

### ტერი მზადაა, მოურინიოსთვის მოკვდეს

ლონდონის "ჩელსის" კაპიტანმა ჯონ ტერიმ განაცხადა, რომ მზადაა, მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოსთვის მოკვდეს.

"ამ ადამიანისთვის თავს გავწირავ როგორც მოედანზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მან ჩვენთვის ძალიან ბევრი გააკეთა. მოურინიო კარგი პიროვნებაა, რომელსაც ძლიერი ხასიათი აქვს. ჩვენს მას დიდ პატივს ვცემთ," - განაცხადა ტერიმ.

გარდა ამისა, "ბიბისისთან" საუბარში "ჩელსის" კაპიტანმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონზე მისმა გუნდმა ინგლისის ჩემპიონატის მატჩებში მარცხი არ უნდა განიცადოს.

"მომავალ სეზონზე ჩვენი მიზანი მხოლოდ მოწინააღმდეგეების დამარცხება უნდა იყოს. შესაძლოა, ეს მიზანი ყველას ძალიან სერიოზულად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენს კლუბს შორს მიმავალი გეგმები აქვს. გასულ წელს "არსენალმა" დაამტკიცა, რომ ეს შესაძლებელია. რატომ არ უნდა გავიმეოროთ ეს ჩვენც?"- იკითხა ჯონ ტერიმ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 11 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ჩელსი"
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
14:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:05 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
17:35 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. გადამწყვეტი მატჩები
19:05 თავისუფალი დარტყმა
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 რუსეთის თასი. მეოთხედფინალი. "სატურნი" - ცსკა. საპასუხო მატჩი
21:20 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "იუვენტუსი". შესვენებისას (22:10) - თავისუფალი დარტყმა
23:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:15 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 15:45, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:50 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში
13:35 პროგრამა. "მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ექო"
14:05 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:05 ბილიარდი. საერთაშორისო ტურნირი პირამიდაში
16:00 მოტოტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი სანქტ-პეტერბურგში
18:00 ფიგურული სრიალი. ბრაიან ბოიტანოს შოუ
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 სტილური კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
20:15 "სპორტისიმო"
21:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი. შესვენებისას (21:30) - პრესცენტრი
23:45 თავისუფალი ჭიდაობა. "რუსების ევროპის ჩემპიონატზე"
00:15 ახალი ამბები
00:30 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ფეხბურთი - ევროგოლები
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ველორბოლა. იტალიის ტური
17:00 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
21:00 ფეხბურთი. ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი იტალიაში. ნახევარფინალი
22:00 ფეხბურთი. ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი იტალიაში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 ცხენოსნობა. სუპერლიგა საფრანგეთში
00:45 გოლფი. მიმოხილვა
02:15 ახალი ამბები
02:30 აფროსნობა
03:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:15 მულტისპორტი - იტალია-2006

## ვინ არის სატანა?



რელიგიური კოსმოგონიის ამ უარყოფითი პერსონაჟის სახემ უხსოვარ დროში დაიწყო ჩამოყალიბება. მისი ფესვები შუამდინარული მითების ურჩხულებში უნდა ვეძებოთ. შეიძლება ითქვას, რომ გილგამეშის ეპოსში მოხსენიებული ტყის არსება, **ხუმბაბა** ჩვენთვის ცნობილი ეშმაკის შორეული წინაპარია. დროთა განმავლობაში დემონის სახეს შეერწყა ძველი აღთქმის აპოკრიფებში მოცემული უცნაური და ბოროტი არსებების თვისებები.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისკენ, ალბათ რომაული დაპყრობის გამო, იუდაურ გარემოში გაიზარდა ქვეყნიერების ტრაგიკული აღქმა და აპოკალიფსური განწყობები. თანდათანობით ჩამოყალიბდა შესაბამისი შინაარსის მატარებელი სექტები და რელიგიური დაჯგუფებები. დღემდე არაა დანამდვილებით ცნობილი, წარმოიშვა თუ არა ქრისტიანობა ერთ-ერთი ასეთი დაჯგუფების წიაღში. მაგრამ აშკარაა, რომ ახალ აღთქმაში, ძველთან შედარებით, საგრძნობლად გახშირებულია სატანასთან დაკავშირებული თემატიკა. ბოროტი სული, კაცთა მოდგმის მტერი, მკვლელი და მატყუარა აქ უკვე ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. მას ღიად უპირისპირდება მაცხოვარი, სატანა უშუალოდ გამოჩნდება ქრისტეს ამქვეყნიური მსახურების დასაწყისში (უდაბნოში ცდუნების დროს) და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაც მისი საბოლოო დამარცხებაა. ასევე ხშირად ვხვდებით ეშმაკისგან შეპყრობილ ადამიანებს, რომლებიც მესიისგან განკურნებას ელიან.

ადრეული ქრისტიანი მწერლებიც უკვე საკმაოდ ხშირად ახსენებენ სატანას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აპოლოგეტების იდეა: რომაელებს სატანა უშლის ხელს, ყურად იღონ ქრისტიანთა სიტყვა. ამგვარი განწყობა შეინიშნება აპოლოგეტთა მთელ შემოქმედებაში, მაგრამ ყველაზე აშკარად გამოხატულია იუსტინე მარტვილის წერილში ანტონინუს პიუსის მიმართ.

ამავე დროს, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე იგრძნობა სხვადასხვა დუალისტური რელიგიური მსოფლმხედველობის, განსაკუთრებით მანიქეიზმისა და გნოსტიციზმის გავლენები. ამ გავლენებს ორთოდოქსული ეკლესია ერესებად შერაცხავს, მაგრამ ისინი მაინც აღწევს ქრისტიან მწერალთა თხზულებებში. მაგალითად, ტერტულიანე ეშმაკის საქმედ მიიჩნევს მთელ ადამიანურ მოღვაწეობას ამქვეყნად. მიუხედავად იმისა, რომ ეს უარყოფითი პერსონაჟი ყველა რელიგიაში არსებობდა, ქრისტიანობაში მისი "სტატუსი" განუზომლად ამაღლდა — ეშმაკი აქ უკვე არა უბრალოდ ბოროტი სულია, არამედ ღვთისა და კაცთა მოდგმის უმთავრესი მტერი.

მაგრამ აქ მაინც შეიმჩნევა ერთგვარი განსხვავება: პირველივე საუკუნეებიდან სატანა ლამის მსჭვალავს ქრისტიანული კულტურის ყველა მხარეს, მაგრამ ამ თემატიკის მიმართ ოფიციალურ საეკლესიო ნაწერებში მაინც ძლიერი თავშეკავება იგრძნობა. პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, ისაა, რომ **სატანის არსებობა არასოდეს წარმოადგენდა საეკლესიო დოგმას**. სხვა სიტყვებით, შეიძლება იყო ქრისტიანი და არ გწამდეს ეშმაკის არსებობა. ამ გარემოებას ხაზს უსვამს, მაგალითად, ადრეული ქრისტიანობის მკვლევარი აბატი რენე ლორენტანი: "სატანა არანაირად არაა დოგმის ობიექტი... ეს ადამიანის იმქვეყნიური ბედის უარყოფითი მხარეა. ეკლესია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა იმას, რომ დემონები არ ქცეულიყვნენ დამოუკიდებელ ბოროტ ღვთაებებად". მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საეკლესიო კრებებზე სატანის თაობაზე სულ ექვსიოდე განცხადება გაკეთდა. მაგალითად, ლატერანის მეოთხე საეკლესიო კრებაზე 1215 წელს გაკეთდა ასეთი გაცხადება: "ღმერთმა დემონები თავიდანვე შექმნა სიკეთის მატარებელ სულებად, მაგრამ ისინი დამოუკიდებლად გაბოროტდნენ. ადამიანი კი უკვე მათი რჩევით სცოდავს". ამით კრების განცხადება სრულდება და მხოლოდ 1546 წელს, ტრიდენტის კრებაზე უბრუნდება კათოლიკური ეკლესია სატანის თემას. მაგრამ ეს გარკვეულ კონტექსტში ხდება: პირველყოფილი ცოდვა, პირველი ადამიანების გაძევება ედემიდან.

მაგრამ ეს სიტყვაძუნწობა არ იძლევა ფანტაზიის განვითარების საშუალებას. ვინ არის სატანა? აქვს თუ არა სხეული? როგორ მოძრაობს? როგორ გამოიყურება? რატომ არ დამორჩილდა შემოქმედს? პირველი ქრისტიანი მწერლები საკმაოდ განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ ამის თაობაზე. ლაქტანციუსის თანახმად, სატანა იესო ქრისტეს უმცროსი ძმაა, რომელიც შურით აღიძრა. ამგვარად ღვთის ორი ძე განასახიერებს სიკეთესა და ბოროტებას. "ეს აუცილებელია, — განმარტავს ლაქტანციუსი, — რადგან ბოროტების გარეშე არ იქნებოდა შიში როგორც მორჩილების საფუძველი". გრიგოლ ნოსელი (მასთან ერთად კი ამბროსი მედიოლანელი და გრიგოლ ღვთისმეტყველი) ამბობს, რომ ღმერთმა დაამარცხა სატანა შემდეგნაირად: კაცობრიობის მაგიერ ღმერთმა სატანის ხელში მხოლოდ თავისი განკაცებული ძე ჩააგდო, მაგრამ შემდეგ კვლავ მკვდრეთით აღადგინა იგი, რითაც ეშმაკის გეგმები ჩაშალა.

ძალიან ავტორიტეტული ამ თვალსაზრისით ნეტარი ავგუსტინეს აზრი. ეს ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იოანეს სახარებაში გამოთქმულ ძნელად გასაგებ აზრს იმის შესახებ, რომ სატანა დასაბამიდანვე იყო ცრუ და კაცისმკვლელი. მაგრამ ავგუსტინეს განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია: სატანა თავიდან კეთილი არსება იყო, მაგრამ ამპარტავნების გამო შესცოდა და რწმენა არარაში მოათავსა იმის მაგიერ, რომ არსებაში მოეთავსებინა. აქედან მომდინარეობს იდეა, რომ ბოროტებას საკუთარი არსება არ გააჩნია და ის სიკეთის ნაკლებობაა, სიცარიელეა.

მოგვიანებით სატანის ბუნების პრობლემა საკმაოდ დაწვრილებითაა დამუშავებული სქოლასტიკოს თეოლოგებთან. XIII საუკუნეში მას განიხილავენ ისიდორე სევილიელი, ალბერტ დიდი, თომა აკვინელი. იმ დროს დემონების რიცხვზეც კი კამათობდნენ. ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ დემონთა რაოდენობა ტოლია 1758064176 (66 ლეგიონი, რომელთაგან თითოეული 666 კოჰორტისაგან შედგება და ყოველი კოჰორტა კი 6666 დემონს აერთიანებს). თეოლოგთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ დემონების დიდი ნაწილი ჰაერში ბინადრობს (ქრისტიანულ ლიტერატურაში მათ ჰაერის მცველები ეწოდებათ), მცირე ნაწილი კი ჯოჯოხეთში. თეოლოგები კამათობდნენ დემონთა გონებრივი შესაძლებლობების გარშემო: ზოგი მიიჩნევდა, რომ დემონები ძალიან ჭკვიანები არიან, სხვები კი გიომ ოვერნელის კვალდაკვალ ამტკიცებდნენ, რომ მათი აზროვნების უნარი ძალიან სუსტია. ეს უკანასკნელი თვალსაზრისი განსაკუთრებით გავრცელდა საზოგადოების დაბალ ნებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დემონების სხეულს ეხება. აქაც მრავალი განსხვავებული აზრი გამოითქვა, ორი უკიდურესის გამოკლებით. ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ დემონებს აქვს სხეული, ოღონდ არა მატერიალური. ამ "ეთეროვანი" სხეულის წყალობით დემონებს შეუძლიათ ნებისმიერი სახის მიღება. შეუძლიათ გადაიქცნენ ნებისმიერი გარეგნობის მამაკაცად ან ქალად და მიწიერ ადამიანებთან შევიდნენ სექსუალურ კავშირში. გიომ ოვერნელი წერდა: "დემონს შეუძლია გამოეცხადოს ადამიანს შავი კატის ან გომბეშოს სახით და კოცნა მოსთხოვოს. კატა კუდის ქვეშ მოითხოვს კოცნას, გომბეშო კი ტუჩებში".

XI საუკუნეში ანსელმ კენტერბერიელი ცდილობდა მინიმუმამდე დაეყვანა სატანის გავლენა, იგი სრულიად გამორიცხავდა ადამიანზე მის ზემოქმედებას. მაგრამ ორასი წლის შემდეგ თომა აკვინელმა, პირიქით, საოცრად გააფართოვა ის სფერო, რომელშიც ადამიანს შეუძლია სატანის მსხვერპლი გახდეს. ეს ბუნებრივია: რაც უფრო დიდია ქრისტიანთა რიცხვი, რაც უფრო მცირეა მათი განათლების დონე, მით უფრო დიდი საჭიროებაა, რომ გვახსოვდეს სატანის არსებობა, მით უფრო მეტად უნდა ვიყოთ დარწმუნებული მის ძლიერებაში.

# სატანიზმი ევროპაში I

"სატანიზმი" — ამ სიტყვას საკმაოდ ხშირად გაიგონებთ დღევანდელ საქართველოში. განსაკუთრებით უყვართ მისი ხმარება "ეროვნული სულისკვეთებით" გაჟღენთილ ადამიანებს, რომლებიც ერთობ ადვილად ეძლევიან ხოლმე წმინდა მრისხანებას. სატანიზმი ლამის ყველაზე გავრცელებული იდეოლოგიური ბრალდებაა და მისი მსხვერპლი ხან თანამედროვე ხელოვნება ხდება, ხან კიდევ პატივსაცემი მეცნიერული დისციპლინები ფილოსოფია, ფსიქოლოგია ან სოციოლოგია.

მაინც რა არის სატანიზმი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით? — ეს არის **რელიგიური გაერთიანება, რომლის მოძღვრება ემყარება სატანის შეგნებულ თაყვანისცემასა და მსახურებას**. მაგრამ ვინაა თვით სატანა? როცა ლაპარაკია სატანიზმზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი თაყვანისცემის ობიექტი — სატანა ანუ ლუციფერი როგორც სიმბოლო და სახე ჩამოყალიბდა ქრისტიანულ ტრადიციაში. ამრიგად, სატანიზმი წარმოადგენს რელიგიურ მიმდინარეობას, რომელიც წარმოიშვა ქრისტიანობის ბაზაზე ამ უკანასკნელში არსებული ღირებულებათა სისტემისა და ქვეყნიერების შესახებ წარმოდგენის რადიკალური ცვლილებით.

ერთი სიტყვით, სატანიზმი მეორადი მოვლენაა ქრისტიანობასთან შედარებით. როცა სატანიზმზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვრიცხოთ წარმართული კულტები და სხვადასხვა დემონების თაყვანისცემა, რადგან წარმართული კულტების ქურუმები და შამანები, თავიანთი წარმოდგენით, არა ღვთის მტერს ეთაყვანებიან, არამედ ძალას, რომელიც თვითონ არის ღმერთი. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ სატანიზმი ღვთის მტრის **შეგნებული** მსახურებაა.

სატანიზმი ქრისტიანობის ბაზაზე წარმოქმნილი მოძღვრებაა, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ის არაა დამოუკიდებელი რელიგია, არამედ ქრისტიანული ერესის, მწვალებლობის უკიდურესი ფორმაა.

სატანიზმის წარმოშობას რამდენიმე ტენდენცია უწყობდა ხელს:

1. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე პერიოდში არსებული ჯადოქრული ტრადიციები, რომლებთანაც დაკავშირებულია ევროპული ფოლკლორის ისეთი მოტივები, როგორიცაა კაციჭამიობა, ბავშვების მკვლელობა, მაქციობა, დემონების შელოცვა, მაგიური საცხების გამოყენება, ღამეული ფრენები, საეკლესიო რიტუალების შებრუნებულად ჩატარება. ამ მოვლენების კვალი შეიმჩნევა ზღაპრებში.

2. წარმართული კულტებისა და ტრადიციების გადმონაშთები: ველური ცეკვები, ნადირობის რიტუალები, ველური ადამიანები, მაჯლაჯუნები, დახურულ კარსა და კედელში გავლა, ელფები, გნომები და ა. შ. ხანდახან ევროპულ ფოლკლორში სატანა გამოისახება როგორც შავი ვაცი. ეს განტევების ვაცის იუდაისტური ტრადიციისა და ანტიკური პანისა და სატირების ნაზავია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპის ე. წ. ქრისტიანიზაცია ერთბაშად არ მომხდარა — ის შვიდი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა და ჯერ კიდევ 772 წელს მთელი საქსონია, გერმანიის ვრცელი მხარე, სრულიად წარმართული იყო და კარლოს დიდი იქ შეიარაღებული ძალით ამკვიდრებდა ქრისტიანობას 802 წლამდე. მას შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში წარმართობა ფრანკებისთვის ეთნიკური დამოუკიდებლობის სიმბოლო იყო. XI საუკუნისთვის კი წარმართობაზე ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლება — ის მხოლოდ ცალკეული რელიქტებისა და ძნელად შესამჩნევი კულტურული შრის სახით არსებობს.

3. მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ადრექრისტიანული ერესები და ე. წ. გნოსტიკური მოძღვრებები. მათ საზღვრებში ხდებოდა ღმერთისა და ამბოხებული ანგელოზის ურთიერთობათა რევიზია. გარდა ამისა, სწორედ ადრეული ერესებიდან მომდინარეობს საიდუმლო შეკრებათა ტრადიცია, ჯვარცმის შეურაცხყოფა, ორგიები და ღრეობები.

4. მეოთხე ფაქტორიც პირველ სამთანაა დაკავშირებული: ქრისტიანობა ძალადობით ინერგებოდა ევროპის მოსახლეობაში. მისი შემოსვლა თითქმის ყოველთვის ნიშნავდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასა და სოციალური ჩაგვრის დამძიმებას. რა თქმა უნდა, საბჭოთა და მემარცხენე ყაიდის ისტორიკოსები ყოველთვის ზედმეტად დიდ როლს ანიჭებენ ეკლესიას როგორც მოსახლეობის დაბალი ფენების ექსპლოატატორს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს თვალსაზრისები მოგონილია: ჩაგვრა ნამდვილად იყო და, შესაბამისად, იყო ეკლესიის წინააღმდეგ განწყობაც.



*ალბრეხტ დიურერი - რაინდი, სიკვდილი და ეშმაკი.*

მაგრამ განათლება, ზნეობრივი და სოციალური ღირებულებების სისტემა სრულიად ქრისტიანული იყო. ადამიანები ვერაფერს ახალსა და განსხვავებულს ვერ მოიგონებდნენ, ამიტომ წინააღმდეგობის ერთადერთ გზად ძველი მსოფლმხედველობის უკუღმა შეტრიალება რჩებოდა.

5. ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სატანიზმის ჩამოყალიბებაში ქრისტიანულმა თეოლოგიამაც: სწორედ მის წიაღში შემუშავდა, მაგალითად, ადამიანისა და ეშმაკის კავშირის, სატანის ბეჭდის, მისდამი თაყვანისცემისა და მსხვერპლშეწირვის, ფიცის იდეები. თუ დღეს ვინმეს სურს სატანისტური სექტის ჩამოყალიბება, ამის მშვენიერ სახელმძღვანელოს იპოვის ინკვიზიციის დოკუმენტებში. საინტერესოა, რომ სახელგანთქმული "შავი მესა" — ეშმაკის თაყვანისცემის რიტუალი ევროპაში წარმოიშვა არა უადრეს XIV საუკუნისა, მანამდე კი არ არსებობდა.

ამ ხუთი ელემენტის ინტეგრაცია და ერთიან რელიგიურ მიმდინარეობად ჩამოყალიბება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო. პირველი, რაც ამ მხრივ შეიძლება ითქვას, ისაა, რომ არსებობს სატანიზმის ოთხი ნაირსახეობა.

"დაბალი სოციალური ფენების სატანიზმი" — ხალხში მას უბრალოდ ჯადოქრობასა და მისნობას უწოდებენ. შუა საუკუნეებსა და ახალი დროის დასაწყისში სწორედ მისი მიმდევრები ხდებოდნენ ყველაზე ხშირად "კუდიანებზე ნადირობის" ობიექტები.

"ელიტარული სატანიზმი" — მის მიმდევრებს ძალაუფლების წყურვილი და ახალი შეგრძნებებისკენ მისწრაფება ამოძრავებთ.

"ლუციფერიანელობა" — ეს ერესი თავის ისტორიას XIII საუკუნიდან ითვლის და მისი მიმდევრები ერთგვარ საშუალედო პოზიციაზე იმყოფებოდნენ "დაბალ ფენათა" და "ელიტარულ" სატანიზმს შორის.

სატანიზმის მეოთხე და ყველაზე ნაკლებად გავრცელებული სახე იყო ე. წ. "შავი სატანიზმი", რომლის წარმომადგენლები ხდებოდნენ მატერიალურად და სულიერად გაკოტრებული ინტელექტუალები.

მაგრამ განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი დაყოფა სამართლიანია მხოლოდ შუა საუკუნეებისთვის. XVI-XVIII საუკუნეებში ევროპაში ვითარება სრულიად შეიცვალა, XIX-XX საუკუნეებში კი ამ ცვლილებას ახალი, კიდევ უფრო რადიკალური დაემატა. თანამედროვე პერიოდში უფრო სამართლიანი იქნებოდა, გველაპარაკა ე. წ. "ნეოსატანიზმზე", რომელიც მრავალი პარამეტრით განსხვავდება უკვე ნახსენები ნაირსახეობებისგან და ზოგი მკვლევრის აზრით სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენს.

საკუთრივ სატანიზმი მხოლოდ მას შემდეგ წარმოიშობა, როცა ზემოთ ჩამოთვლილი მისი ხუთივე კომპონენტი მკვიდრადაა ინტეგრირებული და განვითარებული. ამ კომპონენტთა განვითარებაში ყველაზე გვიან ერთვება მეხუთე ელემენტი — ქრისტიანულ თეოლოგიაში შემუშავებული კონკრეტული ცნობები ადამიანისა და ეშმაკის კავშირზე.

რამდენადაც ცნობილია, პირველი ცნობა ამ კავშირის შესახებ მოიპოვება ლეგენდაში წმ. ბასილის შესახებ (დათარიღებულია 380 წლით). მაგრამ გაცილებით უფრო ფართოდაა ცნობილი ლეგენდა წმინდა თეოფილეზე (დაახლოებით, 540 წელი). თეოფილე ეპისკოპოსის ეკონომოსი იყო. ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ მრევლმა ისურვა მისი არჩევა მღვდელმთავრად, მაგრამ მდაბალი თეოფილე უარზე იყო. ახალ ეპისკოპოსს არ სჯეროდა თეოფილეს სიმდაბლისა, ცბიერად მიაჩნდა იგი და ამიტომაც გააძევა. სასოწარკვეთილმა თეოფილემ მიმართა ერთ იუდეველ ჯადოქარს, რომელმაც იგი ღამით ქალაქის ცირკში მიიყვანა. იქ თაყვანისმცემელთა შორის თვით სატანა იჯდა ტახტზე. ბოროტი თეოფილეს თანამდებობაზე აღდგენას შეჰპირდა და შეასრულა კიდეც. მაგრამ მალე ეკონომოსს სინდისის ქენჯნა დაეწყო და ღვთისმშობლის მიმართ ორმოცდღიანი მხურვალე ლოცვით გამოისყიდა დანაშაული. წმინდა მარიამმა მას ძილში მკერდზე დაუდო ეშმაკთან დადებული ხელშეკრულება. თეოფილემ პერგამენტი ცეცხლს მისცა და სამ დღეში მართალი სიკვდილით აღესრულა.

მართალია, ეს ლეგენდა VI საუკუნეში შეიქმნა, ეშმაკთან ხელშეკრულების იდეამ საბოლოო სახე მხოლოდ XIII საუკუნეში მიიღო. ამ დროიდან ლაპარაკობენ თეოლოგები იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება მასში მონაწილე ადამიანის სისხლით იწერება, სატანა კი ეტრატს თავის ბრჭყალს ადებს. თეოლოგიურ ტრაქტატებში ამგვარი "დოკუმენტების" ფაქსიმილეებიც გვხვდება: ადგილები, სადაც ეშმაკმა თითქოს თავისი ბრჭყალის კვალი დატოვა, ამომწვარია, ან ჟანგითაა დაფარული.

თავიდან ეს ხელშეკრულება განიხილებოდა როგორც ერთგვარი იურიდიული პროცედურა, რომელშიც დადასტურებული იყო მონაწილე მხარეთა უფლებები. ეს არ იყო "ჯადოქრობა" და "კუდიანობა", არამედ უმაღლესი მაგია, რომელიც გულისხმობდა ქვეყნიერების დამორჩილებას იმ ადამიანის ეგოისტური ნების წინაშე, რომელმაც იცის მისი საყოველთაო კანონები. ასეთი აზრით გამოიყენება ხელშეკრულების ცნება, როცა საუბარია ჰერბერტუსსა (X საუკუნის მეცნიერი და მღვდელი) და ფაუსტუსზე. ხელშეკრულების იდეამ საკმაოდ ადრე შეაღწია სახალხო შეგნებაში, მაგრამ ნეტარი ავგუსტინეს თხზულებაში "ქრისტიანული მოძღვრებისათვის" ხელშეკრულების იდეა თეოლოგიურადაა განხილული.

X-XI საუკუნეებიდან ხელშეკრულების იდეა ფართო მასათა კუთვნილება ხდება. ეს მოვლენა დაკავშირებულია ე. წ. კათარების ერესთან. სხვაგვარად მათ პავლიკიანებსა და ბოგომილებს უწოდებენ. ერესი ბიზანტიიდან შემოვიდა ევროპაში, იმ ტერიტორიიდან, რომელიც უკვე ექვსი საუკუნის განმვალობაში სრულიად ქრისტიანული იყო. ეს ბუნებრივიცაა: წარმოდგენათა დამახინჯება უფრო მას ეხერხება, ვინც მათ ორთოდოქსულ ვარიანტს კარგად იცნობს.

კათართა დუალისტურ მოძღვრებაში სატანა დემიურგია, ანუ ქვეყნიერების, მატერიის შემქმნელი. ეს უმაღლესი ღვთაების უფროსი ვაჟია. ქრისტე კათარებს მხოლოდ უმცროს ძედ მიაჩნდათ. როგორც ვხედავთ, აქ ორთოდოქსული კანონის რადიკალურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. კათართა მოძღვრებაში ღვთის უფროსი ძე ბოროტია, მაგრამ მას დიდი ძალაუფლება აქვს მიცემული და მხოლოდ ამით იმსახურებს თაყვანისცემას.

სწორედ ეს ეპოქა უნდა მივიჩნიოთ სატანიზმის დაბადების ხანად. როგორც ვხედავთ, სატანიზმი არა მარტო შინაარსობრივადაა მეორადი რელიგია, არამედ ის ორჯერ უფრო ახალგაზრდაა ორთოდოქსულ ქრისტიანობაზე.

აღწერილი კულტურული ძვრების მნიშვნელოვანი კონკრეტული გამოხატულება იყო სასამართლო პროცესი, რომელიც ქალაქ ორლეანში 1022 წელს გამართა საფრანგეთის მეფემ, რობერტ მეორემ. პროცესში ბრალდებულებად ე. წ. "ორლეანელი ერეტიკოსები" გამოდიოდნენ. მათ, გარდა ქრისტიანობის დამახინჯებისა, ბრალად ედებოდა ინცესტური ორგიები, ბავშვების საკულტო მკვლელობები, ახალშობილთა ცეცხლში დაწვა და კანიბალიზმი. ქრისტიანული კულტის შეურაცხყოფასთან ერთად ორლეანელ ერეტიკოსებს პირველად ისტორიაში ადანაშაულებენ ეშმაკის თაყვანისცემაში. სატანა აქ სხვადასხვანაირი სახით ფიგურირებს: ეს ხან მხეცია, ხან შავი კაცი და ხანაც სინათლის ანგელოზი.

საგულისხმოა, რომ თვით ერეტიკოსები ამბობდნენ, რომ მათში სული წმინდა სახლდება სინათლის ანგელოზის სახით. გამოდის, რომ სატანისტური ელემენტი არ შედიოდა ერეტიკოსების შეგნებულ მრწამსში, არამედ შედგენილი იყო ბრალდების მიერ. ეს ადვილი ასახსნელია: ერეტიკოსებს თავიანთი თავი ჭეშმარიტების მფლობელებად და დამცველებად მიაჩნდათ, ისინი შეგნებულად ვერ ირწმუნებდნენ, რომ ბოროტს სცემენ თაყვანს; ხელისუფლებას სჭირდებოდა მათი განადგურება, ამიტომაც ყველაზე მძიმე ბრალდება წაუყენა.

საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როცა ხანგრძლივი კულტურული ევოლუციის შედეგად ბრალდება ახდენს დანაშაულის პროვოცირებას. ის, რასაც ხშირად აბრალებენ (ეშმაკის თაყვანისცემა), ბოლოს და ბოლოს მართლაც ხდება (სატანიზმი). მაგრამ ეკლესია სხვანაირადაც, უფრო თვალსაჩინოდ, უწყობდა ხელს ერესების წარმოშობას. განსახილველ ეპოქაში პაპის საყდარი ეკავათ არა უბრალოდ ქურდებსა და ავაზაკებს, არამედ ადამიანებს, რომლებიც ამ წოდებას იღებდნენ პოპულარული რომაელი კურტიზანების მხარდაჭერითა და მეცადინეობით. მაგალითად, პაპი იოანე XII (955-964) ცნობილი მეძავის, მოროციას შვილიშვილი იყო და ძალიან დაემსგავსა ბებიას. არცთუ პატიოსანი ქცევითა და ზნეობრივი სახით გამოირჩეოდნენ მომდევნო პაპებიც: ბენედიქტე VI, ბონიფაციუს VII, ბენედიქტე VII, იოანე XIV, გრიგოლ VI, იოანე XVI და სხვები. გამონაკლისს წარმოადგენდა პაპი სილვესტრ მეორე, ერისკაცობაში ჰერბერტი, რომელიც თავისი დროის მეტად განათლებული ადამიანი იყო და ევროპას აჩუქა არაბული ციფრები. მაგრამ სწორედ მას დაბრალდა ეშმაკთან ხელშეკრულების დადება. მისი სიკვდილის შემდეგ რომის საყდარზე ავიდა ბენედიქტე IX, რომელმაც პაპის ტიარა სამგზის დაიდგა თავზე, რათა მაშინვე მიეყიდა ის პირველივე მსურველისთვის. ასე იყო, სანამ პაპის წოდება არ მიიღეს ჯერ ლეონ მეცხრემ, მერე კი დიდმა რეფორმატორმა და ეკლესიის ამღორძინებელმა, გრიგოლ მეშვიდემ.

ბუნებრივია, რომ ამგვარი ვითარებისას იერარქიას არ ეცალა მოსახლეობაში სულიერი სიწმინდისა და ჭეშმარიტი მოძღვრების დასანერგად. მოსახლეობა საკუთარი ფანტაზიებისა და წარმოდგენების ანაბარად იყო დარჩენილი. და თუ დღეს საქართველოში მსგავსი სიტუაცია მშრალ რიტუალიზმსა და "მარშრუტკებში" პირჯვრის წერას იწვევს, შუა საუკუნეების ევროპაში ნელ-ნელა ვითარდებოდა სიკრეტულ შეხედულებათა ერთობლიობა, რომელმაც მოგვიანებით, ახალი დროის დასაწყისისთვის სატანიზმის სახე მიიღო.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეჟარაშვილი*

სახელი ______________ მისამართი
გვარი ______________
ასაკი ______________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______________
სიმაღლე ______________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უქმნის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა**

[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" / [illegible] "სუსტი რგოლი" / [illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ [illegible] ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ თქვენი [illegible] გამოსახულება [illegible]. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.





1. დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის პროცედურა; 2. ძველებური ხელნაწერი; 3. საპროგრამო ხასიათის წერილობითი მიმართვა, მოწოდება; 4. ზამთრის სპორტის სახეობა; 5. ფერადი სურათი ძველ ხელნაწერებში; 6. ფსიქიკის კონცენტრაცია, თვითჩაღრმავების გამძაფრება; 7. ომის საწინააღმდეგო მოძრაობის წევრი; 8. ზღვაში მცურავი ყინულის მთა; 9. დიპლომატიური მიმართვა ერთი ქვეყნისა მეორესადმი; 10. იტალიელი კინორეჟისორი; 11. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე მასალა; 12. კუნძულოვანი სახელმწიფო პოლინეზიაში; 13. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა; 14. 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და სნაიპერი; 15. ქალაქი უკრაინაში; 16. მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი; 17. დიდი ბრტყელი თეფში; 18. ამერიკელი ელექტროტექნიკოსი და გამომგონებელი; 19. ძველებური სათვალე; 20. ყველაზე მსხვილი არტერია; 21. განმარტებითი ხასიათის შენიშვნები; 22. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 23. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 24. ხემიანი საკრავების იტალიელი ოსტატი; 25. უფერო, მხუთავი, მომაკვდინებელი აირი; 26. დაზიანებულის აღდგენა პირვანდელი სახით; 27. ა. ჰიტლერის პირადი მდივანი და მოადგილე პარტიული ხაზით; 28. მხიარული ხმაური, ჟივილ-ხივილი; 29. საქართველოს მთავრობის მეთაური 1918-21 წლებში; 30. რკინიგზის სადგურის ბაქანი; 31. ქ. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა; 32. ვისიმე რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი; 33. ვულკანური წარმოშობის ქანი, საშენი მასალა.

## TV პროგრამა

11 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ის რაც სიცოცხლეზე მეტია" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი "ვინ მოკლა სტალინი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ვინ მოკლა ბემბი" (18) (სოფი კონტონი) **02.00** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ბერლინზე შეტევის დასაწყისი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "რაციო" (განმ.) **16.30** დოკ. ფილმი **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "კამელოტის ქალები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "პირველი ოლიმპიელი" **23.00** ახალი პროექტი **23.30** კინოსამყარო "ვამპირის აჩრდილი" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "უბრალოდ სისხლი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "უკანასკნელი ფოთოლი", "ვარდების რევოლუცია", "სანთელი". **00.00** მხ. ფილმი "დევნა" (15) (კლაუდია შიფერი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ზღვების რაჯა" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "კანის ფესტივალი" **21.45** დოკ. ფილმი "დიზაინი" **22.10** კინოსეანსი "ხაფანგი" მე-2 ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **12.20, 14.45, 17.10, 02.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.20** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ჩვენ ჯაზიდან ვართ" (გ) (ი. სკლიარი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" მე-2ს. **22.30** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "ერთი ბელურას ამბავი" (გ) (ვ. რედგრეივი) **01.55** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.40** სათავგად. ფილმი "განძი" **13.10** "ფეხბურთი და ჩვენ" **14.30, 17.30, 18.30, 20.30** ახალი ამბები **15.00** ფანტასტიკა "ზეგ" **18.10** მულტფილმი **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** თრილერი "ბრმა ჰორიზონტი" **23.00** დოკ. ფილმი "ომების ისტორია" მე-3 ნაწ. **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** დრამა "სიყვარულის ექო" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Евгений Сидихин в фильме **"ЛИЧНАЯ ЖИЗНЬ ОФИЦИАЛЬНЫХ ЛЮДЕЙ".** **11.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Михаил Глузский в фильме **"ПРИШЕЛ СОЛДАТ С ФРОНТА".** **13.50** Док. фильм "Я - Буба Касторский". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Детективный сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ".** **16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **18.40** Сериал **"КЛОН".** **19.50** Многос. фильм **"МОЯ ГРАНИЦА".** **21.00** Время. **21.30** Многос. фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ".** **22.40** Спецрасследование. "Мафия. Бриллиантовая рука". **23.30** Ночное "Время". **00.00** Тайная история искусства. "Покушение на "Джоконду". **00.40** Дмитрий Марьянов в программе "Путешествия "Русского экстрима". **01.10** Айс-Ти в боевике **"КРОВАВЫЙ ПОЛЕТ".** Никто из пассажиров обычного рейса "Вашингтон - Лос-Анджелес" не мог предположить, что станет заложником. Группа террористов, возглавляемая бывшим полковником морской пехоты Сайксом, захватывает самолет. Несколько лет назад Сайкс был приговорен к пожизненному заключению, но ему удалось выбраться на свободу. Теперь он хочет сурово поквитаться с теми, кто упрятал его за решетку, ведь терять ему нечего. Террористы угрожают взорвать самолет, если их требования не будут выполнены. Рискованную операцию обезвредить Сайкса поручают специальному отряду во главе с капитаном Мэтью Маршаллом. **02.50** Мэл Брукс в комедии **"БЫТЬ ИЛИ НЕ БЫТЬ".** Актеры польского театра помогают своему собрату, летчику польской эскадрильи, лейтенанту Андре Собински, сброшенному с парашютом в оккупированную немцами Варшаву, убить предателя. В центре сюжета звезды театра - Фредерик Бронски и его жена Анна, в которую пилот был влюблен еще до войны. **04.30** Док. фильм "Падение "Черного ястреба".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Ольга Понизова в сериале **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 1**-я с. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Особо опасен! **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Чистосердечное признание. **14.00** Нина Русланова в фильме **"РУССКИЕ БРАТЬЯ".** **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ДОЧЬ ОЛИГАРХА".** **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..".** **20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: АВГУСТОВСКИЙ ЩИПАЧ".** **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2".** **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ТАКСИСТКА-2".** **01.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ".** **02.35** Бильярд. **03.10** Мелодрама **"САМАНТА". 2**-я с. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3".** **05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# ბრიტანული 400 ფუნტიანი ფილმი კანის კინოფესტივალზე წარადგინეს

ნათია ლურსმანაშვილი








რა არის საჭირო იმისათვის, რომ თქვენი ფილმი კანის ფესტივალზე მოხვდეს? ბევრი არაფერი: ცოტა ნიჭი, ბედი და... 400 ფუნტი.

ზუსტად ამდენი დაჯდა მოკლემეტრაჟიანი ფილმის "ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს შეხვდა" შექმნა.

ეს ერთადერთი ბრიტანული ფილმია წლევანდელი კანის კინოფესტივალისთვის, რომელიც 11-დან 22 მაისამდე ჩატარდება.

"ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს შეხვდა", ერთ-ერთია იმ ცხრა ფილმიდან, რომელიც კონკურსზე წარდგენილი 3 ათასი ფირიდან შეირჩა. კანში ამ ფილმის საპრემიერო ჩვენება შედგება.

ფილმის ავტორ 27 წლის ბენ კროუს სპეციალური განათლება არ მიუღია. მთავარ როლში კი მისი ძმა დენიელი თამაშობს - ისიც დებიუტანტია. კროუმ ეს ფილმი წელს ერთ-ერთ დასვენების დღეს ლონდონის რაიონ კოვენტ-გარდენში გადაიღო.

კროუ ადრე რკინიგზაზე მუშაობდა, შემდეგ ერთ-ერთ სამმართველო ორგანოში მოეწყო. ის ფილმის სცენარისტი, დამდგმელი რეჟისორი და პროდიუსერია. მთელი გადაღებული მასალა თვითონვე დაამონტაჟა სახლის კომპიუტერზე.

კროუს მეგობარი ქალი, 28 წლის პრეტი ტანეჯა, საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომელი, 10-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმის თანაავტორი და თანაპროდიუსერია. ფილმის მესამე პროდიუსერი 29 წლის ჯეიმს ბრაუნია. ავტორებს ბოლო წუთამდე არ სჯეროდათ, რომ ფილმი ფესტივალისთვის შეირჩა.

"ეს ზღაპარია - ამბობს ტანეჯა - არც ერთ ჩვენგანს ფილმის გადაღება არ უსწავლია."

ფილმის ავტორების თქმით, ეს ფილმი იმაზეა, თუ როგორ პოულობს ადამიანი თავის მეორე "მეს". სცენარი თავისუფალ დროს დაიწერა, ხოლო ფილმის ასლები ყველა კინოფესტივალზე გაგზავნეს.

ბენ კროუს სარეჟისორო დებიუტი 3-წუთიანი დოკუმენტური ფილმის "იესო რას მოიმოქმედებდა" გადაღებისას შედგა. ფილმი ბიბისის მეოთხე არხმა შეარჩია და ეთერში გაუშვა.

# ლექციებზე შექმნილი მხატვრობა

გიორგი ტაბაღუას შინაგანი ილუსტრაციები

ია ვეკუა



ერთი შეხედვით, ხაზებს, რკალებს, აბსტრაქტულ შტრიხებსა და დაუსრულებელ სპირალებს ხატავს. ეს უცხო თვალის დასკვნაა. თავად კი ამ აბსტრაქციის მიღმა მიმალულ საკუთარ სამყაროს მალავს. გიორგი ტაბაღუა თვითნასწავლი მხატვრებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობითა და თავისებურებებით აღსავსე მხატვრობას ქმნის, თუმცა ჯერ თავადაც არ იცის, რა ჟანრის ხელოვნებას ემსახურება.

19 წლის გიორგი პრეზიდენტის სტიპენდიანტია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს ხატოს, რაც სურს. ფურცელზე, ძირითადად, საკუთარი სურვილები გადმოაქვს, რაშიც ნიჭისა და შინაგანი განწყობის გარდა ჩვეულებრივი ტუშის კალამიც ეხმარება.

"ეს ცხენია, ეს აქლემი, შვლის ნუკრი. აქ საკუთარი თავი დავხატე. ხედავთ, მხრებს, თვალებს, ნიკაპს? ეს ნამუშევარი ეგვიპტის თემას ეხება, შემდეგი კი "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ჩემეული აღწერაა", - გვიხსნის გიორგი და ცდილობს, მისი ფიქრებისა თუ სიზმრების ილუსტრაცია ყველასთვის გასაგები იყოს.

გიორგი ტაბაღუა ბავშვობიდან ხატავს, თუმცა ამ საქმიანობას სერიოზულად არასდროს აღიქვამდა. მხოლოდ ოჯახის პირადი ტრაგედიის შემდეგ იგრძნო, რომ მხოლოდ მხატვრობით შეძლებდა ღრმა დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს ნაწილობრივ შეძლო კიდეც, თუმცა რთული პერიოდის თითოეული წუთი სამუდამოდ შემორჩა მის შემოქმედებას. "იმ პერიოდში საერთოდ ვერ ვიძინებდი, ამიტომ მთელი ღამის განმავლობაში ვხატავდი. 8-9 საათის განმავლობაში შეუსვენებლად მიხატია", - ამბობს გიორგი.

თუმცა, ჰქონია პერიოდი, როცა დიდი ხნის განმავლობაში ერთი ხაზიც არ გაუვლია. ეს "მუზას" დახატვის შემდეგ მოხდა. ქალის გარეგნობის, გონებისა და სულიერი სამყაროს გამაერთიანებელი ნახატი საკმაოდ ცუდი მუზა აღმოჩნდა, რადგან მის შექმნას ხუთთვიანი უძრაობის პერიოდი მოჰყვა. მალე კი მის შემოქმედებაში ვარდების რევოლუციის სახით ახალი მუზა გაჩნდა. 23 აპრილს ერთ დღეში ორი ნამუშევარი მიუძღვნა. ერთ-ერთი სურვილი უფროა - როგორ არ უნდოდა, რომ რევოლუციას 9 აპრილის მსგავსი სისხლისღვრა მოჰყოლოდა.

ამჟამად გიორგი ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის სტუდენტია. ყველაზე საინტერესო, სწორედ, ლექციებზე ხდება. თუ გიორგის კონსპექტებს გადახედავთ, ფურცელს ვერ ნახავთ, რომელზეც დასრულებული კომპოზიცია არ ხატია. სხვანაირად ლექციას გულს ვერ უდებს - უნდა ხატოს, რასაც არც ლექტორები უშლიან. ყველამ იცის, რომ აუდიტორიაში "სხვანაირი" სტუდენტი ზის.

**გიორგი ტაბაღუა:** "როდესაც ხატვა დავიწყე, ჩემს ნამუშევრებს ყველა რუსუდან ფეტვიაშვილის შემოქმედებას ადარებდა. მე კი არც ვიცოდი, რომ ასეთი მხატვარი არსებობდა. მოგვიანებით ფეტვიაშვილი გავიცანი და რამდენიმე რჩევაც მომცა. მირჩია, რომ საკუთარი სურვილებისთვის სრული თავისუფლება მიმეცა, რაც აუცილებლად აისახებოდა ჩემს შემდგომ შემოქმედებაში. გარდა ამისა, გამაფრთხილა, რომ არ ჩამებარებინა სამხატვრო აკადემიაში, რადგან ინდივიდუალურ სტილს დავკარგავდი. სხვათა შორის, იგივე მირჩიეს სამხატვრო აკადემიაშიც".

წინასწარ არასდროს იცის, რას დახატავს. თავიდან პატარა დეტალით იწყებს, რომელსაც ნელ-ნელა ახალ ფიგურებს უმატებს და დღის განმავლობაში სრულყოფილებად აქცევს. ხატავს, რასაც იმ წუთას განიცდის, ხედავს ან წარმოიდგენს. ალბათ, ამიტომაა მისი ნამუშევრების უმეტეობა დაუსრულებელი - მეორე დღეს სრულიად უქრება წინა დღეს განცდილი გრძნობა, ამიტომ ვერც კომპოზიციას ასრულებს. "ხელოვნურად ვერაფერს შევქმნი, თითოეულ შტრიხს მთელი არსებით უნდა ვგრძნობდე", - ამბობს პატარა მხატვარი.

ალბათ, ასეთივე გრძნობით დახატა თემა, რომელიც თავად არასდროს უნახავს და მხოლოდ უფროსების გადმოცემით სმენია. CCCP - ასე ჰქვია კომპოზიციას, რომელსაც გიორგი საბჭოთა კავშირის აჩრდილს უძღვნის. სტილიზებული თავის ქალა წითელი საბჭოთა დროშით გვირგვინდება, ჩაცვენილ კბილებში აფეთქებული სიგარა გაურჭვია, ქვის კვარცხლბეკი არამყარი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს - ასეთია გიორგის გონებით აღქმული მისთვის "მზეთუნახავი" ეპოქა.

ვინაიდან მხოლოდ განწყობის მიხედვით ხატავს, მხოლოდ 50-მდე ნამუშევარი დაუგროვდა. უახლოეს მომავალში სამხატვრო აკადემიაში გამოფენის გამართვა შესთავაზეს.













თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24